საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№15 (533)
29 აპრილი - 5 მაისი, 2020

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## «ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისთვის გაერთიანების შედეგად კონკურენტუნარიანობის ამაღლება ბუნებრივი საქმეა» 22

## ანტიკრიზისული გეგმა, საღი აზრი და მედიაში ატეხილი ინფორმაციული ღრიანცელი


2-3-4

რით უპასუხა მთავრობამ ხალხის მოლოდინს? 5

## 10 შიმშილის აჩრდილი დადის ქვეყანაში



## 8 ნაბან წყალს გადაყოლებული ბავშვი და სხვა ექსკლუზიური ქართული თავისებურებები




## «როგორ წარმოგიდგენიათ მეგობრული ურთიერთობები ქვეყანასთან, რომლის ვიცეპრემიერი იქნება საქართველოში ძებნილი კრიმინალი?» 6




## მიშას დანიშვნით უკრაინელი ხალხი პურს არა, მაგრამ სანახაობას აუცილებლად მიიღებს 7

გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც გავრცელდა ცნობა, რომ უკრაინის მთავრობამ სააკაშვილის დანიშვნაზე წარდგინება რადადან უკან გაიწვია

## როცა ვირები ბედაურობენ... 9



## კაცობრიობის ეგზისტენციალური კრიზისი და საქართველოს ახალი პერსპექტივები 14



დიმიტრი ლორთქიფანიძე:

## დღევანდელ უკიდურესად რთულ ვითარებაში საქართველოს მომავალს რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება განსაზღვრავს 11



ეკონომიკა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არის ეს გარდაცვალება „კოვიდ-19“-ით? თუ ესაა გარდაცვალება „კოვიდ-19“-ის თანხლებით? მაგალითისთვის გამოდგება ჰამბურგელი პათოლოგანატომის, დოქტორ კლაუს პოუშელის ამა წლის 15 აპრილის ინტერვიუ, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე HTTPS://YOUTU.BE/VWZHHHHZVQS,სადაც დოქტორი პოუშელი აანალიზებს გარდაცვლილთა გაკვეთის შედეგად მიღებულ შედეგებს და ამბობს, რომ გარდაცვალების მიზეზი უპირატესად სხვა პათოლოგიებია და უშუალოდ ვირუსი გარდაცვალების მიზეზი ძალიან იშვიათადაა. იგივე მოსაზრება სულ უფრო ხშირად ისმის სხვადასხვა საინფორმაციო წყაროდან, მაგრამ კორონაისტერიკის ფონზე რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინად.**

# ანტიკრიზისული გეგმა, საღი აზრი და მედიაში ატეხილი ინფორმაციული ღრიანცელი

## საზოგადოება ისტერიული ფსიქოზის ზღვარზე

**„კოვიდ-19“-ის გავრცელება დღეს მსოფლიოში უმთავრეს პრობლემად ითვლება. ეს არის საინფორმაციო სივრცის წამყვანი საკითხი და უკლებლივ ყველა საინფორმაციო გამოშვებაში, თოკშოუში, ინტერვიუსა თუ ბლოგში საკითხი, ძირითადად, სწორედ „კოვიდ-19“-ის გავრცელებას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს შეეხება. თითქმის ყველა „ექსპერტი“ ერთობ არაჯანსაღი აღტყინებით საუბრობს ამ დაავადების გავრცელების მასშტაბებზე და იმ მოსალოდნელ კატასტროფაზე, რომელიც ამ დაავადებას ახლავს.**

მე არ ვარ ვირუსოლოგი, არც ეპიდემიოლოგი, მეტსაც გეტყვით: არ ვარ ექიმი, მაგრამ, როგორც ჩვეულებრივ ობივატელს, მიჩნდება კითხვები: მართლა ასეთი უსაშველო მდგომარეობაა? საფრთხე მართლა ისეთია, რომ ქვეყნები უნდა დაიხუროს?

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაცხადა ეპიდემიური და შემდეგ პანდემიური საფრთხის ყველაზე მაღალი დონე. ვნახოთ განმარტება, რა არის ეპიდემია: https://ru.wikipedia.org/wiki/ -ის მიხედვით, **ეპიდემია** არის დაავადების გავრცელება გეოგრაფიულ არეალში ან სოციალურ ჯგუფში, როდესაც დაავადება მოიცავს მოსახლეობის, სულ ცოტა, 5 პროცენტს. ხოლო **პანდემია** არის ეპიდემიის ფართო გავრცელება, როდესაც ის მსხვილ გეოგრაფიულ არეალს (სახელმწიფოთა ჯგუფს, კონტინენტს და ასე შემდეგ) მოიცავს. ცალკეული სამედიცინო უწყებები ეპიდემიის ზღვრის დასადგენად იყენებენ ხანგრძლივი დროით მწკრივებს და ჩვეულებრივი დაავადების 1-პროცენტიანი გავრცელებაც შეიძლება ეპიდემიად იქნას მიჩნეული, თუ დაავადების აფეთქება დროის მოკლე პერიოდში მოხდა.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ „კოვიდ-19“-ის შემთხვევაში? **www.worldometers.info/coronavirus**-ის მონაცემებით, 2020 წლის 26 აპრილის თბილისის დროით 12:00 საათის მდგომარეობით, მსოფლიოში გამოვლენილი იყო „კოვიდ-19“-ის 2 923 336 შემთხვევა, რაც 2018 წლის მსოფლიო მოსახლეობის (https://data.worldbank.org/indicator/SP.POP.TOTL) 0,038 პროცენტია, ანუ ეპიდემიის მინიმალურ, 1-პროცენტიან ზღვარზე 26-ჯერ დაბალი. „კოვიდ-19“-ის გამოვლენილი შემთხვევების რაოდენობის მიხედვით, პირველი 15 ქვეყანა, იმავე საინფორმაციო რესურსის მონაცემებით, ასეთია: ***(იხ. გრაფიკი №1)***

გამოვლენილი რაოდენობა ყველაზე მეტი ამერიკის შეერთებულ შტატებშია და ამის შემდეგ გაცილებით ნაკლები რაოდენობით მოდიან ესპანეთი, იტალია და ა. შ., მაგრამ მნიშვნელოვანია, რა რაოდენობის მოსახლეობაა ამ ქვეყნებში, ანუ როგორია დაავადების გავრცელების ხარისხი ამ ქვეყნებში. ამ თვალსაზრისით გავრცელების ხარისხი ყველაზე მაღალია ესპანეთში, სადაც მოსახლეობის 0,479 პროცენტია დაავადებული „კოვიდ-19“-ით. საერთოდ, განაწილება კი ასეთია: ***(იხ. გრაფიკი №1)***

როგორც მონაცემები აჩვენებს, ყველაზე მაღალი გავრცელების მქონე ესპანეთშიც კი დაავადების გავრცელების ხარისხი ეპიდემიის მინიმალურ ზღვარზე 2,1-ჯერ, ხოლო ეპიდემიის მიღებულ 5-პროცენტიან ზღვარზე 10-ჯერ დაბალია.

ამბობენ, რომ „კოვიდ-19“ ძალიან მაღალი სიკვდილიანობით გამორჩეული ვირუსია, ანუ დაავადების შემთხვევაში მაღალია გარდაცვალების რისკი. ეს ნამდვილად ყურადსაღები გარემოებაა, მაგრამ რატომღაც ვერსად მოვისმინე და ვერც წავიკითხე, რა შინაარსისაა (რა არის სიკვდილის კონკრეტული მიზეზი) მსოფლიოს მასშტაბით აღრიცხული გარდაცვალების 203 308 შემთხვევა (https://www.worldometers.info/coronavirus/ საინფორმაციო რესურსის მონაცემებით, 2020 წლის 16 აპრილის, თბილისის დროით 24 საათის მდგომარეობით). გამოვლენილი შემთხვევებიდან გარდაცვალების შემთხვევების განაწილება ზემოთ მითითებული ქვეყნებიდან ყველაზე მაღალია **ბელგიაში,** სადაც „კოვიდ-19“-ის გამოვლენილი შემთხვევებიდან 15 პროცენტზე მეტი გარდაცვალებით დასრულდა. დაახლოებით ამავე თანრიგისაა გარდაცვალების წილის მაჩვენებელი **საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა** და **იტალიაში.** მაღალი გავრცელების ქვეყნებიდან გარდაცვალების მაჩვენებელი ყველაზე დაბალი **რუსეთის ფედერაციაშია.**

უნდა ითქვას, რომ ამ ფონზე საქართველო ცუდად არ გამოიყურება. გამოვლენილი შემთხვევებიდან გარდაცვალების წილი თითქმის ისეთივეა, როგორიც რუსეთის ფედერაციაში და თითქმის 7-ჯერ ნაკლები მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე ***(იხ. გრაფიკი №3).***

მაგრამ აქ არის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი კითხვა, რომელზეც ერთმნიშვნელოვანი პასუხი ჯერჯერობით ვერ ვიპოვე. არადა, ამ კითხვაზე პასუხი გადამწყვეტია. არის ეს გარდაცვალება „კოვიდ-19“-ით? თუ ესაა გარდაცვალება „კოვიდ-19“-ის თანხლებით?

მაგალითისთვის გამოდგება ჰამბურგელი პათოლოგანატომის, დოქტორ კლაუს პოუშელის ამა წლის 15 აპრილის ინტერვიუ, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე https://youtu.be/VWZhhhHZvqs,სადაც დოქტორი პოუშელი აანალიზებს გარდაცვლილთა გაკვეთის შედეგად მიღებულ შედეგებს და ამბობს, რომ გარდაცვალების მიზეზი უპირატესად სხვა პათოლოგიებია და უშუალოდ ვირუსი გარდაცვალების მიზეზი ძალიან იშვიათადაა. იგივე მოსაზრება სულ უფრო ხშირად ისმის სხვადასხვა საინფორმაციო წყაროდან, მაგრამ კორონაისტერიკის ფონზე რჩება ხმად მღარადებლისა უდაბნოსა შინად.

Covid19-ის 26/04/2020 თბილისის დროით 12:00 მდგომარეობით გამოვლენილი 2,923,336 შემთხვევის განაწილება ქვეყნების მიხედვით




წყარო: https://www.worldometers.info/coronavirus/

გარდაცვალების რეალური მიზეზების ინფორმაცია სისტემატიზებული სახით, სამწუხაროდ, არ იძებნება და ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ასეთი დასკვნები დაუყოვნებლივ ვერ კეთდება, მაგრამ, **თუ გადავხედავთ გარდაცვლილთა ასაკობრივ განაწილებას, თამამად შეიძლება დავუშვათ, რომ გარდაცვალება სხვადასხვა დაავადების ფონზე მოხდა, ანუ გარდაცვალებათა დიდი ნაწილი (ჩემი აზრით) „კოვიდ-19“-ის თანხლებით გარდაცვალებაა და არა გარდაცვალება „კოვიდ-19“-ით. იმავე რესურსის ინფორმაციით, „კოვიდ-19“-თან დაკავშირებული მოკვდავობის დონის მაჩვენებელი სხვადასხვა დაავადების ფონზე ასეთია:** ***(იხ. ცხრილი №1).***

**კარდიოვასკულარული დაავადებების ფონზე მოკვდავობის დონე 11-ჯერ მეტია, ვიდრე ფონური დაავადებების გარეშე გარდაცვალების დონე. 8-ჯერ მაღალია დიაბეტის ფონზე მოკვდავობის დონე. ამდენად, უშუალოდ „კოვიდ-19“-ით მოკვდავობის დონე 0,90 პროცენტია ყველა შემთხვევიდან. თუ დავუშვებთ, რომ დადასტურებული შემთხვევებიდან მოკვდავობის დონეც პროპორციულად შეიცვლება, ისევე, როგორც ფონური დაავადების შემთხვევაში შეიცვალა, მაშინ დადასტურებულ შემთხვევებში მოკვდავობის დონე 1,18 პროცენტი იქნება. რასაკვირველია, არაფერი კარგი ამ მონაცემებში არ არის, მაგრამ გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ „კოვიდ-19“-თან დაკავშირებული გარდაცვალების უდიდესი ნაწილი ამ დაავადების თანხლებით მოხდა და არა ამ დაავადებით.**

ქვეყნების მიხედვით Covid19-ის გავრცელება 26/04/2020 თბილისის დროით 12:00




წყარო: https://www.worldometers.info/coronavirus/; https://data.worldbank.org/indicator/SP.POP.TOTL

„აბა ის კარგია, ხალხი რომ კვდება?!“ — არაერთჯერ მითხრეს მსგავსი ტიპის კონტრარგუმენტი. რასაკვირველია, არ არის კარგი. უფრო მეტიც, ძალიან ცუდი და სამწუხაროა. აქ სიკვდილის შემთხვევებზე არაა საუბარი. საუბარია შემდეგზე:

**1.** შესაფერისია თუ არა საწინააღმდეგო ღონისძიებები? ქერტლის საწინააღმდეგო ერთადერთ და უებარ საშუალებად მხოლოდ გილიოტინას ვიყენებთ? შედეგი 100-პროცენტიანია — გილიოტინით ნამკურნალებ პაციენტებს ქერტლი აღარ აწუხებთ.... მაგრამ სხვაც აღარაფერი აწუხებთ;

**2.** რამდენად საჭირო იყო ქვეყნების ჩაკეტვა? — არავინ ამბობს, რომ დაავადება საშიში არ არის; მით უმეტეს არავინ არ ამბობს, რომ დაავადება კარგია, მაგრამ არის კი ეს ისეთი მასშტაბის საფრთხე, რომლის გამოც კონტინენტები უნდა დაიკეტოს?

და რაც ყველაზე მთავარია:

**3.** რომელი ზიანი უფრო მასშტაბურია — **„კოვიდ-19“-ით გამოწვეული, თუ რომელიც პანიკამ გამოიწვია და გამოიწვევს მომავალში?** ჩვენ ახლა ატეხილი პანიკის შუაგულში ვართ და მისგან გამოწვეული ზიანის გარკვეულ კონტურებს შეიძლება უკვე ვხედავთ. რეალური ზიანის შეფასება საკმაოდ დიდი დროის გასვლის შემდეგ იქნება შესაძლებელი. ეკონომიკური ზარალის შეფასება მეტ-ნაკლები მიახლოებით ახლაც შეიძლება, ასევე სოციალური ზიანის დაახლოებით განსაზღვრაც შესაძლებელია, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანის, მენტალური ზიანის, შეფასებას დიდი დრო დასჭირდება.

**საფრთხის მასშტაბის შეუსაბამო ღონისძიებების ერთ-ერთი მიზეზი, ჩემი აზრით, ისიცაა, რომ მსოფლიოში ბევრი და მასშტაბური პრობლემა დაგროვდა, რომელთა გადასაწყვეტადაც დღევანდელ ე.წ. ელიტებს არც იდეა, არც რესურსები და არც სურვილი არ აქვთ. ამიტომაც შედარებით ნაკლები მასშტაბის პრობლემის დიდი აურზაურით მოგვარება ქმნის მათი ეფექტიანობის და, რაც ყველაზე მთავარია, შეუცვლელობის განცდას — „დიდთა ვერ ხოცენ, ხელად აქვთ ხოცა ნადირთა მცირეთა“.**

პანიკურ სიგნალს საზოგადოებაში ჰყავს თა- ▶

## ეკონომიკა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საფრთხის მასშტაბის შეუსაბამო ღონისძიებების ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მსოფლიოში ბევრი და მასშტაბური პრობლემა დაგროვდა, რომელთა გადასაწყვეტად დღევანდელ ე.წ. ელიტებს არც იდეა, არც რესურსები და არც სურვილი არ აქვთ, ამიტომაც შედარებით ნაკლები მასშტაბის პრობლემის დიდი აურზაურით მოგვარება ქმნის მათი ეფექტიანობის და, რაც ყველაზე მთავარია, შეუცვლელობის განცდას — „დიდთა ვერ ხოცენ, ხელად აქვთ ხოცა ნადირთა მცირეთა“.**

◀ ვისი ადრესატები და მათი რაოდენობა არ არის მცირე. **ამ დღეებში, როდესაც მაღაზიაში 2 ან 3 ადამიანზე მეტის შესვლა არ შეიძლება, შესასვლელთან, ბუნებრივია, დგება რიგი, სადაც საკმაოდ დიდი რაოდენობით იმყოფებიან საგანგებო მდგომარეობით „აღტაცებული“ ადამიანები, რომლებიც ძალიან აგრესიულად რეაგირებენ მოსაზრებაზე, რომ ეს ვირუსი არაა ისეთი მასშტაბის საფრთხე, რომლის გამოც ქვეყნები უნდა დაიკეტოს. ბოლო რამდენიმე კვირაა, ვაკვირდები და ვხედავ, რომ ამ კატეგორიის ხალხი უზომოდ ბედნიერია, რომ არსებობს რაღაც საფრთხე, რომელზეც შეიძლება ინერვიულო, იდარდო და ა. შ.** თან ისეთი სერიოზულიც არაა, რომ მართლა საფრთხე იყოს, თუმცა ფორმალურად დადგენილი „ნერვიულობის“ საფუძველი გაქვს. ამასთანავე, არც ერთი მედიარესურსი არ იძლევა შეჯერებულ და გაწონასწორებულ ინფორმაციას. ყველა სკანდალს ეძებს და ცეცხლზე ნავთს, ხოლო დამწვარზე მდუღარეს ასხამს. **სკანდალის მუდმივი ტირაჟირება კი პანიკის განცდას მუდმივად აძლიერებს და, თუ ასე გაგრძელდება, პანიკა მასობრივ ფსიქოზში შეიძლება გადავიდეს, სადაც რამის პროგნოზირება და საღი აზრის გაჭაჭანებაც კი გამორიცხულია.**

თუ გადაწყვეტილებას მხოლოდ ექიმების რეკომენდაციებზე დაყრდნობით მივიღებთ, ზოგადი ექიმი მზადაა, ქვეყანა თუნდაც 10 წლით დაკეტოს კარანტინზე და ამ 10 წლის განმავლობაში თვითონ იქნება ცენტრალური ფიგურა და უზომოდ ბედნიერი. ექიმების რეკომენდაციების არასდროს მჯეროდა, მაგრამ პროტესტის განცდა განსაკუთრებით **პაატა იმნაძის** 21 აპრილის განცხადების შემდეგ გამიმძაფრდა, როდესაც ბატონმა იმნაძემ ბოდიში მოიხადა, — იძულებული ვიყავი, მოქალაქეები ზედმეტად დამეზაფრაო. ახლა მეც ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ ეს ბოდიში მოლასა და ფლავის ამბავს ჰგავს ძალიან. ამ მაგალითის შემდეგ ვერავინ ამიხსნის, რატომ უნდა მჯეროდეს ასე უაპელაციოდ ექიმების რეკომენდაციის. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ექიმებს არ უნდა მოვუსმინოთ. უნდა მოვუსმინოთ, მაგრამ არა მხოლოდ მათ.

**თუ გადაწყვეტილებას მხოლოდ იურისტის რეკომენდაციით მიიღებ, ზოგადი იურისტი მზადაა მუდმივი კომენდანტის საათის გამოსაცხადებლად, სადაც თვითონ იქნება ცენტრალური ფიგურა და, ადმინისტრაციული „აღტაცებით“ შეპყრობილი, გამოიგონებს უამრავ საჭირო და უსარგებლო შეზღუდვას და, რაც მთავარია, გამოავლენს დამნაშავეს.** ყველაფერს ამას ერთ საერთო სახელს — **პროფესიულ დეფორმაციას** უწოდებენ, ამიტომაც აუცილებელია შეჯერებული და გააზრებული გადაწყვეტილებების მიღება და ის, რომ თითოეული გადაწყვ-




წყარო: https://www.worldometers.info/coronavirus/; https://data.worldbank.org/indicator/SP.POP.TOTL

**თუ გადავხედავთ გარდაცვალებულთა ასაკობრივ განაწილებას, თამამად შეიძლება დავუშვათ, რომ გარდაცვალება სხვადასხვა დაავადების ფონზე მოხდა, ანუ გარდაცვალებათა დიდი ნაწილი (ჩემი აზრით) «კოვიდ-19»-ის თანხლებით გარდაცვალებაა და არა გარდაცვალება «კოვიდ-19»-ით**

| | სიკვდილიანობის დონე (დადასტურებული შემთხვევები) | სიკვდილიანობის დონე (ყველა შემთხვევა) |
|---|---|---|
| კარდიო ვასკულარული დაავადებების ფონზე | 13.20% | 10.50% |
| დიაბეტის ფონზე | 9.20% | 7.30% |
| ქრონიკული რესპირატორული დაავადებების ფონზე | 8.00% | 6.30% |
| ჰიპერტონიის ფონზე | 8.40% | 6.00% |
| ონკოლოგიური დაავადების ფონზე | 7.60% | 5.60% |
| ფონის გარეშე | 1.18% | 0.90% |

წყარო: https://www.worldometers.info/coronavirus/coronavirus-age-sex-demographics/

ეტილების მიღებამდე გაანალიზდეს მოსალოდნელი შედეგები (გადაწყვეტილების მიმღებებმა ვიხელმძღვანელოთ საღი აზრით).

როდესაც მედიაში ატეხილ ამ ინფორმაციულ ღრიანცელს ვუყურებ, მახსენდება ერთი ამერიკული მოთხრობა, რომელიც 1991 წელს დაიბეჭდა კრებულში „საქმოსნები და თაღლითები“ (https://www.goodreads.com/book/show/33632202-2). მოთხრობის სათაური ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ მოქმედება 40-იანი წლების ბოლოს ხდებოდა ნიუ-იორკში და შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო: ნიუ-იორკის ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორმა ამავე გაზეთის კრიმინალური საკითხების რეპორტიორს უთხრა, რომ საჭიროა რაღაც მწვავე ინფორმაცია, ვინაიდან გაზეთი არ იყიდება. ჟურნალისტი მივიდა ერთ-ერთ ბარში, რომელიც პოლიციის განყოფილების გვერდით იყო და რომელშიც მორიგეობის დამთავრების შემდეგ პოლიციელები იკრიბებოდნენ და ჭიქა ვისკის ან კათხა ლუდის თანხლებით საუბრობდნენ. ბუნებრივია, პოლიციელები მორიგეობის დამთავრების შემდეგ სიმინდის მოსავალზე არ ილაპარაკებდნენ. ლაპარაკობდნენ იმაზე, რასაც ყოველდღიურად ხედავდნენ. ხედავდნენ კი სხვადასხვა დანაშაულს, რომელიც 10 მილიონზე მეტი მოსახლეობის ქალაქში ხდებოდა, ხდება და მომავალშიც მოხდება. რეპორტიორმაც მოუსმინა მათ საუბარს და შემდეგ გაგონილის საფუძველზე ააგო თავისი სტატია. მეორე დღეს გაზეთი გამოვიდა შესაბამისი ანშლაგით და კარგადაც გაიყიდა. მეორე გაზეთის რედაქტორმა დაიბარა თავისი რეპორტიორი, აჩვენა კონკურენტი გაზეთი და რაღაც „რატომ გძინავს?!“ მაგვარი შენიშვნა მისცა. მეორე რეპორტიორიც, ისევე, როგორც პირველი, გაემართა ისეთივე ტიპის ბარში და იქ გაგონილის საფუძველზე დაწერა სტატია რაღაც შემზარავ დანაშაულზე. ამას მიყვა მესამე, მეოთხე და ასე შემდეგ გაზეთები. დაახლოებით ერთ თვეში ნიუ-იორკში დაიწყო პანიკა, ვინაიდან ამ გაზეთებს მოსახლეობა კითხულობდა და ყოველი შემდეგი ნომერი მორიგი ისტერიკული ანშლაგით გამოდიოდა: „შემზარავი მკვლელობა ბრუკლინში“, „გაუგონარი ძარცვა ბრონქსში“ და ა. შ. ქალაქის ხელმძღვანელობა შეშფოთებით უყურებდა განვითარებულ მოვლენებს, სანამ მერიის ერთმა ჭკვიანმა თანამშრომელმა (ასეთებიც არსებობენ) არ მოიფიქრა ჩვეულებრივი დროითი მწკრივების გაანალიზება და აღმოჩნდა, რომ ბოლო ერთ თვის განმავლობაში არანაირი განსაკუთრებული კრიმინალური აფეთქება არ მომხდარა. დანაშაულის სტატისტიკა არანაირ არსებით ზრდას არ აჩვენებდა. ამის შემდეგ დაიწყეს გამოკვლევა და აღმოჩნდა, რომ მთელი ეს პანიკა იყო ჩეულებრივი ქარიშხალი ჭიქაში. და მოთხრობა მთავრდება სიტყვებით, რომელიც მას შემდეგ ბევრჯერ გამახსენდა (ციტირების სიზუსტეზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ შინაარსი ასეთია): **„როდესაც თქვენს ქალაქში ან ქვეყანაში რაღაც განსაკუთრებულ კატასტროფაზე წერენ, კარგად ნახეთ ამ კატასტროფის უკან რომელიმე რეპორტიორი ხომ არ დგას“.**

მსოფლიოში შექმნილი ისტერიკიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობაც აკეთებს იმას, რასაც უნდა აკეთებდეს. მსოფლიო ისტერიკის ფონზე სხვანაირად ვერ მოიქცევი. როგორც **აბუ ალი იბნ სინა** იტყოდა: „ვირებში თუ ხარ, შენც ტლინკები უნდა ჰყარო“, ამიტომაც სრულიად გასაგებია გარკვეული შეზღუდვების შემოღება. ჩვენი მედიის გადამკიდე, ისტერიკა გაცილებით უფრო მაღალი გრადუსის იქნებოდა, მთავრობას რომ არანაირი ზომები არ მიეღო. თუმცა აქაც მთავარი ზომიერებაა, რომლის დაცვაც ძალიან რთულია, მაგრამ აუცილებელი.

„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში (№13, 8-14 აპრილი, 2020წ.) დაიბეჭდა ჩემი სტატია „კოვიდ-19“-ის გავრცელების საქართველოს ეკონომიკაზე სავარაუდო ზეგავლენისა და ამ კრიზისის საწინააღმდეგოდ რეკომენდირებული სამთავრობო ღონისძიებების შესახებ, მაგრამ ამ ნომრის გამოსვლიდან ორი კვირა გავიდა. ადმინისტრაციული აღტაცება კი ერთ ადგილზე არ დგას და ისიც ვითარდება. **შეზღუდვებმა, რომლებიც ამ ორი ნომრის გამოსვლის შუალედში მოქმედებდა, უფრო დრაკონული სახე მიიღო. მათი ნეგატიური ზეგავლენა გაცილებით ძლიერი იქნება, ვიდრე მანამდე მოქმედი ღონისძიებების პირობებში. ამ შეზღუდვებმა, პრაქტიკულად, ყველაფერი გააჩერა. განსაკუთრებით დასანანი ისაა, რომ მთელი ამ ადმინისტრაციული ღრიანცელის მიზეზი ჭიქაში ატეხილი ქარიშხალია — ეპიდემია, როგორც ასეთი, არ არის.**

კიდევ ერთხელ გავიმეორებ: განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ რეალურ **კრიზისში მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გვქონდეს.** ამიტომ არის აუცილებელი **საკუთარ რესურსებზე დაყრდნობილი განვითარების რაც შეიძლება ავტარკიული სტრატეგიის შემუშავება და მისი მეთოდური განხორციელება.** ხანძარი ერთადერთხელ და მხოლოდ პირველად ჩნდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სახანძრო უსაფრთხოების ნორმები უგულებელვყოთ. თუ ხანძარი არ გაჩნდა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სახანძრო უსაფრთხოებაზე დახარჯული ძალისხმევა ფუჭია. ამაზე ძალაუნებურად მახსენდება 2008 წლის აგვისტოს ამბები, როდესაც ქალაქში დაბომბვის საფრთხე გაჩნდა და აღმოჩნდა, რომ საბჭოთა პერიოდის თავშესაფრები სხვადასხვა კომერციული დანიშნულებით იყო გამოყენებული. ასეთი რაღაცები მხოლოდ ერთხელ ხდება, მეორე შანსი მხოლოდ ფილმებშია და ისიც — თუ რეჟისორი და სცენარის ავტორი შენს მხარესაა. თანაც **ფილმებში კარგი სცენის გადასაღებად კასკადიორიც გეხმარება და, რამდენიც გინდა, იმდენი დუბლი, ხოლო რეალურ ცხოვრებაში კი მხოლოდ ერთი დუბლი გაქვს და არავინ გეხმარება.**

2020 წლის 24 აპრილს მთავრობამ წარმოადგინა თავისი განაცხადი ანტიკრიზისული სტრატეგიის შესახებ, სადაც ასევე მცირედი მინიშნებები იყო პოსტკრიზისული განვითარების სტრატეგიაზე. ყურადღებით მოვუსმინე პრემიერმინისტრის გამოსვლას. და ჩემი საერთო შთაბეჭდილება ასეთია:

**წარმოდგენილი გეგმა ანტიკრიზისულ ნაწილში საკმაოდ შთამბეჭდავი და მისასალმებელია. განსაკუთრებით ამ გეგმის სოციალური ასპექტები.** ანტიკრიზისული გეგმის თანახმად, ყველა ის მოქალაქე, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან რომლებიც გაუშვეს უხელფასო შვებულებაში, 6 თვის განმავლობაში მიიღებს 200 ლარს. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ აქ საბნის სიგრძის შესახებ ანდაზა უნდა გავიხსენოთ. გარდა ამისა, გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ პირდაპირ ფულად დახმარებას ემატება ძალიან მნიშვნელოვანი კომუნალური შეღავათები, რომლებიც უნდა გადაეხადა შინამეურნეობას (ოჯახს), რომელიც ერთ შინამეურნეობაზე თვეში დაახლოებით 100-150 ლარის მოცულობისაა და სუფთა სინდისით შეიძლება განვიხილოთ, როგორც დახმარება. ამდენად, **დახმარების რეალური მოცულობა, შეღავათების ჩათვლით, გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ ის 200 ლარი ისეთი მოქალაქეებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური.** გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საშემოსავლო გადასახადის სუბსიდირება იმ დამსაქმებლებისთვის, რომლებმაც შეინარჩუნეს სამუშაო ადგილები. განსაკუთრებით დიდი მოსალოდნელი ეფექტის მქონე არაა, მაგრამ მაინც უდავოდ მისასალმებელია თვითდასაქმებულებისთვის ერთჯერადი დახმარების პაკეტიც. მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების კომპონენტიც. ასევე მნიშვნელოვანია პენსიის ინდექსაციის გადაწყვეტილებაც, რომელიც შესაძლებელთაგან ყველაზე უფრო ობიექტურ დაშვებებზეა დაფუძნებული. ერთი პენსიონერის მასშტაბით, ეს ღონისძიება შეიძლება მცირედ მოგვეჩვენოს, მაგრამ, საერთო ჯამში, ამ ღონისძიების ეფექტი საკმაოდ მაღალი იქნება.

**ეკონომიკური ასპექტებიც** უდავოდ მისაღებია მის ანტიკრიზისულ ნაწილში. ძალიან მნიშვნელოვანი შეღავათია **დღგ-ის ავტომატური დაბრუნების** გადაწყვეტილება. ეს როგორც მცირე და საშუალო, ისე მსხვილი მეწარმეებისთვის მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება. მეწარმეთა მხარდასაჭერად **ბანკებისთვის დამატებითი 600 მილიონი ლარის გამოყოფაც** არაა ცუდი გადაწყვეტილება, მაგრამ, ჩემი სუბიექტური აზრით, ამ გადაწყვეტილებაში სარისკო სამეწარმეო სექტორისათვის ამ თანხის ბანკების მეშვეობით მიწოდებაა, რაც ძალიან ჰგავს კრიზისის პერიოდში „მსუქანი კატების“ გამოკვების პრინციპს. **ეს 600 მილიონი, პირველ რიგში, ბანკებისთვის იქნება სასარგებლო და არა სამეწარმეო სექტორისთვის. გადახედეთ ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტების სტრუქტურას და ნახავთ, რომ ამ სტრუქტურაში ეკონომიკის რეალური სექტორის ხვედრითი წონა მუდმივად დაბალია. ბანკებს სწრაფი ფული უყვართ, ეკონომიკის რეალურ სექტორში კი სწრაფი ფული, როგორც წესი, არ მოიპოვება.**

მნიშვნელოვანია საკრედიტო საგარანტიო ინსტრუმენტიც, რომელიც ასევე დაეხმარება მეწარმეებს საკრედიტო

დასასრული იხ. მე-4 გვ.

ეკონომიკა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ რეალურ კრიზისში მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გვქონდეს. ამიტომ არის აუცილებელი საკუთარ რესურსებზე დაყრდნობილი განვითარების რაც შეიძლება ავტარკიული სტრატეგიის შემუშავება და მისი მეთოდური განხორციელება.**

# ანტიკრიზისული გეგმა, საღი აზრი და მედიაში ატეხილი ინფორმაციული ღრიანცელი

**დასაწყისი იხ. მე-2-3 გვ.**

ვალდებულებების დაძლევაში. ეს ღონისძიება უკვე მოქმედი საწარმოებისთვის არის შემუშავებული, რომლებსაც აქვთ საბანკო სექტორთან ურთიერთობის ისტორია და ამიტომ საკმაოდ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ანტიკრიზისული თვალსაზრისით.

**სოფლის მეურნეობის** მხარდაჭერის კომპონენტი ერთ-ერთი სუსტი იყო ამ გამოსვლაში. ძალიან კარგი და პოტენციურად ძალიან ეფექტიანი შეიძლება იყოს **მიკროსაგრანტო პროგრამა** და ძალიან კარგია, რომ მისი მოცულობა 30 000 ლარამდე იზრდება, მაგრამ ამ პროგრამის შესრულების მექანიზმები, პირადად ჩემში, ძალიან ბევრ კითხვას აჩენს. თუ იგივე პრაქტიკა გაგრძელდება, რაც დღემდე იყო, ეს პროგრამაც ისევე არაფრის მომტანი იქნება, როგორც აქამდე. ითქვა, რომ ამ პროგრამით 5000 ფერმერი ისარგებლებს. ჩემი აზრით, ეს რიცხვი ძალიან მცირეა და მაქვს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ეს ფერმერები იმავე სიიდან იქნებიან, რომლებიც მუდმივად სარგებლობენ ყველა მსგავსი ტიპის პროგრამით. უდავოდ მისასალმებელია გადაწყვეტილება **მელიორაციაში დახმარების შესახებ.** ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ მთავრობა თანდათან მიდის შიდა წარმოების პროტექციონიზმის დანერგვის გადაწყვეტილებამდე. საწყენია, რომ ამ გადაწყვეტილებამდე მისვლას სხვა სახელმწიფოების მაგალითი და კრიზისი დასჭირდა.

სახელმწიფოს ანტიკრიზისული ფინანსური ძალისხმევა შთამბეჭდავია, საქართველოს მასშტაბებიდან გამომდინარე. **მთლიანობაში ანტიკრიზისული ბიუჯეტი 3.5 მილიარდია, საიდანაც 1.035 მილიარდი ინდივიდუალური დახმარების სახით გაიცემა სხვადასხვა პაკეტებით; 2.110 მილიარდი — სამეწარმეო სექტორის მხარდაჭერისთვის, ხოლო 350 მილიონი ჯანმრთელობის დაცვის სისტემას მოხმარდება** (აქ ერთი გარემოებაა აღსანიშნავი: თუ სწორად გავიგეთ პრემიერის სიტყვები, ჩვენ შეგვპირდნენ, რომ, თუ ვიპოვით, ვინც ამ ფულს გვასესხებს, საერთაშორისო ინსტიტუტები გარანტიებს მოგვცემენ, ე.ი., თავდებად დაგვიდგებიან. იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ფულს ვინმე საჩვენო პირობებით გვასესხებს და ისეთი მექანიზმით განაწილდება ქვეყნის შიგნით, რომ „წამალი დაავადებაზე უარესი არ იქნება“, — რედ.)

ცოტ გასაკვირია, რომ განსაკუთრებული **აქცენტი ისევ ტურიზმზე** კეთდება. ერთი წუთით დავივიწყოთ, რომ ეს არის კლასიკური ქარიშხალი ჭიქაში, თუმცა ნეგატიური შედეგები სრულიად ხელშესახებია. განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ტურიზმის სექტორი ყველაზე არასტაბილურია. მისი მდგრადობა მხოლოდ ქვეყნის შიგნით არსებული მდგომარეობით ვერ განისაზღვრება. ტურიზმი ნებისმიერი კრიზისისგან ყველაზე უფრო სუსტი სექტორია. უნდა იყოს კი ეს ყველაზე უფრო პრიორიტეტული? მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს, მაგრამ პირველი რიგის პრიორიტეტი მაინც, ალბათ, არა (ტურისტს ფული უნდა ჰქონდეს, მოგზაურობა რომ დააპიროს და, როცა მთელი მსოფლიო ეკონომიკურ დაცემაზე ლაპარაკობს, სამოგზაურო განწყობა და ფინანსები ათიდან ერთს ან ორს თუ დარჩება — რედ.).

**რაც შეეხება ადმინისტრაციული შინაარსის სავალდებულო და რეკომენდირებულ ღონისძიებებს: სოციალური დისტანცირება, პირბადის სავალდებულო ტარება, ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესრულება და დისტანცირებული მუშაობა, დარწმუნებული ვარ, რომ ამ წესების დაცვა ძალიან დიდ პრობლემებს შექმნის. წესებს კი დავიცავთ, მაგრამ წესების დაცვა სულაც არ ნიშნავს წესების პატივისცემას. ამ ჩარჩოებით ალტაცებული ადმინისტრატორების მოგერიების ბედნიერება ჯერ კიდევ წინ გვაქვს. შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნა ექვს ეტაპად 12 კვირის, ანუ დაახლოებით სამი თვის განმავლობაში გაგრძელდება. ამ გეგმის მიხედვით, შეზღუდვები სრულად ივლისის ბოლოს მოიხსნება.**

საერთო ჯამში, ანტიკრიზისული ღონისძიებების წარმოდგენილი ვერსია ერთი შეხედვით საკმაოდ ეფექტიანია, მაგრამ აქ პროგრამების წერილობითი ფორმით წარმოდგენის მარადიული პრობლემა დგას. პრემიერმინისტრის 24 აპრილის გამოსვლა ჯერ მხოლოდ სიტყვები იყო. გამოსვლისას წარმოდგენილი პრეზენტაცია იმაზე უფრო დეტალური ვერ იქნებოდა, რაც იყო. იმედია, ეს ანტიკრიზისული გეგმა გამოქვეყნებულიც იქნება. **ასეთი მასშტაბის გეგმების ღრმა და საფუძვლიანი ანალიზისთვის უფრო მეტი დეტალიზაციაა საჭირო. იმედია, გამოქვეყნებულ დოკუმენტში მოცემული იქნება მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორთა ბადე, რომელიც მისაღწევი მიზნების რიცხვით განზომილებაში აღქმის შესაძლებლობას მოგვცემს. თხრობითი ფორმით წარმოდგენა ძალიან კარგია, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რაც წერილობითი ფორმით არის წარმოდგენილი. ისტორიას მხოლოდ ის რჩება, რაც დაწერილია. როგორც ერთი ერთობ ინფორმირებული პერსონაჟი ამბობს, „ხელნაწერები არ იწვის“.**

შეზღუდვების მოხსნისთვის გამიზნული 12-კვირიანი პერიოდი შეიძლება შევაფასოთ, როგორც ხანგრძლივი, შეიძლება, როგორც ხანმოკლე, მაგრამ ეტაპიდან ეტაპზე გადასვლისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ შეზღუდვები აზარალებს მოსახლეობის დიდ ნაწილს, ხოლო ამ შეზღუდვებით „ბედნიერი“ მხოლოდ შემდეგი სოციალური სტრატები (სოციალური სტრუქტურის ელემენტები) იქნებიან:

**1. ექიმები** — რომლებიც ისაუბრებენ ბევრს და გაუგებრად (პრასიუს, ფაციუს, ხახვიუს,...: კ/ფ. „არ დაიდარდო“).




წყარო: https://data.worldbank.org/

იქნებიან ბედნიერები, რომ არიან ყურადღების ცენტრში და საუბარი დაავადებას შეეხება, რომ „ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება“ და ამიტომ გავუფრთხილდეთ ექიმებს. დაავადების აღმოჩენა და მისი მკურნალობა მათი პროფესიული მოვალეობაა და ამიტომაც, თანახმად დევიზისა, „არ არსებობს ჯანმრთელი ადამიანი, არის მხოლოდ ცუდად გამოკვლეული პაციენტი“, მათი უპირველესი მიზანი ყველა ადამიანში, ადამიანთა დიდ თუ პატარა ჯგუფში, პირველ რიგში, ავადმყოფის დანახვაა. ასეთი დამოკიდებულება პროფესიული დეფორმაციის სრულიად ბუნებრივი პროდუქტია, რომელიც აუცილებელია, მაგრამ ძალიან დოზირებულად. ამ პროდუქტის ზედოზირებამ შეიძლება სოციალური და ეკონომიკური კოლაფსი გამოიწვიოს;

**2.** ადმინისტრატორები — რომლებიც „აღმოაჩენენ“ დარღვევებს და დააჯარიმებენ დამრღვევებს. განსაკუთრებით ბედნიერი იურისტის დიპლომის ის მფლობელები იქნებიან, რომლებიც ისეთ სტრუქტურებში მუშაობენ, რომლებსაც სამართალდამცავ ორგანოებთან კავშირი არ აქვთ. ასეთი კი ძალიან ბევრია და მათ ახლა ეძლევათ ადმინისტრაციული ძალაუფლება, რომელსაც, მერწმუნეთ, დიდი აღტაცებით, ბოლომდე და ცოტა უფრო მეტადაც გამოიყენებენ. კანონის დარღვევის აღმოჩენა მათი პროფესიული მოვალეობაა და, შესაბამისად, ისინიც ყველგან კანონთან შეუსაბამობას ეძებენ. ამით განსაკუთრებულად ბედნიერი ადმინისტრირების ადრენალინისგან ნამარხულევი იურისტები იქნებიან;

**3.** პანიკიორები — ამ ჯგუფში ყველანაირი (ძალიან ხშირად გაურკვეველი) პროფესიის, განათლების, ცენზისა და კვალიფიკაციის ადამიანები შედიან. ამ ჯგუფს მე „განსაცდელისტებს“, „ვაივიშისტებს“, „წუწუნმაისტერებს“, „კუხნის გენერლებს“ და „დივნის ანალიტიკოსებს“ ვუწოდებ. ეს ხალხი მაშინაა ბედნიერი, როდესაც საქმე ცუდად არის ან აქვთ საფუძველი, რომ იწუწუნონ. ეს ის კატეგორიაა, რომელმაც ხანძრის ჩაქრობამდე უკვე იცის ხანძრის გამომწვევი მიზეზი და ისიც, თუ რა ცუდად აქრობენ ხანძარს, როგორც ეს პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის მაგალითზე მოხდა. დღეს ეს „მეხანძრეები“ სრული შემადგენლობით ეპიდემიოლოგებად, ვირუსოლოგებად და ინფექციონისტებად გადაკვალიფიცირდნენ. დღეს მათ პანიკიორობის სრულიად საკმარისი საფუძველი აქვთ. ძალიან ცდება მთავრობა, თუ ფიქრობს, რომ ადამიანთა ამ ჯგუფის „ბედნიერება“ მათდამი პოლიტიკურ სიმპათიებში იქნება კონვერტირებული. ეს გამორიცხულია, ვინაიდან ადამიანთა ეს ჯგუფი კრიზისით „ბედნიერი“ მხოლოდ ქვეცნობიერად არის და ბედნიერება, როგორც ასეთი, მათთვის უცნობი ხილია. ეს ადამიანთა ის კატეგორიაა, რომელსაც, როგორც ერთ ანეკდოტშია, ფულით სავსე ჩემოდანი რომ იპოვოს, გადათვლის შემდეგ იტყვის, აკლიაო.

ანტიკრიზისულზე უფრო მნიშვნელოვანი **პოსტკრიზისული სტრატეგიაა,** სადაც ამ კრიზისის დროს გამოვლენილი ყველა პრობლემა გათვალისწინებული უნდა იყოს. პოსტკრიზისულ სტრატეგიაზე, როგორც პრემიერმინისტრი დაგვპირდა, მუშაობა უახლოეს ხანში დაიწყება. **ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ როგორი იქნება ეს სტრატეგია. პოსტკრიზისულ სტრატეგიაზე მხოლოდ დონორებიდან 3 მილიარდი დოლარის რესურსების შესაძლო მოზიდვის შესახებ ითქვა, რომელიც საქართველოში მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის იქნება გამიზნული. 3 მილიარდი ძალიან კარგია, მაგრამ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რას მოხმარდება ეს თანხა და, რაც მთავარია, როგორ მოხმარდება. მწარე გამოცდილება გვეუბნება, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შემოსულმა 4-მა მილიარდმაც მთლიანად ქვეყნისთვის არსებითი ვერაფერი ქნა. თუ აღნიშნული 3 მილიარდიც ბანკებს გადაეცემათ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ შედეგებში სახარბიელო არაფერი იქნება.**

ეს იმას ჰგავს, როცა მარმარილოს ერთი და იმავე ლოდიდან მოსეს გამოქანდაკებაც შეიძლება და უფორმო ნამსხვრევების მიღებაც. გააჩნია, ვის ხელში მოხვდება ეს ლოდი. თუ **მიქელანჯელოს** ხელში მოხვდა, შეიძლება მოსე და გარდამოხსნა მივიღოთ; თუ ჩემნაირ „მოქანდაკეს“ ჩაუვარდა ხელში, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მოსეს ან გარდამოხსნის ხილვა არ „გემუქრებათ“. სამაგიეროდ, იხილავთ ჩვეულებრივ ნაგვის გროვას და, თუ ჩვენი ზედაპირულად „განათლებული“ მასმედიაც მხარს დამიჭერს, ეს ნაგავი „ავანგარდად“ შეიძლება შემოგასაღოთ, რასაკვირველია, ისტერიკული ღრიანცელის ფონზე. სხვანაირად ასეთი რაღაცები არ იყიდება. ბოლოს და ბოლოს, მეხსიერებას, რასაკვირველია, მოსე და გარდამოხსნა შემორჩება და არა „ავანგარდი“, მაგრამ ეს შემდეგ ეპოქაში იქნება. „ავანგარდისტისთვის“ მნიშვნელოვანი აქ და ახლა წარმატებაა და არა მარადიულობასა და უკვდავებაზე ფიქრი.

**ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, ვინ იმუშავებს პოსტკრიზისული სტრატეგიის შემუშავებაზე და რა პრინციპებზე იქნება დაფუძნებული ის.**

ჩემი ხედვით. სტრატეგიის შემუშავების ამოსავალი პრინციპები უნდა იყოს:

1. პრობლემების სისტემური გააზრება
2. სახელმწიფოს აქტიური ჩარევა, პროცესის უშუალო მართვა
3. ადგილობრივი რესურსების გამოყენება
4. მაღალი სოციალური ეფექტი
5. ქვეყნის სიმეტრიული განვითარება
6. გრძელვადიან პერსპექტივებზე ორიენტირება
7. მონიტორინგისა და შეფასების მკაფიო სისტემა.

**სტრატეგიის შემუშავებას კოორდინაცია უშუალოდ პრემიერმინისტრმა უნდა გაუწიოს. ჩემი აზრით, დიდი შეცდომა იქნება სტრატეგიის შემუშავების ერთი რომელიმე სამინისტროსთვის ჩაბარება, სტრატეგიის შემუშავებაში ყველა სამთავრობო უწყება უნდა მონაწილეობდეს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიის შემუშავებაზე იმუშავოს რამდენიმე ჯგუფმა. სხვადასხვა ჯგუფის მიერ ერთი და იმავე სისტემით მომზადებული მასალების შეჯერებით ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების შანსი გაცილებით იზრდება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხზე მხოლოდ ერთი, შეიძლება ძალიან კვალიფიციური, მაგრამ მაინც ერთი ჯგუფი მუშაობს.**

ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს 2012-2015 წლებში განხორციელებული პროაქტიური სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის უდავოდ დადებით შედეგები, რომლებიც სიღარიბის დონის არსებით შემცირებაში აისახა, რაც მსოფლიო ბანკის ვებგვერდზე განთავსებული მონაცემებიდან ჩანს ***(იხ. გრაფიკი №4).***

2012-2105 წლებში გატარებული პროაქტიური პოლიტიკის ერთ-ერთი ნაკლი რესურსების მიმართვისას დამიზნების დაბალი სიზუსტე და ღონისძიებების უსისტემო ხასიათი იყო. ჩემი აზრით, სასურველი იქნებოდა, თუ პოსტკრიზისულ სტრატეგიაში შენარჩუნებული იქნება 2012 წლის სულისკვეთება და სტრატეგია უფრო მეტად სისტემური ხასიათის იქნება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კარგი იქნება, თუ სტრატეგიით განსაზღვრული მიზნები არ იქნება ბუნდოვანი, როგორც ეს სტანდარტულად ახასიათებს სტრატეგიულობის პრეტენზიის მქონე დოკუმენტებს საქართველოს ბოლო 30-წლიან სინამდვილეში.

**ნოდარ კაპანაძე**

„ჩვენი მინისტრების გამოსვლებს რომ ვუსმენ, არ დაგიმალავთ, ხშირად ვერ ვიგებ, რა ფუნქციებს ახორციელებენ ისინი და მათდამი დაქვემდებარებული უწყებები. ცალკე პრობლემაა სამინისტროების კოორდინირებული საქმიანობა. ამასაც ჩახედვა უნდა“.

პერსპექტივა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რით უპასუხა მთავრობამ ხალხის მოლოდინს?

**„საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს ესაუბრება საქართველოს ყოფილი ფინანსთა მინისტრი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი დავით იაკობიძე. თემა: გამოცხადებული ანტიკრიზისული გეგმა.**



— ის, რაც ტელევიზიით მოვისმინეთ, გეგმა არ არის. ბატონმა გახარიამ გაგვაცნო წინასწარ შემუშავებული, გასაკეთებელ საქმეთა ჩამონათვალი, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს შესრულების თანმიმდევრობა, ვადები და განხორციელების მექანიზმი, რაც, სამწუხაროდ, არ იყო გამოცხადებული. ამას ყურადღებას არ მივაქცევდი, აქტუალური რომ არ იყოს: არ დააყოვნებენ ოპონენტები გამოსვლებს მასმედიაში ამ გეგმის კრიტიკით.

*(ინტერვიუ ჩაიწერა წარდგინების კვალზე, ორიოდე საათის შემდეგ. დრომ, რომელიც ამ განცხადების შემდეგ განვლო, დაადასტურა ბატონი დავითის ვარაუდი: კრიტიკულმა შეფასებებმა არ დააყოვნა!).*

პრემიერმინისტრის გამოსვლამდე კაბინეტის წევრები ჯიუტად იმეორებდნენ, რომ წარმოდგენილი იქნებოდა ფართო და ყველაფრის მომცველი გეგმა, წინასწარ გვამზადებდნენ, სინამდვილეში კი ასეთმა რიტორიკამ ოპოზიციის წისქვილზე დაასხა წყალი.

არადა, გახარია ფრთხილი იყო, როცა განაცხადა, რომ **ეს იყო მზრუნველობის პაკეტი,** რომელსაც განახორციელებს მთავრობა, მინიმალური პაკეტი, ჩვენი დღევანდელი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ძალის შემდგომი მოკრების კვალზე გაფართოების პერსპექტივით.

**— გეგმა არ არის, მაშ, რა ვუწოდოთ?**

— ეს არის **პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ჩამონათვალი**, რომელიც მთავრობამ მიიღო წლევანდელი 26 იანვრიდან დღემდე. გაჯერებულია იმ ღონისძიებებით, რომლებიც მიმართული იყო ჩვენი აქტიურობის შესაზღუდად კორონავირუსის პანდემიის პირობებში. როგორ ვაფასებთ ამ პერიოდს?

ზოგი ამბობს, რომ კრიზისია. მე კი მიმაჩნია, რომ ეს არის **საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეფორმაცია,** რომელსაც იძულებით ვიღებთ ჩვენს თავზე და ზოგიერთ ისეთ შეზღუდვებს ვაწესებთ, რომლებიც, რა შედეგებს მოიტანს, არ ვიცით.

და საერთოდ, მე რომ მკითხოთ, ეს რიტორიკა დასახვეწია. ხმა უნდა აღიმაღლოს, უწინარეს ყოვლისა, ენის პალატამ. მაგალითად, როცა ლაპარაკობენ „ტაქსისტების ოპერირება“ ან „შევიმუშავეთ ბედედე“, ე.ი. მოკლევადიანი გეგმაო და ა.შ. ვის ეუბნები ამას? გაიგებს კი ხალხი შენს ნათქვამს? თუ კეკლუცობ და ვიღაცას თავს აწონებ?

**— უკრაინაში „მაიდანმა“ რომ გაიმარჯვა, ერთ-ერთი მიზეზი იქაური ხელისუფლების ასეთ ხელოვნურად გათანამედროვებულ და უცხოური ტერმინოლოგიით „გამდიდრებულ“ ენაზე ხალხთან ურთიერთობის დამყარების მცდელობა იყო...**

— ამიტომაც ვერ გაუგეს, მაგრამ ეს სხვა თემაა. ჩვენს ეკონომიკას მივხედოთ, რომელზეც უარყოფითად იმოქმედა დროის დაკარგვამ.

საკითხავია, ამ დროის განმავლობაში რატომ ვერ მოხერხდა კანონმდებლობაში იმ ადეკვატური ცვლილებების შეტანა, რომლებიც შეღავათის სახით ხალხის სასარგებლოდ განხორციელდა სულ ბოლო მომენტში?

მაისში ახალი ბიუჯეტის დამტკიცებას აპირებენ, შეცვლილისა და შესწორებულის. კი, ბატონო, მაგრამ ჩაწერეთ, ვის რა უფლებები ექნება და როგორი პასუხისმგებლობა დაეკისრება. წინა ბიუჯეტებში ტექსტური ნაწილი არ არსებობს. არის ციფრები შემოსავლების და შემდეგ — სად რამდენი დაიხარჯა.

ესეც საჭიროა, მაგრამ უმჯობესი არ იქნება, თქვან, რომ ცალკეულ სიტუაციაში, როცა საგანგებო მდგომარეობა შეიქმნება, ფინანსთა მინისტრს ჰქონდეს უფლება, ერთი მუხლიდან მეორეში გადაიტანოს ხარჯები, ხოლო, რისი ხელის ხლებაც არ შეეძლება, იმას დაერქვას დაცული მუხლები.

**ჩვენი მთავრობა ჯერ-ჯერობით კარგად ვერ ითვალისწინებს, რა იქნება ცოტა ხანში, როცა გაჩნდება დეფიციტი არა მხოლოდ ცალკეულ პროდუქტზე, არამედ ფულად რესურსზე სახელმწიფო სექტორში, როგორ გაუჭირდებათ ხარჯების შეკავება, რამდენ დროს დაკარგავენ ცალკეული ხასიათის დანახარჯების (რომელთა ათვისებაც დაწყებულია) შეჩერებაზე და ა.შ. თავისუფლად ველარ განკარგავენ არსებულ სახსრებს. კორონავირუსმა ეს კარგად დაგვანახვა.**

მთავრობამ ახალი წესები და ნორმები შემოიტანა, რაც ყოველთვის სადავო ხდება. კრიტიკოსები ამჯერადაც უარყოფითად იქნებიან განწყობილი ყოველგვარი ცვლილების მიმართ, თითოეული ციფრის მიმართ, რომლებიც პოლიტიკური გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოიქმნება.

წესია: **როცა სახელმწიფო-პოლიტიკურ დოკუმენტში ციფრი იწერება, აუცილებლად უნდა დაერთოს ამ ციფრის ათვისების პროგრამა, რადგან ის, რაც წერია, აბსტრაქცია არ არის. კონკრეტულად უნდა იყოს გათვლილი, ვის აძლევ, რამდენს, რატომ, პრიორიტეტი პირველი, მეორე და ა.შ. აქვე უნდა იყოს მითითებული, რომელი უწყება რაზეა პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული.**

**— თორემ დაუყოვნებლივ შემოგიტევენ: მავანმა მეცენატმა 100 მილიონი საქმისთვის კი არ გაიღო, არამედ ერთი ჯიბიდან მეორეში ჩაიდოო, და — მსგავსი დონის პოპულიზმები.**

— ეჭვის საფუძველი ჩნდება, ცხადია. შენიშვნების პირველი ჯგუფი რომ შევაჯამო, უნდა ვთქვა შემდეგი: **ჩვენს ხელისუფლებას არ გააჩნია ინსტიტუციური ქვედანაყოფი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამგვარი დოკუმენტების შედგენაზე.** მოხელე-ფუნქციონერი მაინც მოხელე-ფუნქციონერია თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, იგი ვერ იქნება კონცენტრირებული ერთ კონკრეტულ პრობლემაზე, როცა გასარკვევია დეფორმაციის ხარისხი — რა მოხდა ამ კონკრეტულ ან სხვა მსგავსი შემთხვევების დროს. ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მას შემდეგ გამოჩნდება, მაგრამ რატომ გადაბრუნდა, გაანალიზება სჭირდება.

**— მიგვანიშნებთ, რომ ამგვარ პრობლემებზე უნდა მუშაობდნენ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც სააკაშვილის ადმინისტრაციამ გააუქმა და გაანადგურა?**

— თუნდაც! მაგრამ მათ აღდგენაზე აღარავის უზრუნია... წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს რომ არ ჰქონდეს დაავადებათა კონტროლის ცენტრი ლაბორატორიების ქსელით, რომელიც კონკრეტულ რეკომენდაციებს გვაძლევს: კერძო პაციენტის დაავადებიდან დაწყებული, საერთო-სახელმწიფოებრივი, მასობრივი ღონისძიებებით (კარანტინით, მოსახლეობის მასობრივი სკრინინგით და ა.შ.) დამთავრებული. ასეთი ცენტრებია საჭირო სახელმწიფო ფუნქციონირების ყველა მნიშვნელოვან დარგში.

**ჩვენი მინისტრების გამოსვლებს რომ ვუსმენ, არ დაგიმალავთ, ხშირად ვერ ვიგებ, რა ფუნქციებს ახორციელებენ ისინი და მათდამი დაქვემდებარებული უწყებები.**

**ცალკე პრობლემაა სამინისტროების კოორდინირებული საქმიანობა.** ამასაც ჩახედვა სჭირდება.

პრემიერმინისტრმა ამ გეგმას თავმდაბლურად მზრუნველობის პაკეტი უწოდა. კარგად თქვა იმ კაცმა — ხმამაღალი სიტყვების გარეშე.

ამ მზრუნველობის პაკეტში გამოყოფილი ცალკეული პოზიცია არის სარისკო.

**— რას გულისხმობთ რისკში?**

— შესრულების უექველობას. გასაგებია, რომ ყველა საკითხს, რომლებიც მოსახლეობის შეჭირვებულ ნაწილს ეხება, თავს დაადგამს შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

მაგრამ **თვითდასაქმებულებს რომელი უწყება დაეხმარება? ვინ განკარგავს იმ თანხას, რომელიც ამ კატეგორიის მოქალაქეებისთვის არის გათვალისწინებული? და, საერთოდ, როგორ მოხდება ამ ადამიანების იდენტიფიკაცია?**

50 მილიონი ლარი გამოუყვეს ფერმერებს, რაც ძალიან მახარებს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ის ფულია, რომელიც მათ უკვე აღებული ვალდებულებების გამო წარმოექმნათ. ეს არ არის ახალი ბიზნესებისთვის ან ბიზნესის გაფართოების და მათი შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის გამიზნული თანხა. თორემ ამდენი ხნის განმავლობაში ისინი გადაწყვეტდნენ, მაგალითად, მარნეულის კიტრის და საადრეო კარტოფილის პრობლემებსაც და სათბურებში მოწეული მოსავლის ბაზარზე შემოტანის საკითხსაც.

სამომხმარებლო ბაზარზე ახლა დგინდება საგაზაფხულო ფასები, რომლებიც შემდეგ უნდა ჩაანაცვლოს საზაფხულო ფასებმა. ეს ბუნებრივად ჩამოყალიბებული ციკლია. აი ამ ციკლის მოგვარების კონტურები არ ჩანს შემოთავაზებულ გადაწყვეტილებაში.

**— პრაქტიკულ საკითხებზე ლაპარაკობთ.**

— დიახ. რადგან ესაა მთავარი და არა განყენებული მსჯელობა. მაგალითად, გაუგებარია განცხადება, რომ 40 მილიონი იქნებაო საშემოსავლო გადასახადით დახმარება. გახარიამ თქვა, რომ **არ დაერიცხებათ საშემოსავლო გადასახადი.** ვერ გავიგე: ეს ხომ დანაშაულია, კაცო!

**— შეგიძლიათ განმიმარტოთ?**

— შევეცდები: თქვენ ხომ იღებთ ხელფასს. ხელფასის 20 პროცენტი არის საშემოსავლო გადასახადი, რომელიც მიდის ბიუჯეტში. თუ არ გადარიცხე ეს 20 პროცენტი საშემოსავლო გადასახადი, გამოვა, რომ შენი წილი 20 პროცენტი მიითვისა დამქირავებელმა. ესე იგი, რა შედეგს ვიღებთ? **მე მჭირდება დახმარება და მე, ჩემი 20 პროცენტით ვეხმარები ჩემს დამქირავებელს?! ან დამქირავებელს რად უნდა ასეთი დახმარება?! ურჩევნია, საერთოდ მომიშოროს, არ მომცეს ხელფასი და მეც არაფერს დამარიცხავენ.**

**— არც ბიუჯეტში ჩაირიცხება ჩემი წილი საშემოსავლო გადასახადი.**

— არა მგონია, რომ ეს გადაწყვეტილება ნიჭიერად იყოს მოფიქრებული.

ან სიტყვა **დაერიცხოს** სწორად არ არის ნათქვამი — **დაექვითოს** უნდა იყოს. არაფერი არ დამიქვითონ და მთლიანად მომცენ ხელფასი! ეს ჩემთვის უფრო გასაგებიც არის და მისაღებიც.

ახლა მეორე გადასახადის საკითხი გავარჩიოთ: დღგ-ს მყისიერად დავაბრუნებთო, რომ იძახიან.

კაცო, არ გერჩიათ, ჩაგეხედათ საბუთებში? რატომ ართმევთ ამ დღგ-ს, თუ დასაბრუნებელი გაქვთ?! ამას გაცილებით სჯობდა, მოეშალათ საერთოდ ეს დრაკონული სისტემა.

როცა ვლაპარაკობთ კრედიტებზე, ბანკების მდგრადობაზე, ეს ყველაფერი ლარის მდგრადობის მნიშვნელოვნად განმაპირობებელი საკითხია. აქაც ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება: ვინ იქნება მაკონტროლებელი, რანაირად იქნება გამოყენებული ეს 600 მილიონი, რომლებიც ბანკებს მიეცემა, რატომ ხდება მაინცდამაინც ამ ახალი საკრედიტო პორტფელების გარანტირება და ა.შ.? ასეთ მოთხოვნებს ელოდებიან კრედიტებზე? შესასწავლია ეს საკითხიც. ეგებ, ეს არის კრედიტების დაფარვასთან დაკავშირებული პრობლემები? თუ ასეა, მაშინ ახალი საკითხი წარმოიქმნება: დეპოზიტების დაცვა როგორ მოხერხდება? ბანკს გასესხებული ფულის გარდა ნასესხებიც აქვს. ვინ დააზღვევს ჩემს დეპოზიტს, რომელიც ბანკში მაქვს? **კი, ჩემი პენსია დააზღვია და განაცხადა, რომ ინფლაციის კვალობაზე გაზრდიან, მაგრამ დეპოზიტს რა ეშველება?!**

**— პენსიებზეც მინდა გთხოვოთ კომენტარი.**

— პენსიები, როგორც გვპირდებოდნენ, 250 ლარი გახდება და ფულის ინფლაციის კვალზე გაიზრდება. ლარის კურსის მიმართ კი არა, ფასების ზრდის მიმართ.

**— დასასრულ, მიგაჩნიათ, რომ ამ შეკითხვებს ყურადღებას მიაქცევენ და გამოასწორებენ?**

— არა მგონია. მე უკვე გითხარით, რომ, რადგან არ არსებობს ჩემ მიერ აღნიშნული ცენტრი, არ აქვთ დაწყებული მსჯელობა, რა დღეში ვიმყოფებით, არ აგვიხსნეს დღევანდელობა, რომელიც კორონავირუსის პანდემიისას შეიქმნა... მოდი, იმედს ნუ დავკარგავთ, რომ მაისში, ახალ ბიუჯეტს რომ მიიღებენ, უფრო საფუძვლიანად მიუდგებიან საკითხებს, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

> **«ჩვენი მთავრობა ჯერჯერობით კარგად ვერ ითვალისწინებს, რა იქნება ცოტა ხანში, როცა გაჩნდება დეფიციტი არა მხოლოდ ცალკეულ პროდუქტზე, არამედ ფულად რესურსზე სახელმწიფო სექტორში, როგორ გაუჭირდებათ ხარჯების შეკავება, რამდენ დროს დაკარგავენ ცალკეული ხასიათის დანახარჯების (რომელთა ათვისებაც დაწყებულია) შეჩერებაზე და ა.შ. თავისუფლად ველარ განკარგავენ არსებულ სახსრებს. კორონავირუსმა ეს კარგად დაგვანახვა»**

თვალსაწიერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სააკაშვილისა და მისი მსგავსი პოლიტიკური ავანტიურისტების თავმოყრის მცდელობა უკრაინის უმაღლეს ხელისუფლებაში გათვლილია გარკვეული დაძაბულობის შექმნაზე რეგიონში. ანუ, როგორც ჩანს, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ კონფრონტაცია კიევსა და მოსკოვს შორის გადავიდეს ახალ, აქტიურ ფაზაში“.**



ნანა კაკაბაძე:

# როგორ წარმოგიდგენიათ მეგობრული ურთიერთობები ქვეყანასთან, რომლის ვიცეპრემიერი იქნება საქართველოში ძებნილი კრიმინალი?

**ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილი და საზღვარგარეთ გაქცეული ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, შესაძლო დანიშვნას უკრაინის ვიცეპრემიერად საქართველოს ხელისუფლება ოფიციალურ თბილისსა და კიევს შორის მეგობრული ურთიერთობების გაფუჭების წინაპირობად აფასებს. ამას მოწმობს პრემიერმინისტრ გიორგი გახარიას მიერ ცოტა ხნის წინათ მედიასთან გაკეთებული განცხადება, რომელიც უკრაინიდან ელჩის მოსალოდნელ გამოწვევას ეხებოდა (კონსულტაციებისთვის). ამას, აგრეთვე, მოწმობს უკრაინაში საქართველოს ელჩის, თეიმურაზ შარაშენიძის, შეფასებაც ორი ქვეყნის პარტნიორულ ურთიერთობაში გარკვეული დაძაბულობის გაჩენაზე. მაგრამ ამ პოლიტიკურ გზავნილებს შორის ყველაზე თამამი იყო პარლამენტის თავმჯდომარის, არჩილ თალაკვაძის, ღია წერილი უკრაინელი კოლეგისადმი.**

წერილში, რომლითაც **თალაკვაძემ** უზენაესი რადას სპიკერს, **დმიტრო რაზუმკოვს** მიმართა, ნათქვამია, რომ **სააკაშვილის** ვიცეპრემიერად დანიშვნა სერიოზულად შეარყევს ნდობას ორ ქვეყანას შორის (მოგვიანებით ეს წერილი მედიითაც გავრცელდა): „მისი შესაძლო დანიშვნა შეარყევს ურთიერთნდობას ჩვენს სახელმწიფოებსა და ინსტიტუტებს შორის, ჩრდილს მიაყენებს პოლიტიკურ თანამშრომლობას ჩვენს მთავრობებს შორის და ერთობლივ ძალისხმევას. ჩვენ ბევრი საერთო გამოწვევა და მიზანი გვაქვს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზაზე, აგრეთვე, ევროკავშირსა და ნატოში გაწევრების თვალსაზრისით. გწერთ, რადგან მჯერა, რომ ჩვენმა თანამოქალაქეებმა უნდა იცოდნენ ეს გარემოებები და ესმოდეთ ჩვენი შეშფოთების საფუძველი, რომელიც უკრაინელი კოლეგებისთვისაც უნდა იყოს ცნობილი გადაწყვეტილების მიღებამდე...“

**ცნობისთვის:** ქართულმა მართლმსაჯულებამ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა 2014 წლის ზაფხულში დაიწყო, რასაც ექსპრეზიდენტის მხრიდან ქვეყნის დატოვება და პასუხისმგებლობისთვის თავის არიდება მოჰყვა. მას შემდეგ იგი, როგორც ბრალდებული, დაკითხვაზე არაერთხელ გამოიძახეს, მაგრამ უმძიმეს დანაშაულებში ბრალდებულმა ყოფილმა პრეზიდენტმა სასამართლოში გამოცხადებაზე უარი თქვა და მიზეზად პოლიტიკური დევნა დაასახელა. ის ამჟამად უკრაინაშია და საქართველოს ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების დისკრედიტაციას იქიდან ცდილობს.

**რა ცვლილებები შეიძლება მოჰყვეს საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობაში სააკაშვილის ვიცეპრემიერად დანიშვნას, რა სირთულეებს შექმნის ჩვენთვის ეს საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე გვესაუბრება ადვოკატი და უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**

**— ქალბატონო ნანა, ბოლო პერიოდში ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ერთ-ერთი სამსჯელო თემა უკრაინის ვიცეპრემიერად სააკაშვილის შესაძლო დანიშვნაა. საქართველოს პრემიერმა და პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადეს, რომ ეს სავარაუდო დანიშვნა საქართველოსა და უკრაინის მეგობრულ ურთიერთობებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს. რას ნიშნავს საქართველოსთვის ეს ყველაფერი, რა ცვლილებები შეიძლება მოჰყვეს ამ პროცესს?**

— პირველი, რაც, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია ამ პროცესებში, არის ის, რომ სააკაშვილის დანიშვნით უკრაინა კიდევ ერთხელ წარმოაჩენს თავის პოლიტიკურ სისუსტეს. ეს იქნება პირდაპირი მაჩვენებელი იმისა, რომ უკრაინა არ არის დამოუკიდებელი ქვეყანა. მეტიც, ეს კიდევ ერთხელ ნათლად დაანახვებს ყველას, რომ თითქმის 50-მილიონიანი სახელმწიფოს ხელმძღვანელობა, რომელსაც პრეტენზია აქვს სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობაზე, მისი დამოუკიდებლობის გარანტად გამოცხადებული გარე ძალების ერთგვარი პოლიტიკური მძევალია. **სხვა ახსნა იმას, რომ მზად არიან, ერთი არაადეკვატური ადამიანის პოლიტიკურ მომავალს გადააყოლონ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის პერსპექტივა, უბრალოდ, არ აქვს.**

რაც შეეხება კონკრეტულად შეკითხვას, რა გავლენას მოახდენს ეს ყველაფერი ჩვენს პარტნიორობაზე, მარტივად შევხედოთ ამ ყველაფერს: ვთქვათ, დაუჭირა უკრაინის პარლამენტმა მხარი სააკაშვილის კანდიდატურას და დანიშნა ის ვიცეპრემიერად, **როგორ წარმოგიდგენიათ თანამშრომლობა და პარტნიორობა იმ ქვეყანასთან, რომლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თანამდებობის პირი აქ ვერ ჩამოვა და, თუ ჩამოვა, აეროპორტშივე დააკავებენ? როგორ წარმოგიდგენიათ მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნება სახელმწიფოსთან, რომლის მთავრობაშიც წარმოდგენილი იქნება ქართული მართლმსაჯულების მიერ უმძიმესი დანაშაულებისთვის ძებნილი კრიმინალი?**

**— დასაწყისში თქვით, რომ უკრაინის ვიცეპრემიერად სააკაშვილის დანიშვნა უკრაინის ხელისუფლების მხრიდან მასზე გარკვეული გარეძალების ზემოქმედების დემონსტრირება იქნება. რომელ ძალებს გულისხმობთ?**

— რა თქმა უნდა, აქ საუბარია იმ დასავლურ, აგრესიულ ნეოლიბერალურ ძალებზე, რომლებიც, მიუხედავად მსოფლიოში მიმდინარე ძირეული იდეოლოგიურ-პოლიტიკური გარდაქმნებისა, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე აისახა კონკრეტულ შედეგში ტრამპის გაპრეზიდენტებით, მაინც ინარჩუნებენ სერიოზულ გავლენას საერთაშორისო დონეზე. აი, ეს ძალები მფარველობენ დღეს სააკაშვილს და მის კლანს უკრაინაში, რაც ბოლოპერიოდში განსაკუთრებით თვალშისაცემია და მე თანავუგრძნობ უკრაინელ ხალხს, რომ მათი დღევანდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობა ხელდასხმულია ამ ძალების მიერ. საერთოდ, ვფიქრობ, რომ **სააკაშვილისა და მისი მსგავსი პოლიტიკური ავანტიურისტების თავმოყრის მცდელობა უკრაინის უმაღლეს ხელისუფლებაში გათვლილია გარკვეული დაძაბულობის შექმნაზე რეგიონში. ანუ, როგორც ჩანს, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ კონფრონტაცია კიევსა და მოსკოვს შორის გადავიდეს ახალ, აქტიურ ფაზაში.** მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ თუნდაც ვიცეპრემიერად დანიშვნის შემთხვევაში სააკაშვილის წონა და გავლენა უკრაინის სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრაში იქნება გადამწყვეტი. ცხადია, ასე არ იქნება, მაგრამ, თუ მსგავსი სუბიექტები სახელისუფლო ვერტიკალში იქნებიან წარმოდგენილნი, როგორც პოლიტიკური ბანაკი, მან, რა თქმა უნდა, გარკვეული ამინდი შეიძლება შექმნას...

**— დავუბრუნდეთ საქართველოს. თავის დროზე ჩვენმა მართლმსაჯულებამ არ თუ ვერ წარმოადგინა ისეთი მტკიცებულებები სააკაშვილის წინააღმდეგ, რომელთა საფუძველზეც უკრაინის ხელისუფლება საჭიროდ ჩათვლიდა მის ექსტრადიციას საქართველოში. პროკურატურამ მაშინ ამაზე ბუნდოვანი განმარტებები გააკეთა და სასამართლო პროცესები ბრალდებულის დაუსწრებლად წარიმართა. რატომ ვერ შეძლო გამოძიებამ ექსპრეზიდენტის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნა უფრო მკაცრად და ეფექტიანად მაშინ, როცა მისი დანაშაულების დასამტკიცებლად ფაქტებისა და მოწმეების ნაკლებობა ნამდვილად არ იყო?**

— როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, რომ თითქმის 50-მილიონიანი უკრაინა არ არის რეალურად დამოუკიდებელი და გარკვეული გარე ძალების გავლენის გამო ვერ განსაზღვრავს თავის პოლიტიკურ მომავალს, ცხადია, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ **უკრაინაზე ათჯერ და ოცჯერ პატარა საქართველოზე ასევე დიდია იმ ძალების გავლენა. ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, საქართველო დღემდე რჩება მსოფლიო ლიბერალური ელიტის დომინიონად. ასე რომ, ბუნებრივია, აქაც, ისევე, როგორც უკრაინაში, პოლიტიკური ხელმძღვანელობა მთლიანად არის მართული.** რაც შეეხება სააკაშვილის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის არაეფექტიანად განხორციელებას, აქაც ყველაფერი იყო ძალიან მარტივად: **პროკურატურას ჰქონდა მტკიცებულებები, იყო რიგი დოკუმენტებისა, რომლებიც, როგორც ორჯერ ორი ოთხი, ისე ცხადყოფდა სააკაშვილისა და მისი უახლოესი გარემოცვის უმძიმეს დანაშაულებს, მაგრამ, როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, მმართველმა გუნდმა ვერ გარისკა ამ მტკიცებულებების სრულად გასაჯაროება, რადგან ეს დოკუმენტები იყო სკანდალური და ცხადყოფდა არა მხოლოდ სააკაშვილის, არამედ მისი დასავლელი პოლიტიკური გარანტორების პასუხისმგებლობასაც. მხედველობაში მყავს ხალხი, რომელიც სააკაშვილს დემოკრატიის შუქურად იხსენიებდა და ტაშს უკრავდა, როცა „ნაცმოძრაობა“ სისხლის გუბეებს აყენებდა თბილისის ქუჩებში.** აი, ეს იყო ის უმთავრესი გარემოება, რომელმაც „ოცნება“ თავიდანვე შეიყვანა ჩიხში და მალე ის კომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

> **«პროკურატურას ჰქონდა მტკიცებულებები, იყო რიგი დოკუმენტებისა, რომლებიც, როგორც ორჯერ ორი ოთხი, ისე ცხადყოფდა სააკაშვილისა და მისი უახლოესი გარემოცვის უმძიმეს დანაშაულებს, მაგრამ, როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, მმართველმა გუნდმა ვერ გარისკა ამ მტკიცებულებების სრულად გასაჯაროება, რადგან ეს დოკუმენტები იყო სკანდალური და ცხადყოფდა არა მხოლოდ სააკაშვილის, არამედ მისი დასავლელი პოლიტიკური გარანტორების პასუხისმგებლობასაც»**

**— ხელისუფლება რომ არ დამორჩილებოდა გარე ძალების კარნახს და წარმოედგინა ყველა მტკიცებულება სააკაშვილის წინააღმდეგ, ყოფილ პრეზიდენტს რა სახის სასჯელი შეიძლებოდა მიეღო?**

— კიდევ გავიმეორებ: **სააკაშვილის დანაშაულების სრულად გამომზეურება დოკუმენტების, მტკიცებულებების დონეზე პირდაპირ იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატების იმჟამინდელი ხელისუფლების მხილება სისხლიანი რეჟიმის მხარდაჭერაში და არა მხოლოდ. ამით, პრაქტიკულად, მოხდებოდა თეთრი სახლის დისკრედიტაცია, რაზეც გარკვევით უთხრეს, რომ არ უნდა წასულიყვნენ.** სასჯელს რაც შეეხება, ნებისმიერი ფორმით შეიძლებოდა, „ოცნებას“ მიეღო უმძიმესი უკუშედეგი სანქციების, შეზღუდვების, იზოლაციის სახით და მათ შორის, რა თქმა უნდა, გამორიცხული არ იქნებოდა ევრომაიდნის მსგავსი არეულობაც. ყოველ შემთხვევაში, აგრესიული დასავლური ლიბერალური ელიტა რომ გულხელდაკრეფილი არ შეხედავდა მის მხილებას, ცხადია, თუმცა ეს არ ამართლებს იმას, რომ ხელისუფლება არ აღმოჩნდა დამნაშავის სამართლებრივ დევნაში ბოლომდე პრინციპული და ეს დამნაშავე დღეს ისევ ცდილობს, იტივტივოს გარკვეული პოლიტიკური პროცესების ზედაპირზე.

**— როგორ ფიქრობთ, იმის გათვალისწინებით, რომ სააკაშვილს გარკვეული დასავლური ძალები ვერ ელევიან და მუდმივად ცდილობენ მის წინა პლანზე წამოწევას, რამდენად დიდია საფრთხე, თუნდაც წლების შემდეგ ისევ სცადოს საქართველოში დაბრუნება?**

— **თუ საქართველოში სააკაშვილი დაბრუნდება, ეს ნიშნავს, რომ აქ უკვე ხელახლა ჩატარდება პოლიტიკური სპექტაკლი სახელწოდებით „ვარდების რევოლუცია“ და საზოგადოებას ისევ დაედგმება რქები.** სხვანაირად მე მისი დაბრუნება ვერ წარმომიდგენია, თუმცა არ მგონია, რომ ჩვენი საზოგადოება ამას დაუშვებს. საერთოდ, მიმაჩნია, რომ სამყაროს წარმართავს ბოროტი და კეთილი ძალები და ვიმედოვნებ, რომ საბოლოოდ კეთილი გაიმარჯვებს ბოროტებაზე.

რაც შეეხება უკრაინას, თუ არ ვცდები, **უკრაინის პარლამენტი 30 აპრილს აპირებს სააკაშვილის კანდიდატურისთვის კენჭისყრას. თუ მას მხარი დაუჭირეს, ეს იქნება საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ღირსების ხელყოფა. ეს იქნება უკვე ღია, მკაფიო გზავნილი ლიბერალური დასავლეთის მხრიდან ორივე ქვეყნისთვის, რომ მისთვის ერთი პოლიტიკური გიჟი და ავანტიურისტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საქართველო და უკრაინა.** ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: პოლიტიკაში გვამები ვერ ცოცხლდებიან. რაც უფრო ხშირად შეეცდებიან, გაქცეული ოდიოზური ფიგურები გააცოცხლონ და გააქტიურონ, მით მეტად გაზრდიან საზოგადოების აგრესიას მის მიმართ, მით უფრო გაიშიშვლებენ საკუთარ თავსაც და ხალხს კიდევ უფრო ცხადად დაანახვებენ, რა ზრახვები აქვთ რეალურად.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**არავინ იცის, რას გადაწყვეტს უკრაინის რადა, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილის დანიშვნა ვიცეპრემიერის თანამდებობაზე უკრაინასა და რუსეთს შორის დიალოგის შესაძლებლობას მინიმუმამდე კი არ დაიყვანს, უბრალოდ, გააქრობს. მიშა აუცილებლად იქნება სატელევიზიო შოუების გმირი და ზელენსკი აუცილებლად მიხვდება, რომ პრეზიდენტობამდე რამდენი მასხარის (სხვათა შორის, მათ შორის მიშაც იყო) როლიც შეუსრულებია, ზღვაში წვეთი იქნება იმ ტაკიმასხარაობასთან შედარებით, რომელსაც სააკაშვილი დადგამს.**

კლოუნადა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მიშას დანიშვნით უკრაინელი ხალხი პურს არა, მაგრამ სანახაობას აუცილებლად მიიღებს

**როცა ყველასთვის მოულოდნელად უკრაინის პრეზიდენტად ვლადიმერ ზელენსკი აირჩიეს, ქართულმა ოპოზიციამ მაშინვე ტაში შემოჰკრა, — აქაოდა, მიხეილ სააკაშვილი უკრინულ პოლიტიკაში კვლავ დაბრუნდება და თავის სიტყვას იტყვისო. არადა, ზელენსკიმ არჩევიდან დაახლოებით ერთ კვირაში განაცხადა: „სააკაშვილის მიმართ პოლიტიკური გეგმები არ არსებობს. გეგმა იყო ძალიან მარტივი, ადამიანური: მე ვუთხარი პრესას, რომ მას პასპორტი ჩამოართვეს უკანონოდ და სწორედ ამიტომ დავუბრუნე. ეს არის და ეს. სააკაშვილმა მადლობის ვიდეო ჩაწერა და სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა. ის მწერდა WhatsApp-ზეც, მაგრამ რატომ მიხდის მადლობას? მე ჩემი საქმე გავაკეთე, შევასრულე ჩემი დაპირება. ძალიან ცოტა დაპირებებს გავცემ, მაგრამ მინდა, ყველა შევასრულო...“**




ახლა კი ირკვევა, რომ სააკაშვილი შედის ზელენსკის გეგმებში. უფრო სწორად, შედის პიროვნება, რომელიც მისი სტრატეგიული პარტნიორის, მეგობარი ქვეყნის ექსპრეზიდენტია, თანაც როგორი ექსპრეზიდენტი — ძებნილი, სასჯელმისჯილი, რომლის გისოსებს მიღმა ხილვა მთელი ერის ოცნებადაა ქცეული... ამ კაცს ზელენსკი ვიცეპრემიერის პოსტს სთავაზობს.

მოდი, რიგითობით მივყვეთ. იმის მიუხედავად, რომ სააკაშვილმა არაერთხელ განაცხადა, — უკრაინულ პოლიტიკაში დაბრუნების სურვილი მაქვსო, მისი სიტყვები ზელენსკის არ ესმოდა. ის არ აპირებდა მიშას დასაქმებას და ამის თაობაზე მინიშნებაც კი არ გაუკეთებია. სააკაშვილი მისთვის იყო რიგითი ადამიანი, რომელსაც სურდა პოლიტიკური თანამდებობა, დაახლოებით ისევე, როგორც რამდენიმე ათასს უკრაინაში, მაგრამ მოულოდნელად სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და პანდემიის გავრცელების პირობებში უკრაინაში სააკაშვილის ვიცეპრემიერობაზე ალაპარაკდნენ. ამას წინ უძღვოდა იმ კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევები, რომელიც კვლევებს საქართველოში ატარებს. **ეს ორგანიზაცია ამერიკელთა მიერ დაფინანსებული და ხელდასხმულია. მისი სჯერა ამერიკას და არა იმ ქვეყნის მოქალაქეებს, რომელშიც კვლევა ტარდება. საქართველოს დარად, წლებია, უკრაინაში დასავლური არასამთავრობოები ატარებენ კვლევებს და ჯერჯერობით ვერც იქ მოინახა ადამიანი, რომელიც აღნიშნული ორგანიზაციის წევრების მიერ იქნებოდა გამოკითხული.** გამოკითხვის შედეგები, უბრალოდ, იდება, შემდეგ მიდის მსჯელობა და განხილვა. ჰოდა, ამ კვლევებით „დადასტურდა“, რომ **თურმე სრულიად უკრაინას თანამდებობაზე სწორედ სააკაშვილის ხილვა სურს.** ჰოდა, აგორდა ბედის ბორბალი და თან ისე მძლავრად, რომ უკრაინის რადა სააკაშვილის ვიცეპრემიერობას კენჭს უყრის. ჯერჯერობით ზელენსკის კომენტარი რ გაუკეთებია, ეჭვი გვაქვს, საკუთარ სიტყვებს გაახსენებენ და არ უნდა კამერების წინ გაშავება. და მაინც, **რატომ გახდა უკრაინის პრეზიდენტისთვის თავის დროზე მიუღებელი პირი, საქართველოში ძებნილი და სასჯელმისჯილი სააკაშვილი, უცებ სასურველი?**

რეალობა არის ის, რომ, **რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, „გამოუცდელი“ ზელენსკი არ წამოეგო დასავლეთის წამაქეზებელ ანკესს და კონფლიქტის ზონაში ომი არ გაუმართა რუსეთს. შემდეგ თქვა: ახლა ომის კი არა, მოლაპარაკებების დროაო, და მზადყოფნა გამოთქვა, რუსეთის პრეზიდენტთან ერთად მოლაპარაკებების მაგიდასთან დამჯდარიყო, მაგრამ, ნურას უკაცრავად** — ეს დასავლეთს ზუსტად ისევე არ აძლევს ხელს, როგორც საქართველოსა და რუსეთის უმაღლესი პირების შეხვედრა.

**ძალიან დიდი შანსია, რომ როგორც უკრაინის, ისე საქართველოს შემთხვევაში, მხარეებმა მშვიდად მოილაპარაკონ ყველა კონფლიქტურ საკითხზე თუ სადავო თემის მოგვარებაზე და დასავლეთი თამაშგარე მდგომარეობაში დარჩეს. მერე გამოვა, რომ უკრაინა და საქართველო აღარ დაიწყებენ მუდმივ რეჟიმში ნატოს კარის მტვრევას, აღარ გამოეკიდებიან და ჩამოეკიდებიან დასავლურ გრანტებს, აღარ იქნებიან ძია სემის ვასალები.**

თუ გახსოვთ, ლავროვისა და ზალკალიანის შეხვედრის შემდეგ რომ ითქვა, პუტინისა და გახარიას შეხვედრა მზადდებაო, რა დღეში ჩავარდა დასავლეთი? ისიც **გემახსოვრებათ, დავოსის ფორუმის დიდი ტრიბუნიდან გახარიას რომ გააკრიტიკებინეს რუსეთის პრეზიდენტი. ჩვენი პრემიერი იყო ერთადერთი, ვინც ის გააკრიტიკა, დანარჩენები მშვიდად ხვდებოდნენ ვლადიმერ პუტინს, მეგობრულად მხარზე ხელსაც უტყაპუნებდნენ და სამომავლო გეგმებსაც ერთად სახავდნენ. ჩვენი და რუსეთის პირველი პირების შეხვედრა კი სწორედ ამ კრიტიკის შემდეგ ჩაიშალა.**

ანალოგიური კარუსელი დატრიალდა უკრაინაშიც. როგორც კი ზელენსკი მიხვდა, რომ მისი ქვეყნის მშვიდობის გასაღები მეზობელ სახელმწიფოშია და, როგორც კი თქვა, მზად ვარ, პუტინს შევხვდეო, მაშინვე ამოქმედდა მანქანა და ჯიუტ ზელენსკის მინისტრთა კაბინეტში სააკაშვილს უსვამენ. მიშას ფაქტორი რუსეთზე როგორ იმოქმედებს, კარგად მოგეხსენებათ.

**თუ უკრაინის რადა მიშას დანიშვნას მხარს დაუჭერს, გახარია ვერაფერს გააწყობს და იცით, რატომ? დასავლეთი არ დაანებებს. ზუსტად ისე არ დაანებებს, როგორც დღეს არსებული სისტემით არჩევნების ჩატარება არ დაანება და გახარიას, კალაძის, კობახიძის, თალაკვაძისა და სხვა ლიდერთა განცხადება, კოდექსი არ შეიცვლებაო, ერთ კვირაში ელჩების ხელით ისე მარტივად ამოაყირავა, თქვენი მოწონებული**

**საკმარისი იქნება ამერიკელების ხელის ერთი აქნევა, რომ სააკაშვილმა ომიც კი გამოუცხადოს რუსეთს, მის პრეზიდენტს პირდაპირ ეთერში აგინოს და მოლაპარაკებების მცირე პერსპექტივაც კი დაასამაროს. სწორედ ეს არის ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ სააკაშვილს, ამ სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობით, უკრაინის მთავრობაში ტენიან**, თორემ რა ჩიტიც დაიჭირა **პეტრო პოროშენკომ** გუბერნატორად მისი დანიშვნით, ერთად ვნახეთ. ზელენსკის აშკარად არ უნდა, იმავე ნალმზე აფეთქდეს, რომელზეც მისი წინამორბედი, მაგრამ სხვა გზას არ უტოვებენ და ახლა ერთადერთ იმედად რჩება რადა, რომელმაც, შესაძლოა, მხარი არ დაუჭიროს სააკაშვილის დანიშვნას, თუმცა...

„რა თქმა უნდა, მსგავს ნაბიჯს საქართველოს მხრიდან შესაბამისი რეაქცია მოჰყვება. უკრაინელი ხალხი არის ჩვენთვის მოძმე ხალხი. უკრაინის სახელმწიფო არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი და ამას გრძელვადიან პერსპექტივაში ვერ შეცვლის ვერაფერი, ვერანაირი ვიწროპოლიტიკური კონიუქტურა. მაგრამ სტრატეგიული პარტნიორის მიერ საქართველოში მძიმე დანაშაულებისთვის უკვე გასამართლებული, მისჯილი და ძებნილი ადამიანის ვიცეპრემიერად დანიშვნა ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია, ისევე, როგორც, ჩემთვის მიუღებელია ჩემი ქვეყნის პრეზიდენტის უკრაინის რომელიღაც რესტორანში თმით თრევა და პოლიციის ძალით იქიდან გამოყვანა“, — ეს გიორგი გახარიამ განაცხადა.

მართლა ვერ გეტყვით, რატომ არის ჩვენი პრემიერისთვის მიუღებლი „საქართველოში მძიმე დანაშაულებისთვის უკვე გასამართლებული, მისჯილი და ძებნილი ადამიანის“ თმით თრევა, მაგრამ მან ისიც თქვა, — თუ სააკაშვილი უკრაინაში თანამდებობას დაიკავებს, ჩვენს ელჩს, სულ ცოტა, კონსულტაციებისთვის გამოვიწვევთო. აი, ჩვენ კი გვგონია, რომ, **თუ უკრაინის რადა მიშას დანიშვნას მხარს დაუჭერს, გახარია ვერაფერს გააწყობს და იცით, რატომ? დასავლეთი არ დაანებებს. ზუსტად ისე არ დაანებებს, როგორც დღეს არსებული სისტემით არჩევნების ჩატარება არ დაანება და გახარიას, კალაძის, კობახიძის, თალაკვაძისა და სხვა ლიდერთა თავდაჯერებული განცხადებები, კოდექსი არ შეიცვლებაო, ერთ კვირაში ელჩების ხელით ისე მარტივად ამოაყირავა, თქვენი მოწონებული.** ჰოდა, იმავე ელჩების ხელით ჩვენს პრემიერს აუცილებლად დაუხშობენ საინფორმაციო ღრუს და ქართული მხარე ამ მიმართულებით შეშფოთება-აღშფოთების ძახილს ვერ გასცდება.

ერთი შეხედვით, ევროპასა და ამერიკას მარტივად შეუძლიათ საქართველოსა და უკრაინას თავი დაანებონ და რუსეთზე იერიში თვითონვე მიიტანონ, თვითონ აკრიტიკონ, ჩაუყონ დათვს თავი ხახაში, მაგრამ არა. მაშინ რუსეთთან ის სავაჭრო ურთიერთობები, რომლებიც არსებობს, შესაძლოა, საფრთხის ქვეშ დადგეს და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ბაზარი მათი პროდუქციისთვის მიუწვდომელი გახდეს. ასეთ შემთხვევაში კი **ისინი მილიარდებს იზარალებენ და რატომ, როცა მარტივად შეიძლება, რამდენიმე მილიონი მიუგდო საქართველოსა და უკრაინას და ისინი აყეფო?!** ჰო, სწორედ რომ აყეფო, რადგან, როგორც საქართველოს, ისე უკრაინის პირველი პირების ხმა რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. რომ გითხრათ, ამას ქართული ან უკრაინული მხარე ვერ ხვდება-მეთქი, არ იქნება მართალი. ისინი კარგად ხვდებიან, რომ ზესახელმწიფოების ომში პაიკები არიან, მაგრამ თითქოს სხვა გზა არ ჩანს, თითქოს სხვა პერსპექტივა არ არის და ამის მიზეზიც მარტივია — **კურსის შეცვლა იმის მანიშნებელი იქნება, რომ ხელისუფლებებმა 30 წელი ქვეყანა არასწორი მიმართულებით ატარეს და თავიანთ მოსახლეობას, უბრალოდ, ატყუებდნენ. ეს კი პოლიტიკური განაჩენია.**

დასასრულ — არავინ იცის, რას გადაწყვეტს უკრაინის რადა, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილის დანიშვნა ვიცეპრემიერის თანამდებობაზე უკრაინასა და რუსეთს შორის დიალოგის შესაძლებლობას მინიმუმამდე კი არ დაიყვანს, უბრალოდ, გააქრობს. მიშა აუცილებლად იქნება სატელევიზიო შოუების გმირი და ზელენსკი აუცილებლად მიხვდება, რომ პრეზიდენტობამდე რამდენი მასხარის (სხვათა შორის, მათ შორის მიშაც იყო) როლიც შეუსრულებია, ზღვაში წვეთი იქნება იმ ტაკიმასხარაობასთან შედარებით, რომელსაც სააკაშვილი დადგამს.

პურის რა გითხრათ, მაგრამ მიშას დანიშვნით უკრაინელი ხალხი სანახაობას აუცილებლად იხილავს.

**ბესო ბარბაქაძე**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geoworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**შესაძლოა, რაღაც მცირე პროცენტით მართლაც შეუწყო ხელი ვირუსის გავრცელების შეჩერებას ავტომობილებით გადაადგილების აკრძალვამ, მაგრამ სამაგიეროდ იმდენი ზარალი, პრობლემა და, შესაძლოა, მსხვერპლიც მოიტანა, რომ ეს მეთოდი იმად ნამდვილად არ ღირდა, რომლისთვისაც გამოიყენეს.**

# ნაბან წყალს გადაყოლებული ბავშვი და სხვა ექსკლუზიური ქართული თავისებურებები

**არ ვიცი, მსოფლიოს რომელიმე ქვეყნის ექიმებმაც ისე დაუნდობლად დასცხეს თუ არა ერთმანეთს ახალი კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლისას, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველო ამ მხრივაც მოწინავე ადგილს იკავებს ევროპის ქვეყნებს შორის. ვგულისხმობ იმას, რომ უცხოეთში „მოღვაწე“ ქართველ ექიმთა ნაწილი, რომელთა უკან აშკარად დგას კრიმინალი პრეზიდენტყოფილი მიხეილ სააკაშვილი, ღიად დაუპირისპირდა ქართველ ექიმთა იმ ჯგუფს, რომელიც პრაქტიკულად იბრძვის ჩვენს ქვეყანაში „კოვიდ 19“-ის წინააღმდეგ და უნდა ითქვას, საკმაოდ შედეგიანად.**

ამით იმიტომ დავიწყე სტატია, რომ არავინ შემომედავოს, თითქოს აქაურ ექიმებს ვუპირისპირდებოდე და მათ ჯაფასა და ღვაწლს არ ვაფასებდე. არც იმ „კლასტერიდან“ ვარ, რომლის წევრებსაც მიაჩნიათ, რომ „კოვიდ-19“ საერთოდ არ არსებობს და ეს მსოფლიო მასშტაბის ბლეფია... არა, უბრალოდ, მე მინდა იმაზე გავამახვილო ყურადღება, რასაც „ნაბან წყალს ბავშვის გადაყოლების“ ფენომენი და, საზოგადოდ, „გადაჭარბება“, „გადარადიკალურება“ ჰქვია.

კერძოდ, მაინტერესებს, **იმ კონკრეტული აკრძალვის კიდევ ერთი კვირით ძალაში დატოვება, რომლის მიხედვითაც ქალაქებში შიგნითაც სრულიად იკრძალებოდა მსუბუქი ავტომობილების გადაადგილება — მართლა ექიმებმა ურჩიეს ჩვენს მთავრობას თუ რომელიმე მთავრობის წევრის ჯიუტი და ხეპრე ახირება იყო?**

ევროპასთან შედარება კი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ, როგორც გავარკვიე, მსოფლიოს არც ერთ სხვა ქვეყანაში მსგავსი აკრძალვა არ ყოფილა. **თვით იტალიის, ესპანეთისა და საფრანგეთის იმ ქალაქებშიც კი, რომლებშიც ინფიცირების ყველაზე მეტი შემთხვევა აღირიცხა და „წითელ ზონებად“ გამოცხადდა, არავის აზრად არ მოსვლია, ავტომობილებით გადაადგილება აეკრძალა ისედაც სასტიკ გაჭირვებაში მყოფი ადამიანებისთვის.**

უფრო ზუსტად, საუბარია ამ აკრძალვის კიდევ ექვსი დღით გაგრძელებაზე სააღდგომო დღესასწაულების ჩავლის შემდეგ. კი, ბატონო, სააღდგომო დღეებშიც არ ვეთანხმებოდით იქნებ ასეთ კატეგორიულ აკრძალვებს, მაგრამ ხმა მაინც არ ამოგვიღია. კარგი, იყოს ერთგვარი დაზღვევა, რომ სასაფლაოებს არ მიაწყდეს მანქანების ნაკადი და უკონტროლო სიტუაცია არ შეიქმნასო, მაგრამ, 22-დან 27 აპრილის ჩათვლით, ანუ კიდევ 6 დღით ამ იდიოტობის გაგრძელება, დავიჯერო, მართლა ექიმებმა ურჩიეს მთავრობას?!

ასე იყო თუ ისე, ფაქტია, ამან მაინც ინდიკატორივით იმუშავა და მთავრობა მეორე დღესვე მიხვდა, რაც მიჰქარა. პრემიერმინისტრის მრჩევლის, **ირაკლი ჩიქოვანის,** ნაუცბათევად დანიშნული ბრიფინგი, მისი გათანგული სახე და ნერვიული ტონიც ამას მიანიშნებდა.

სოციალური ქსელი მართლაც აფეთქდა მთავრობის ლანძღვა-გინებამ. ყველასთვის ცნობილი „გამპრავებლების“ გუნდიც კი ხმას ვერ იღებდა — შოკში იყო. ერთმა „ფეისბუკ-მომხმარებელმა“ სწორად და მახვილგონივრულად შენიშნა — „ქართული ოცნება“ იმ ძროხასავით მოიქცა, ერთ ვედრო რძეს რომ მოგაწველინებს, კმაყოფილი ხარ და უცებ ბოლო ჩამოწველაზე წიხლს ჰკრავს და ერთიანად დაღვრისო.

საქართველოს მთავრობის მიერ თავდაპირველად გადადგმული ნაბიჯებით მართლაც ბევრი იყო კმაყოფილი. ვერ დავმალავთ. იმსახურებდა თუ არა ამ კმაყოფილებას რეალურად მთავრობა, ეგ სხვა საკითხია. ფაქტია, რომ ხალხი ნამდვილად იყო კმაყოფილი, — საქართველოს მთავრობამ ყველაზე კარგად დაგვიცვა საშიში ვირუსისგანო...

მაგრამ ამ იდიოტური აკრძალვის გახანგრძლივების გამოცხადება იყო და „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი ფანატიკოსებიც კი გინებაზე გადავიდნენ.

რა მოხდა? ელემენტარული რამ — ქებამ ხიბლში არ უნდა შეგიყვანოს და ზედმეტები არ უნდა მოგივიდეს. აი, ავტომობილებით გადაადგილების აკრძალვის გაგრძელება კი არათუ ზედმეტობა, არამედ ხალხის ფეხებზე დაკიდება იყო და მათ საშიმშილოდ გაწირვას ნიშნავდა.

ამიტომაც იხუვლა ხალხმა და ამიტომაც შეეცვალათ ფერი გახარია-ჩიქოვანს, თუმცა ორიოდე დღეს მაინც სცადეს საზოგადოებასთან ჯიუტობა, მაგრამ საბოლოოდ, გიორგი გახარიას კეთილგონიერებამ სძლია და, როდესაც თქვენ ამ სტრიქონებს კითხულობთ, თბილისში უკვე თავისუფლად დადიან ავტომობილები. ამის იმედს გვაძლევს გიორგი გახარიას სიტყვები: **„ჩვენ მიერ კორონავირუსთან საბრძოლველად მიღებული ზომები არ უნდა იყოს ისეთი მკაცრი, რომ ეკონომიკურმა ან სხვა ტიპის ზარალმა და ვირუსის შესაჩერებლად გაღებულმა გარკვეულმა მსხვერპლმა გადააჭარბოს „კოვიდ-19“-ის გავრცელების შედეგად მიღებულ სავარაუდო ზარალსა და მსხვერპლს“.**

ეს ფრაზა პრემიერმინისტრმა პარასკევს, 24 აპრილს, თქვა და იქვე დაამატა, რომ ორშაბათიდან უკვე უპირობოდ იქნება დაშვებული ავტომობილებით მოძრაობა ქალაქებში და ამ აკრძალვის მოხსნა-დატოვებაზე მთავრობა აღარც იმსჯელებს.

როგორც ჩანს, ხალხის უმძაფრესმა რეაქციამ მთავრობა მართლაც შეაჯანჯღარა და აზრზე მოიყვანა. ვნახოთ, დაიწყებს თუ არა ხელისუფლება ამ მართლაც ყველაზე იდიოტური, არასაჭირო და არაადეკვატური აკრძალვის შემდეგ სხვა, შედარებით ნაკლებად იდიოტური, მაგრამ მაინც ზედმეტად მკაცრი აკრძალვების ეტაპობრივ და გააზრებულ გაუქმებას.




**კორონავირუსთან ბრძოლას ქართველ საზოგადოებაში არაადეკვატურობა სხვა მხრივაც ახასიათებს. მაგალითად, საოცრად არაადეკვატურია ცნობილი სლოგანი — «შენ დარჩი სახლში ჩემთვის, მე ვიმუშავებ შენთვის», რომელსაც ხშირად იმეორებს ტელეეკრანიდან სხვადასხვა სახე. ამ ფრაზის თქმის უფლება ვისაც აქვს, ექიმები და პოლიციელები არიან. მაინტერსებს, ვინ მოიფიქრა, რომ ეს ფრაზა ტელესახეებსა და სხვა «გასართობი» პროფესიების წარმომადგენლებსაც ათქმევინოს. მათი პირიდან ხომ ეს უკვე გამაღიზიანებლად და მეტიც, ცინიკურადაც კი ისმის?!**

კიდევ ვიმეორებ — არ მივეკუთვნები ადამიანთა იმ ჯგუფს, რომელიც კორონავირუსთან დაკავშირებით რაღაც შეთქმულებისა და კონსპირაციის თეორიებს აყალიბებს და აცხადებს, რომ ვირუსი საერთოდ არ არსებობს და ეს მსოფლიო დონის თაღლითობაა.

თუმცა, **რამდენადაც რადიკალურად სულელურია ასეთი ადამიანების ეს „შეთქმულების თეორიები“, მეორე მიმართულებით იმდენად რადიკალური და ზედმეტია მედიის გააფთრებული, დამაშინებელი და დამზაფრავი სიუჟეტები „კოვიდ-19“-ის შესახებ და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული „ზედმეტად მზრუნველი“ ზომები ამ ვირუსთან საბრძოლველად.**

ავტომობილებით გადაადგილების სრულიად იდიოტური აკრძალვის მაგალითზე რომ განვიხილოთ, როგორც გითხარით, თავიდან „ქართული ოცნების“ ხელფასიან „გამპრავებლებსაც“ შოკი ჰქონდათ, მაგრამ მერე ნელ-ნელა მოვიდნენ აზრზე და დაიწყეს არაადეკვატური „არგუმენტების“ წერა სოციალურ ქსელში — „ავტომობილებით გადაადგილების შეზღუდვა დამატებითი რაღაც გარკვეული პროცენტით მაინც ხომ შეაჩერებს ვირუსის გავრცელებას? ამიტომ მოვითმინოთ ცოტა“; „ავტომობილით ხომ უფრო ბევრ ადგილზე მივა ადამიანი და უფრო მეტი კონტაქტი ექნება, ვიდრე ფეხით? ესე იგი, ეს ხელს უშლის ვირუსის გავრცელებას“ და ა.შ.

„არგუმენტები“ ისე უსუსური იყო, რომ მათ წაკითხვა ნორმალურ ადამიანებში გაღიზიანებასა და აგრესიას იწვევდა.

„კარგი, გასაგებია. მაშინ, მოდი, საერთოდ, ჯაჭვებით მიგვაბით ერთმანეთის მოშორებით ხეებზე, საერთოდ ვერ ვიმოძრავებთ და არ გავრცელდება ვირუსი!“ „რა ქენით, იცით, სახლის კარი გარედან დაგვიდუღეთ „სვარკით“ და საერთოდ ველარ გამოვალთ და ვირუსიც ვერ გავრცელდება“, — ასეთი გროტესკით პასუხობდა ხალხი მთავრობის ამ სულელური ქმედების დებილურად „გამპრავებელთა“ უაზრო „არგუმენტებს“.

მართალიც არის — კი, **შესაძლოა, რაღაც მცირე პროცენტით მართლაც შეუწყო ხელი ვირუსის გავრცელების შეჩერებას ავტომობილებით გადაადგილების აკრძალვამ, მაგრამ სამაგიეროდ იმდენი ზარალი, პრობლემა და, შესაძლოა, მსხვერპლიც მოიტანა, რომ ეს მეთოდი იმ მიზნად ნამდვილად არ ღირდა, რომლისთვისაც გამოიყენეს.**

დიახ, მსხვერპლი! მაგალითად, ჩემმა ნაცნობმა ამ სულელური აკრძალვის გამო დროზე ვერ მოუტანა წნევის დამწევი საშუალება ასაკოვან დედას, რადგან აფთიაქი მისი სახლიდან ორ კილომეტრშია, ავტომობილით თუ 10 წუთში მოიტანდა, ფეხით ამას 40 წუთი მოანდომა და შინ დაბრუნებულს დედა უკვე გონდაკარგული დახვდა.

და ეს იმ ფონზე, როდესაც ავტომობილით მისი აფთიაქში წასვლა არავის არავითარ საფრთხეს არ შეუქმნიდა. იმედი მაქვს, „ცხელ ხაზებზე“ და მსგავს სისულელეებზე არავინ დაიწყებს საუბარს, რადგან 144-ზე მთელი კვირის განმავლობაში ვრეკავდი ინტერესის გამო და ერთხელაც ვერ მოვახერხე დაკავშირება 100-ზე მეტი მცდელობიდან.

ამ სტატიასაც იმიტომ ვწერ, რომ იმედი მაქვს, თუკი ვინმე ამას წაიკითხავს ჩვენი ბედოვლათი მთავრობიდან, დაფიქრდება და არაადეკვატურ, მიზანშეუწონელ აკრძალვებს აღარასოდეს დააწესებენ. ეს იმას ჰგავს, ბავშვი რომ ლექსს კარგად იტყვის, შეაქებ, გაუხარდება და მერე მთელი დღე უკან დაგდევს და ყურში ლექსებს ჩაგყვირის, ხოლო „რეპერტუარი“ რომ ამოეწურება, შექებისგან გათამამებული, უკვე იმაზე გადადის, — ნახე რა მაგარი გინება ვიციო.

კორონავირუსთან ბრძოლას ქართველ საზოგადოებაში არაადეკვატურობა სხვა მხრივაც ახასიათებს. მაგალითად, საოცრად არაადეკვატურია ცნობილი სლოგანი — **„შენ დარჩი სახლში ჩემთვის, მე ვიმუშავებ შენთვის“,** რომელსაც ხშირად იმეორებს ტელეეკრანიდან სხვადასხვა სახე. ამ ფრაზის თქმის უფლება ვისაც აქვს, ექიმები და პოლიციელები არიან. მაინტერსებს, ვინ მოიფიქრა, რომ ეს ფრაზა ტელესახეებსა და სხვა „გასართობი“ პროფესიების წარმომადგენლებსაც ათქმევინოს. მათი პირიდან ხომ ეს უკვე გამაღიზიანებლად და მეტიც, ცინიკურადაც კი ისმის?! მოდი რა, **თუ „ჩემთვის მუშაობთ“, მაშინ იქნებ ეგ თქვენი სამნიშნა ხელფასებიც მე დამირიცხოთ... თუ არადა, ადამიანებს, რომლებმაც სწორედ „სახლში დარჩის“ გამო დაკარგეს სამსახურები და ულუკმაპუროდ სხედან შინ, რა ნამუსით ეუბნებით ამ სრულიად ცინიკურ ფრაზას?! მოდი, მაშინ, შე ტელემასხარავ, შენ დაჯექი სახლში და მე ვიმუშავებ შენთვის, გინდა?**

დასკვნისთვის — კი, გვესმის, რომ არაორდინალური, მძიმე და საყურადღებო სიტუაციაა, მაგრამ სწორედ ამიტომ არის საჭირო ასგზის დაფიქრება, ვიდრე ისეთ შტერულ და არაადეკვატურ გადაწყვეტილებებს მივიღებდეთ, რომლებიც კიდევ უფრო მეტად დაგვაზარალებს, ვიდრე ვირუსი.

**დიდი ხანია, მიმდინარეობს მსოფლიო ნეოლიბერალური ძალების ბრძოლა მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ. ეს არის ბრძოლა წესების გარეშე და ამ ბრძოლაში კორონოვირუსის პანდემიასაც რომ იყენებენ, ამის დასტურად თუნდაც მხოლოდ საქართველოში განვითარებული მოვლენები კმარა; საქართველოში, რომელიც მართლმადიდებლობის დამცველთა ჯაჭვის ერთ-ერთი პატარა რგოლია, პატარა, მაგრამ უმტკიცესი რგოლი და სწორედ საქართველოს დედაეკლესიამ და კათალიკოს-პატრიარქმა ჩაშალეს პანდემიის დახმარებით მსოფლიო მართლმადიდებლობის ელვისებურად დამარცხების გეგმა.**



ავი მუსაიფი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაზეთის წინა, მე-14 ნომერი, 15 აპრილს, დიდ ოთხშაბათს გამოვიდა და, ბუნებრივია, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე შეუძლებელი იყო დაზუსტებით იმის თქმა, რას მოიმოქმედებდა მოცემულ სიტუაციაში (საგანგებო მდგომარეობა, კარანტინი, კომენდატის საათი, საკუთარი მანქანებით მოძრაობის აკრძალვა და ა.შ. რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ) საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და, აქედან გამომდინარე, სრულიად საქართველო გარინდული ელოდა, რა ვერდიქტს გამოიტანდა კათალიკოს-პატრიარქი, ჩვენი სათაყვანებელი ილია მეორე.**

# როცა ვირები ბედაურობენ...

## მიშიკო ოდესის გუბერნატორად რომ დანიშნეს, ეს არ იყო «მეგობარი» უკრაინის მიერ საქართველოს შეურაცხყოფა?



ზემოთქმულიდან გამომდინარე, გაზეთის მე-14 ნომერში გამოქვეყნებული სტატია „აღდგომა და ხვალეო“, ძირითადად, ისტორიული ფაქტების მიმოხილვა იყო, რომელთა მოკლე რეზიუმე არის ის, რომ კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ კორონოვირუსზე არანაკლებად საშიში ეპიდემიის, გნებავთ, პანდემიის სულ 5 ფაქტი იცის (ე.წ. ყვავილი, ანტონინის ჭირი, იუსტინიანეს ჭირი, შავი ჭირი და ესპანური გრიპი), რომლებმაც მრავალი მილიონი ადამიანი იმსხვერპლა, მაგრამ ეკლესიების კარები არასდროს ჩაკეტილა და არც ერთი კოვზით ზიარების წესი შეუცვლიათ.

ახლა კი რა ხდება? ქრისტეს საფლავის ტაძარს დაადო ბოქლომი ისრაელის ხელისუფლებამ; ტაძარს, რომელშიც სასწაულებრივ გადმოდის ღვთიური ცეცხლი (არადა, იყო დრო, როდესაც მაცხოვრის ტაძრის, ქრისტეს საფლავის ტაძრის გასაღები საქართველოს ეკუთვნოდა). რაც შეეხება ვატიკანს, წმინდა პეტრეს ცარიელი მოედნის შუაგულში მარტოდმარტო მყოფი რომის პაპის მიერ სააღდგომო ლოცვის აღვლენა საბრალო სანახაობა იყო, ხოლო სრულიად კათოლიკური სამყაროს ტაძრები დაკეტილი რომ იყო, ამის ხაზგასმა ზედმეტად მიგვაჩია.

საქართველოს ეკლესიასა და მის საჭეთმპყრობელ კათალიკოს-პატრიარქს კი საიდან აღარ უტევდნენ ნეოლიბერასტი პოლიტიკოსები თუ ე.წ. ენჯეოები მათივე ორიენტაციის ტელევიზიების ეთერებიდან, მაგრამ, რომ იტყვიან, ძვრა ვერ უყვეს ქართველების ფიზიკურად სუსტ, მაგრამ კლდესავით მტკიცე სულიერ მამას — აღდგომის ლიტურგიებიც ჩატარდა სამებასა და სხვა ტაძრებში და ზიარებაც ჩვეული წესით, ერთი კოვზით, შესრულდა, მაგრამ ქვეყანა არ დაქცეულა.

როგორც აღდგომის შემდეგ განაცხადა ერთმა მეუფემ (უკაცრავად, სახელს ვერ ვიხსენებ) ზიარების ერთი კოვზით აღსრულების წესი 15 მართლმადიდებელი ეკლესიებიდან არც ერთს არ შეუცვლია, ჩემდა გასაკვირად, რუსეთის ეკლესიის გარდა. გასაკვირად, რადგან, როგორც ცნობილია, რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას პრეტენზია აქვს, რომ „მესამე რომია...“

ათასჯერ ნათქვამს, ათასმეერთედ გავიმეორებ, რომ, დიდი ხანია, მიმდინარეობს მსოფლიო ნეოლიბერალური ძალების ბრძოლა მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ; ბრძოლა, რომელიც განსაკუთრებით გამძაფრდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. **ეს არის ბრძოლა წესების გარეშე და კორონოვირუსის პანდემიასაც ამ ბრძოლაში რომ იყენებენ, ამის დასტურად თუნდაც მხოლოდ საქართველოში განვითარებული მოვლენები კმარა. საქართველოში, რომელიც მართლმადიდებლობის დამცველთა ჯაჭვის ერთ-ერთი პატარა რგოლია, პატარა, მაგრამ უმტკიცესი რგოლი და სწორედ საქართველოს დედაეკლესიამ და კათალიკოს-პატრიარქმა ჩაშალეს პანდემიის დახმარებით მსოფლიო მართლმადიდებლობის ელვისებურად დამარცხების გეგმა.** როგორც ჩანს, ნეოლიბერასტების მხრიდან მართლმადიდებლოსთან ბრძოლის მთავარი ფრონტის ხაზი პატარა, მაგრამ ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოზე გადის. ჩვენთან არს ღმერთი!

ექიმებს თავდადებასა და პროფესიონალობას არავინ უკარგავს, მაგრამ მათი და მთავრობის რეკომენდაციების ზოგიერთი პუნქტი, რბილად რომ ვთქვათ, ალოგიკურია. საგანგებო მდგომარეობა, კარანტინი, კი ბატონო, გასაგებია და უდავოდ მისაღები, მაგრამ იქნებ ვინმემ ამიხსნას: რას ემსახურება **კომენდანტის საათი?** რა, საღამოს 9-დან დილის 6-მდე უფრო ბევრია კორონავირუსი? ან ერთი მანქანით **სამ პირზე მეტის გადაადგილება** რატომ არ შეიძლება? ცოლ-ქმარმა შვილები ვერ უნდა ჩაისვას მანქანაში? არიქა, კორონავირუსი არ გავრცელდეს ოჯახში, ამიტომ, შინ დარჩითო (ამაში გეთანხმებით), რომ გვიკიჟინებთ, ცოლ-ქმარს შორის თითო პატრული ხომ არ ჩავაწვინოთ, ემანდ რამე არ „იეშმაკონ“? ან **საკუთარი მანქანებით მოძრაობა** რომ აკრძალეთ, გამაგებინეთ, როგორ ან რით უწყობს ხელს კორონოვირუსის გავრცელებას მანქანა? თუმცა ამ აკრძალვის პირობებში იმდენი შავი ჯიპი დაშლიგინებს ქუჩაში, რომ გაუგებარია, რა წესით და რიგით გაიცემოდა მანქანით მოძრაობის საშვი. საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამდენი ადამიანი თუ გვყავს, მაშინ მართლა ავშენებულვართ და ეგ არის, მაგრამ ნეპოტიზმისა და ძმაკაცობის სუნი რომ ასდის ამ ყველაფერს?! აღარაფერს ვამბობ **ასტრონომიულ ჯარიმებზე** და 6 წლით პატიმრობა ხომ საერთოდ, სისულელეა და ლაპარაკიც არ ღირს ამაზე — ამისთანა მკაცრი კომენდანტის საათი **სტალინს** არ შემოუღია მაშინ, როდესაც ფაშისტები მოსკოვთან იდგნენ. კი ბატონო, ახლა კორონოვირუსი დგას თბილისთან და ეგ ვირუსი შეიძლება წლობით იყოს და რა ვქნათ ახლა, როდემდე უნდა ვიჯდეთ შინაპატიმრობაში?!

> **ექიმებს თავდადებასა და პროფესიონალობას არავინ უკარგავს, მაგრამ მათი და მთავრობის რეკომენდაციების ზოგიერთი პუნქტი (რბილად რომ ვთქვათ) ალოგიკურია. საგანგებო მდგომარეობა, კარანტინი, კი ბატონო, გასაგებია და უდავოდ მისაღები, მაგრამ იქნებ ვინმემ ამიხსნას, რას ემსახურება კომენდანტის საათი? რა, საღამოს 9-დან დილის 6-მდე უფრო ბევრია კორონავირუსი? ან ერთი მანქანით სამ პირზე მეტის გადაადგილება რატომ არ შეიძლება?.. ან საკუთარი მანქანებით მოძრაობა რომ აკრძალეთ, გამაგებინეთ, როგორ ან რით უწყობს ხელს კორონოვირუსის გავრცელებას მანქანა?**

საქართველოს მიმართ გამოუცხადებელი ომი მიმდინარეობს, როგორც გარედან, ისე შინაურ ნეოლიბერასტებთან და ამ დროს ვინ გვყავს ხელისუფლებაში ან, გნებავთ, ოპოზიციაში? „ოცნების“ ხელისუფლებაში ერთადერთი **გიორგი გახარიაა,** რომლის მიმართაც მეტ-ნაკლები სიმპათია აქვს მოსახლეობას. მისი დამსახურებაა, რომ ე.წ. გავრილოვის ღამის კოშმარს გადაურჩა ქვეყანა. აღდგომის დღესასწაულის მშვიდობიან ჩატარებასაც გიორგი გახარიას ფარული ხელი ეტყობა — ყოველ შემთხვევაში აღდგომის დღესასწაული **გიგა ბოკერიასა** და მისი ბუდარაბუდარიხა ხლისტების სცენარით ვერ ჩაიშალა. ტყუილად არ „დაპოსტა“ ბუდარიხა **სალომე სამადაშვილმა,** ჩვენი ერთადერთი პრობლემა საქართველოს ეკლესია და პატრიარქია. არჩევნებზე გავიმარჯვებთ და ერთსაც და მეორესაც სამუდამოდ მივუჩენთ საკადრის ადგილსო. მანამდე არ აგიდგეთ გვერდები, თქვე უნამუსოებო! მიუხედავად ქოცების უსუსურობისა, არჩევნების შემდეგ თქვენი სინსილა გაწყდება...

ნათელაშვილის ქარვასლის დანარჩენი წარმომადგენლები? ერთს ვერ დაასახელებთ, ვისაც ხალხი მხარს დაუჭერს? მოკლედ, ქოც-ნაცების დღევანდელი მდგომარეობა იმ ვითარებას ჰგავს, ვირები რომ ბედაურობენ. გიორგი გახარიაზე კარგი კიდევ იმიტომ დამცდა, რომ, როგორც იქნა, საქართველომ მიხეილ სააკაშვილის მორიგი „გაუკრაინელების“ გამო, ოფიციალური პროტესტი გამოთქვა. ისე, **მიშიკო ოდესის გუბერნატორად რომ დანიშნეს, ეს არ იყო „მეგობარი“ უკრაინის მიერ საქართველოს შეურაცხყოფა, ქართველი ხალხისთვის სულში ჩაფურთხება?**

**სად იყვნენ მაშინ პარლამენტის სპიკერი და სხვა ჩოკინები, ახლა რომ ბედაურობენ?!** ამიტომ ვუკავშირებ გიორგი გახარიას ფაქტორს უკრაინის მიმართ გამოთქმულ პროტესტს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები... კიევს საქართველოდან გაქცეული კიდევ ბევრი სისხლისმსმელი აფარებს თავს და იქნება მათი ჯერიც დადგეს.

თუმცა, რა და რისი ჯერი? უკრაინა იმ ლათინოამერიკულ ქვეყნებს დაემსგავსა, რომლებსაც წლების განმავლობაში თავს აფარებდნენ გერმანელი ფაშისტები. ჰიტლერელთა მხარდამჭერი ბანდერელების უკრაინას თავს ქართველი ხალხის სისხლისმსმელი მიშისტი ნაცები აფარებენ და ამის გამო ელჩის გამოწვევით კი არ უნდა აშინებდეს თბილისი კიევს, არამედ უკრაინაში გადახვეწილი კრიმინალი ქართველების საქართველოში ექსტრადიციას უნდა ითხოვდეს. მაგრამ ამდენს „გაქაჩავს“ მარტო გიორგი გახარია? ან შუშის სასახლიდან „გააქაჩვინებენ“?

ამას გააკეთებს მხოლოდ არჩევნების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოსული ნაღდი ეროვნული ბედაურებისგან შექმნილი ძალა! თუ არადა, კიდევ დიდხანს მოგვიწევს ბედაურის ნიღბიანი ვირების ხელში ცხოვრება.

**დავით მხეიძე**

> **უკრაინა იმ ლათინოამერიკულ ქვეყნებს დაემსგავსა, რომლებსაც წლების განმავლობაში თავს აფარებდნენ გერმანელი ფაშისტები. ჰიტლერელთა მხარდამჭერი ბანდერელების უკრაინას ქართველი ხალხის სისხლისმსმელი მიშისტი ნაცები აფარებენ თავს და ამის გამო ელჩის გამოწვევით კი არ უნდა აშინებდეს თბილისი კიევს, არამედ უკრაინაში გადახვეწილი კრიმინალი ქართველების საქართველოში ექსტრადიციას უნდა ითხოვდეს, მაგრამ ამდენს «გაქაჩავს» მარტო გიორგი გახარია? ან შუშის სასახლიდან «გააქაჩვინებენ»?**

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ის თუ გაიგეთ, რუსეთმა ხორბლის ექსპორტი ორი თვით რომ შეაჩერა? იცით, ეს რას ნიშნავს? პურის გამოსაცხობი ხორბლის 90%-ზე მეტი რუსეთიდან რომ შემოგვქონდა, ველარ შემოვიტანთ და, თუ 2 თვის მარაგი გვაქვს, ძალიან კარგი, თუ არადა, პურის რიგების ისტორიაც ისევე განმეორდება, როგორც ბევრი სხვა რამ. და მერე რას აპირებთ, რუსეთმა ეს აკრძალვა კიდევ 2 თვით რომ გააგრძელოს?**

**ხელისუფლებამ, როგორც იქნა, ანტიკრიზისული გეგმა გვაღირსა. ახლა არ დავიწყებთ ფილოსოფიურ წიაღსვლებს და, უბრალოდ, იმ რვა პაკეტს გაგაცნობთ, რომლებიც ფინანსებს ეხება. საბოლოო ჯამში ხომ ყველაფერი ფინანსებამდე დადის და მოსახლეობასაც სწორედ ეს აინტერესებს, თორემ პოტენციური უცხოელი ინვესტორებისა და ახალი ტურისტული სქემის მოფიქრება რიგით ადამიანებს ნაკლებად აინტერესებთ სწორედ დღეს, როცა უკვე მოსახლეობის 80%-ზე მეტი შიმშილის ზღვარზეა, ანუ ის რაოდენობა, რომელიც ყოველდღიურ პურის ფულს ქუჩაში გასვლით შოულობდა, ახლა კი უმუშევარი დარჩა.**

# შიმშილის აჩრდილი დადის ქვეყანაში

**1.** უმუშევრად დარჩენილ ან უხელფასო შვებულებაში მყოფ თითოეულ მოქალაქეს — ექვსი თვის განმავლობაში თვეში **200 ლარი;**

**2.** ყველა დამსაქმებელი, რომელიც შეინარჩუნებს თანამშრომლებს 750 ლარამდე ხელფასით, ექვსი თვის განმავლობაში საშემოსავლო გადასახადს არ გადაიხდის. 1500 ლარამდე ხელფასის მქონე მოქალაქის საშემოსავლო გადასახადზე კი მთავრობა ნაწილობრივ გამოყოფს სუბსიდიას 750 ლარის ანგარიშიდან;

**3.** მთავრობა ერთჯერადად **300 ლარით** დაეხმარება მოქალაქეებს, რომლებიც არაფორმალურ სექტორში იყვნენ დასაქმებულნი ან თავს მიიჩნევდნენ თვითდასაქმებულებად;

**4.** სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 65 000-დან 100 000-მდეა, ექვსი თვე დამატებით მიიღებენ **600-ლარიან** დახმარებას, ანუ თვეში **100 ლარს;**

**5.** სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულაა 0-დან 100 000-მდე და ჰყავთ **სამი ან მეტი 16 წლამდე** შვილი, დამატებით მიიღებენ **600** ლარს, ანუ თვეში **100 ლარს;**

**6.** ასევე 600-ლარიანი დახმარებაა გათვალისწინებული მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე და შშმ ბავშვებზე;

**7.** ყველა პენსიონერის პენსია გაიზრდება არანაკლებ ინფლაციის მაჩვენებლისა, ანუ ფასების ზრდა ვერ მოახდენს გავლენას პენსიის მოცულობაზე;

**8.** 70 წლისა და მეტი ასაკის პენსიონერებისთვის ინფლაციას დაემატება რეალური ეკონომიკური ზრდის 80%, ანუ პენსიის ყოველწლიური ზრდა იქნება ინფლაციაზე მაღალი. მიუხედავად ინფლაციისა და ეკონომიკური ზრდის პარამეტრებისა, პენსიების ზრდა არ იქნება 20 ლარზე ნაკლები, 70 წლისა და მეტის პენსიონერებისთვის კი — 25 ლარზე ნაკლები. ძალაში რჩება 70 წლისა და მეტი ასაკის პენსიონერებისთვის 10 ივლისიდან პენსიის **30 ლარით** მომატება.

ვერ გეტყვით, ხელისუფლებამ აღმოაჩინა თუ აღმოაჩენინეს ის, რომ თურმე ოფიციალურად დასაქმებულები თვითდასაქმებულებზე ოთხჯერ მეტ შემოსავალს იღებდნენ და ახლავე გეტყვით რატომ:

თვითდასაქმებული, რომელიც დაამტკიცებს, რომ მუშაობდა, ერთჯერადად მიიღებს **300 ლარს,** ხოლო უმუშევრად დარჩენილი მოქალაქე ნახევარი წლის განმავლობაში — თვეში 200 ლარს, ანუ, საერთო ჯამში, თვითდასაქმებულზე **4-ჯერ მეტს**. და იქნებ, ის თვითდასაქმებული გაცილებით მეტს შოულობდა, მაგალითად, რესტორნის მიმტანზე, რომელსაც დღეში დაახლოებით 20 ლარი პლუს ე.წ. ჩაის პროცენტი აქვს? მაგრამ არა, ხელისუფლებას ამაზე არ უფიქრია.

მთავრობას არც იმაზე უფიქრია, რომ თუნდაც **თვეში ორასი ლარი დღეს არსებულ საარსებო მინიმუმსა და პენსიაზე ნაკლებია. პენსიონერებზე ხომ ისედაც ვამბობთ, რომ თვიდან თვემდე თავი ძლივს გააქვთ და პრაქტიკულად შიმშილობენ.** ჰოდა, ახლა მათ რიცხვს ის ათასობით მოქალაქე დაემატა, რომლებიც უმუშევარი დარჩნენ და მთავრობის დახმარების იმედად არიან. ისე როგორ იქნებოდა, ამ ყველაფრის გვირგვინი ფინანსთა მინისტრის სიტყვა არ ყოფილიყო და **ივანე მაჭავარიანს** არ ეთქვა, რომ თურმე, მსყიდველუნარიანობას თუ ავიღებთ, ჩვენი ხელისუფლება ზუსტად იმდენს იხდის, რამდენსაც ამერიკის მთავრობა. ცნობისთვის გეტყვით, რომ დონალდ ტრამპმა უმუშევრად დარჩენილი ამერიკელებისთვის 1200 დოლარი გამოყო, ანუ, **ჩვენს ფინანსთა მინისტრს თუ ვენდობით, ამერიკელი, 1200 დოლარს რომ მიიღებს და მაღაზიაში წავა, ზუსტად იმ ოდენობის პროდუქტს იყიდის, რამდენსაც ჩვენთან 200 ლარის მიმღები პირი. ბატონო მინისტრო, გულწრფელად გეკითხებით: ბოლოს მაღაზიაში ან ბაზარში როდის იყავით? ეჭვი გვაქვს, ძალიან დიდი ხანია, არ შეგივლიათ და მოდი, ჩაიდეთ 200 ლარი ჯიბეში, შედით ნებისმიერ მაღაზიაში ან აგრარულ ბაზარში, ივაჭრეთ, მერე ნავაჭრი შინ მიიტანეთ და იმყოფინეთ ერთ თვეს. ხომ არ გეუბნებით, ამ ორასი ლარით სხვა რაღაცებიც აკეთეთ — იმგზავრეთ, თამბაქო იყიდეთ, გადასახადები გადაიხადეთ-მეთქი, არა, მხოლოდ პროდუქტები იყიდეთ და ამყოფინეთ ოჯახს ერთ თვეს.** ვერ ამყოფინებთ და იცით, რატომ? ფიზიკურად არ გეყოფათ; გამორიცხულია, ერთ კვირაში არ გაგითავდეთ და ახლა ლოგიკური კითხვა დაუსვით თავს: ის, რაც თქვენ არ გეყოფათ ერთი კვირა, როგორ უნდა ეყოს ნახევარ მილიონ პენსიონერსა და ორჯერ ნახევარ მილიონ სამსახურდაკარგულს? თუ ეგ თქვენი პრობლემა არ არის?

აი, 70 წელს გადაცილებული პენსიონერებისთვის პენსიის 2021 წელს გაზრდის დაპირება ხომ, საერთოდ, სხვა პლანეტიდანაა. რას ნიშნავს, 2021 წელს პენსია გაგეზრდებათ და ახლა იცოდეთო? მართლა, გულწრფელად გეკითხებით: რას ნიშნავს ეს? სიცოცხლის ხალისი მოემატებათ, აქაოდა, სულ ცოტა 25-ლარიანი მატება გვექნებაო, თუ დანაზოგის ხარჯვას დაიწყებენ თამამად, თურმე პენსია გვემატება და მორიგ დანაზოგს გაისიდან გავაკეთებთო? რამდენი გყავთ 70 წელს გადაცილებული პენსიონერი, ეგ მაინც გვითხარით და დარწმუნებულები ვართ, ხვალ რომ გააკეთოთ იგივე, რასაც მომავალი წლისთვის ჰპირდებით, დიდი-დიდი, 50 მილიონ ლარზე იყოს საუბარი. ამ თანხის მოძიება, იცით, როგორ შეიძლება? აი, **იმ პარლამენტარებს, რომლებმაც ბოლო ორი თვის განმავლობაში მხოლოდ ორი სხდომა რომ გამართეს და ორივე შემთხვევაში საგანგებო მდგომარეობის გაგრძელებას დაუჭირეს მხარი, დაუნიშნეთ 200 ლარი ექვსი თვის განმავლობაში, რაც სამსახურდაკარგულებს; შეუმცირეთ საწვავის გაცემა, სამსახურეობრივი მანქანები გააჩერებინეთ, არ სჭირდებათ, რადგან სამსახურში არ დადიან და ეგეც თქვენი 50 მილიონი. ისინიც ხომ უფუნქციოდ დარჩნენ? ისინიც ხომ ვერ თუ არ დადიან სამსახურში (არც მანამდე იკლავდნენ თავს) და რატომ იღებენ 3600-ლარიან ხელფასს? რატომ არ განიხილება მათთვის იმის თქმა, რომ ბატონებო, ახლა ოფიციალურად არაფერს აკეთებთ და ხელფასს დაგიკავებთო?!**

**თუ 200 ლარად პარლამენტარი ვერ იარსებებს?**

რეალობა ის არის, რომ პანდემიამ ნათლად დაგვანახვა ის, რაც არაერთხელ დაგვიწერია. საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობა დაუსაქმებელია და სულ ტყუილად ამტკიცებთ ფურცელზე, რომ ჩვენთან უმუშევრობის დონე არნახულად შემცირდა და ისტორიულ მინიმუმამდე დავიდაო. ნათლად გამოჩნდა ისიც, რომ სოფლის მეურნეობა არ გვაქვს და არაფერს არ ვაწარმოებთ, თორემ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ასეთი დეფიციტი არ შეიქმნებოდა და არ ეღირებოდა ოქროს ფასი. **ის თუ გაიგეთ, რუსეთმა ხორბლის ექსპორტი ორი თვით რომ შეაჩერა? იცით, ეს რას ნიშნავს? პურის გამოსაცხობი ხორბლის 90%-ზე მეტი რუსეთიდან რომ შემოგვქონდა, ველარ შემოვიტანთ და, თუ 2 თვის მარაგი გვაქვს, ძალიან კარგი, თუ არადა, პურის რიგების ისტორიაც ისევე განმეორდება, როგორც ბევრი სხვა რამ. და მერე რას აპირებთ, რუსეთმა ეს აკრძალვა კიდევ 2 თვით რომ გააგრძელოს?** ჩვენი მეზობელი წლევანდელ მოსავალს უსიჯნავს პირს, არ იცის, როგორი მოსავალი იქნება და, თავისი ხალხი რომ არ დარჩეს მშიერი, სწორედ ამიტომ გამოაცხადა აკრძალვა. აი,



**ჩვენს ფინანსთა მინისტრს თუ ვენდობით, ამერიკელი, 1200 დოლარს რომ მიიღებს და მაღაზიაში წავა, ზუსტად იმ ოდენობის პროდუქტს იყიდის, რამდენსაც ჩვენთან 200 ლარის მიმღები პირი. ბატონო მინისტრო, გულწრფელად გეკითხებით: ბოლოს მაღაზიაში ან ბაზარში როდის იყავით? ეჭვი გვაქვს, ძალიან დიდი ხანია, არ შეგივლიათ და მოდი, ჩაიდეთ 200 ლარი ჯიბეში, შედით ნებისმიერ მაღაზიაში ან აგრარულ ბაზარში, ივაჭრეთ, მერე ნავაჭრი შინ მიიტანეთ და იმყოფინეთ ერთ თვეს. ხომ არ გეუბნებით, ამ ორასი ლარით სხვა რაღაცებიც აკეთეთ — იმგზავრეთ, თამბაქო იყიდეთ, გადასახადები გადაიხადეთ-მეთქი. არა, მხოლოდ პროდუქტები იყიდეთ და ამყოფინეთ ოჯახს ერთი თვე**



რომ არ მოეწონოს მოსავალი და თქვას, რამდენიც მაქვს ხორბალი, ჩემთვის მჭირდებაო, მერე რას ვაპირებთ, იცის ვინმემ? ხომ ფაქტია, რომ ყველა დიდმა მწარმოებელმა უარი თქვა ხელშეკრულებების გადახედვაზე, ვინმესთვის ხორბლის მოკლებასა და საქართველოსთვის მოყიდვაზე? თუ ეს პრობლემა ჯერ არ გვიდგას და ამიტომ არ უნდა ვიფიქროთ და ხმამაღლა არ ვილაპარაკოთ?!

ნამდვილად ვერ გეტყვით, ხვალ რა გადაწყვეტილებას მიიღებს მთავრობა, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობით ასეა — **შიმშილის აჩრდილი დადის ქვეყანაში და შიმშილი პოტენციურად იმაზე მეტ ადამიანს ემუქრება, ვიდრე ეპიდემიის აფეთქება.** მოსახლეობის მწარედ ნათქვამი, რა მნიშვნელობა აქვს, კორონა მომკლავს თუ შიმშილიო, დღეს არსებული მდგომარეობის ყველაზე რეალური შესატყვისია. ამაზე იფიქრეთ, ბატონებო, თორემ, ივანე მაჭავარიანს რომ ჰგონია 1200 დოლარი 200 ლარის ტოლ-სწორი, დიდი შეღავათი არ არის. დააკავებინეთ ამ კაცს კალათა და გაუშვით ორას ლარად ბაზარში, ეგებ მარსიდან დედამიწაზე დაბრუნდეს.

**ბესო ბარბაქაძე**

**„როდესაც 2018 წლის 4 დეკემბერს საქართველოში ჩამოვიდა მეუფე ილარიონი (ალფეევი), რუსეთის საპატრიარქოს საგარეო მიმართულების ხელმძღვანელი, და შეხვდა ჩვენს უწმინდესს, გაკეთდა ასეთი განცხადება, რომ რუსეთის ფედერაცია მხარს უჭერდა საქართველოს ეკლესიის საზღვრების მთლიანობას... იცით, რა მოჰყვა ამას საპასუხოდ ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან? 12 ეპისკოპოსი ჩაიყვანეს ვაშინგტონში. მერე იქიდან რა განცხადებებიც გაკეთდა, ყველას გვახსოვს“.**

საგარეო ვექტორი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# დიმიტრი ლორთქიფანიძე: დღევანდელ უკიდურესად რთულ ვითარებაში საქართველოს მომავალს რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება განსაზღვრავს

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის მიერ რამდენიმე დღის წინათ ვიდეოკონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებას, რომელიც რუსულ-ქართული ურთიერთობების დარეგულირების პერსპექტივას შეეხებოდა, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში მწვავე რეაქცია მოჰყვა. ხელისუფლებაშიც და ე.წ. პროდასავლურ ოპოზიციაშიც შეფასებები შეფასებებზე გაკეთდა იმის თაობაზე, რომ აღნიშნული განცხადება კრემლის მხრიდან პროვოკაციის მორიგი მცდელობაა. მეტიც, „ტრადიციულად“ ითქვა ისიც, რომ აღნიშნული განცხადებით მოსკოვს საქართველოში შიდაპოლიტიკური ვითარების გამწვავება უნდა, რომ „ოკუპანტთან დიალოგს აზრი მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით შეიძლება ჰქონდეს“ და ა.შ. თუმცა შეფასებების ამ კორიანტელში, რომელიც რაციონალურ ელემენტებზე მეტად პოლიტიკური ისტერიკის ნიშნებს შეიცავდა, კრიტიკა და ლანძღვა, თავის მხრივ, არც ხელისუფლებას დაჰკლებია — უცხოეთიდან დაფინანსებულმა ლიბერალურმა სპექტრმა (როგორებიცაა „ევროპული საქართველო“, „ნაციონალური მოძრაობა“, „რესპუბლიკური პარტია“ და სხვები) მმართველი გუნდი ისევ კრემლის აგენტობაში დაადანაშაულა და დასძინა, რომ, თუ „ოცნება“ ლავროვის განცხადების კვალდაკვალ მოსკოვთან ურთიერთობების ნორმალიზებას შეეცდება, ამით მმართველ გუნდზე კრემლის გავლენების არსებობა კიდევ ერთხელ დამტკიცდება...**

შეგახსენებთ, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ვიდეოკონფერენციის მიმდინარეობისას რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე ისაუბრა და დასძინა, რომ ოფიციალური თბილისის მხრიდან პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, მოსკოვი მზადაა, საქართველოში სავაჭრო წარმომადგენლობის გახსნის საკითხი განიხილოს. მისივე თქმით, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება ავიამიმოსვლის არარსებობაც, რომლის მოგვარებაც პროცესების სწორად წარმართვის პირობებში შეიძლება...

რას ნიშნავს ლავროვის განცხადება საქართველოსთვის, რა პერსპექტივა არსებობს ორი ქვეყნის ურთიერთობაში დადებითი ძვრებისთვის და შესაძლებელია თუ არა ამ ყველაფრის განხორციელება დღევანდელ ვითარებაში?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე, რომელმაც სერგეი ლავროვს ვიდეოკონფერენციის დროს შეკითხვით მიმართა.**

**— ბატონო დიმიტრი, ამას წინათ თქვენ მიერ ვიდეოკონფერენციის მიმდინარეობისას დასმული შეკითხვის პასუხად რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადებამ, რომელიც საქართველოში სავაჭრო წარმომადგენლობის შესაძლო გახსნას, ავიამიმოსვლის აღდგენასა და კიდევ სხვა საკითხებს შეეხებოდა, ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში მწვავე შეფასებები გამოიწვია. ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც ერთხმად საუბრობენ, რომ, თურმე, ეს განცხადება მორიგი პროვოკაციაა. რა გზავნილია დღევანდელ ვითარებაში ლავროვის განცხადება საქართველოსთვის?**

— ეს განცხადება ნიშნავს იმას, რომ პოსტკორონავირუსულ პერიოდში ჩვენ არაერთი ახალი ფაქტის წინაშე შეიძლება დავდგეთ, რაც არ იქნება მარტივი და ხანმოკლე პროცესი. ეს თავისთავად გულისხმობს იმ რეალობას, როცა ჩვენი მხრიდან აუცილებელი იქნება გარკვეული მიდგომებისა და პრინციპების გადახედვა საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. საუბარია იმ ორიენტირების გადახედვაზე, რომლებიც ახალი რეალობის ფონზე, შესაძლოა, სრულიად ამოვარდნილი აღმოჩნდეს, როგორც მსოფლიო, ისე რეგიონული პოლიტიკის კონტექსტიდან. რაც შეეხება განცხადების პათოსსა და ხასიათს, სიმართლე გითხრათ, არ მახსენდება არც ერთი კონფერენცია, სატელევიზიო გამოსვლა და ინტერვიუ, სადაც ლავროვს ამხელა დრო დაეთმო საქართველოზე საუბრისთვის. სხვათა შორის, ამ განცხადებაში არ იყო საუბარი მხოლოდ ავიამიმოსვლის აღდგენასა და სავაჭრო წარმომადგენლობის გახსნაზე, აქ იყო საუბარი ასევე სხვა ძალიან მნიშვნელოვან დეტალებზე, რომლებიც ჩვენი მედიით საერთოდ არ გაშუქებულა...

**— მაგალითად?**

— მაგალითად, აქ იყო საუბარი 2005 წელს **მიხეილ სააკაშვილთან** პირდაპირი მოლაპარაკების გზით მიღწეულ შეთანხმებაზე, რომლის რეალიზების შემთხვევაშიც, შესაძლოა, თავიდან აგვეცილებინა 2008 წლის ტრაგიკული მოვლენები. იგულისხმება ურთიერთშეთანხმება ერთობლივი კონტრტერორისტული ბაზების შექმნაზე. ამით მხარეებს შორის გარკვეული თანამშრომლობა შესაძლებელი იქნებოდა. სხვათა შორის, ლავროვმა თავის გამოსვლაში რამდენჯერმე ახსენა სავაჭრო ურთიერთობები და მინდა, გითხრათ, რომ, **დღევანდელი მონაცემებით, რუსეთსა და საქართველოს შორის ყოველწლიური სავაჭრო ბრუნვა მილიარდ 400 მილიონ დოლარს შეადგენს. ეს იმ დროს, როცა ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები არ არსებობს. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ რუსეთი ჩვენთვის არის ყველაზე დიდი ბუნებრივი პარტნიორი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური თვალსაზრისით და ამას არაერთი ციფრი, ფაქტი თუ სტატისტიკური მონაცემი ადასტურებს...**

**«დღევანდელი მონაცემებით, რუსეთსა და საქართველოს შორის ყოველწლიური სავაჭრო ბრუნვა მილიარდ 400 მილიონ დოლარს შეადგენს. ეს იმ დროს, როცა ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები არ არსებობს. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ რუსეთი ჩვენთვის არის ყველაზე დიდი ბუნებრივი პარტნიორი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური თვალსაზრისით და ამას არაერთი ციფრი, ფაქტი თუ სტატისტიკური მონაცემი ადასტურებს»**

**— ჩვენთვის, როგორც სახელმწიფოსთვის, რუსეთის ეკონომიკურ და არა მხოლოდ ეკონომიკურ მნიშვნელობაზე ანალიტიკოსები ხშირად საუბრობენ, თუმცა პროდასავლური ხელისუფლება და ოპოზიცია მუდმივად ხაზს უსვამს, რომ საქართველო მაქსიმალურად უნდა გათავისუფლდეს კრემლის გავლენებისგან. მოდი, ვისაუბროთ კონკრეტულ ფაქტებზე, რომლებიც ცხადყოფს, რომ, მიუხედავად პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობისა, რუსეთის როლი მაინც მნიშვნელოვანია ქართული ეკონომიკისთვის.**

— პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ დღეს მთელი რიგი სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიმართულებები დამოკიდებულია რუსეთზე. მაგალითად, ავიღოთ რკინიგზა, რომელიც მარა?ნაწილების 100%-ს იღებს რუსეთის ფედერაციიდან. ასევეა თბილისის მეტროპოლიტენიც.

რაც შეეხება სხვა მიმართულებებს, ღვინის ქარხნები, მსხვილი მრეწველობა, როგორებიცაა ქიმიური თუ ოქროს მრეწველობა და ენერგოგენერაციების ობიექტების 96% რუსეთში რეგისტრირებული კომპანიების საკუთრებაშია. ისე, მაინტერესებს, როგორ მოხდა, რომ ხელისუფლებაში იმ ადამიანების ყოფნის პერიოდში, რომლებიც რუსეთისგან სრულ ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე საუბრობენ და ამაზე აპელირებენ მუდმივად, ზემოჩამოთვლილი სტრატეგიული ობიექტები რუსული კომპანიების ხელში აღმოჩნდა?

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, რა პოლიტიკის შედეგია ეს ყველაფერი?**

— ეს პოლიტიკა ჯერ კიდევ სააკაშვილის პერიოდიდან დაიწყო და მიზანი, რა თქმა უნდა, იყო ერთი:

ამერიკელებთან შეთანხმებით მიეღოთ გარკვეული ფინანსური სარგებელი. რუსულ-ქართულ ურთიერთობებს რაც შეეხება, ერთ რამეში ვარ დარწმუნებული და ვფიქრობ, ეს არის, როგორც ორჯერ ორი ოთხი — **დღევანდელ ვითარებაში ამ ურთიერთობების დარეგულირებას ალტერნატივა არ აქვს. იმ პირობებში, როდესაც საქართველო ვერ აკონტროლებს ტერიტორიების ერთ მეხუთედს, ოფიციალურ მოსკოვთან პირდაპირი დიალოგის გზით პოლიტიკური ფასის განსაზღვრა ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისა უნდა იყოს წმინდათა შორის წმინდა ამოცანა ნებისმიერი პოლიტიკური სუბიექტისთვის, რომელიც თავს თვლის ეროვნულ ძალად.** ეს განსაკუთრებით ნიშვნელოვანია იმ ფონზე, როცა ოფიციოზი ვერ ახერხებს ურთიერთობების ნორმალიზებას და სულ გვაქვს მზარდი დაძაბულობა, რომელიც კიდევ რა უბედურებას მოუტანს ქვეყანას, კაცმა არ იცის...

**— რა ხელისშემშლელი გარემოებები აფერხებს დღეს რუსეთთან პირდაპირი დიალოგის დაწყებას?**

— ჯერ კიდევ **ედუარდ შევარდნაძის** პერიოდიდან მოყოლებული, როგორც კი ჩნდებოდა რაღაც პერსპექტივა ქვეყნებს შორის ურთიერთობის ნორმალიზებისთვის, მაშინვე პროცესში ერთვებოდნენ გარკვეული ფარული ძალები და ეს პროცესი მერე უკვე ველარ ჰპოვებდა ლოგიკურ განვითარებას. სხვათა შორის, აქვე მინდა გაგახსენოთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც ზუსტად ასახავს იმ დესტრუქციულ პოლიტიკურ კონიუქტურას, რომელიც უმთავრესი ხელისშემშლელი ფაქტორია თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობების ნორმალიზებაში. **როდესაც 2018 წლის 4 დეკემბერს საქართველოში ჩამოვიდა მეუფე ილარიონი (ალფეევი), რუსეთის საპატრიარქოს საგარეო მიმართულების ხელმძღვანელი, და შეხვდა ჩვენს უწმინდესს, გაკეთდა განცხადება, რომ რუსეთის ფედერაცია მხარს უჭერდა საქართველოს ეკლესიის საზღვრების მთლიანობას... იცით, რა მოჰყვა ამას საპასუხოდ ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან? 12 ეპისკოპოსი ჩაიყვანეს ვაშინგტონში. მერე იქიდან რა განცხადებებიც გაკეთდა, ყველას გვახსოვს...** ანუ, რისი თქმა მინდა: ისინი არ დაუშვებენ იმას, რომ აქ რამე ფორმით დაირღვეს გავლენის ბალანსი და რომელიმე დიდმა სახელმწიფომ, ამ შემთხვევაში რუსეთმა, შეძლოს რამე პოლიტიკური კეთილგანწყობის მოპოვება. აი, ეს არის უმთავრესი ხელისშემშლელი გარემოება, რისი დაძლევაც, რა თქმა უნდა, არ არის მარტივი. თუმცა ცალკე საკითხია ის, რომ ხელისუფლება მარიონეტულია და თავიდან ბოლომდე დამოკიდებულია გარე ძალის დირექტივებზე.

**— ხელისუფლება რომ მართულია, გასაგებია, მაგრამ გამოსავალს თუ ხედავთ? როგორ წარმოგიდგენიათ ამ პირობებში საქართველოს ეროვნული ინტერესებით მოქმედება იმავე რუსეთის მიმართ?**

— პირველი, რაც, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, არის ის, რომ ჩვენ აქტიურად უნდა გამოვიყენოთ სახალხო დიპლომატია. საქართველოს ამ თვალსაზრისით აქვს სერიოზული რესურსი და ეს რესურსი უნდა იქნეს გამოყენებული. მეორე — უნდა მოხდეს ეროვნული ძალების სრული კონსოლიდაცია, რათა ერთი რომელიმე კონკრეტული სუბიექტი კი არ იყოს ეროვნულ ფლანგზე, არამედ შეიქმნას პოლიტიკური ბირთვი. სხვათა შორის, აქვე მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და შევეკითხო ქალბატონ **ირმა ინაშვილს: ქალბატონო ირმა, ნუთუ არ თვლით, რომ დადგა დრო, ყველა ის ძალა, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხის გადაწყვეტას ხედავს პირდაპირ მოლაპარაკებებში რუსეთის ფედერაციასთან, უნდა გაერთიანდეს? ნუთუ არ თვლით, რომ დადგა დრო, ერთ პლატფორმაზე ვიდგეთ და არ დავქსაქსოთ ხმები? ძალიან მინდა და მოხარული ვიქნები, რომ ამ საკითხზე ეროვნულ ძალებს შორის შედგეს კონსენსუსი, რომლის განმსაზღვრელიც იქნება გარკვეული ფორუმი. ეს არის აუცილებელი იმისთვის, რომ პოლიტიკურ ველზე პროდასავლური სუბიექტების სრული დომინაციის პირობებში რეალური ალტერნატიული, ჯანსაღი ძალა ჩამოყალიბდეს.**

რაც შეეხება ისევ მოსკოვთან დიალოგს. ვფიქრობ, დღევანდელ უკიდურესად რთულ ვითარებაში საქართველოს მომავლის განმსაზღვრელი უმთავრესი გარემოება არის რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება. გნებავთ — ეკონომიკური, გნებავთ — პოლიტიკური და სხვა თვალსაზრისით, უახლოესი ჩვენი პერსპექტივა დამოკიდებულია ზუსტად ამ გარემოებაზე; ამიტომ, რაც უფრო სწრაფად გადაიდგმება ეს ნაბიჯები, მით ნაკლებ სირთულეებს შეიძლება წააწყდეს სახელმწიფო უახლოეს მომავალში. თუმცა ის, რომ მარიონეტული ხელისუფლების პირობებში ამ ნაბიჯების ალბათობა მცირეა და პრაქტიკულად არც უნდა ველოდოთ მნიშვნელოვან ძვრებს, ალბათ, ყველა ვხვდებით. არსებულ ხელისუფლებას ამისთვის არც ნება აქვს და არც რესურსი.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

გრიგოლ ოთიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„1938 წლის 4 ოქტომბერს, როცა საფრანგეთის ელჩი ეწვია საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რათა განმარტებები მიეცა მიუნხენის შეთანხმების თაობაზე, საგარეო საქმეთა სამინისტროს სახალხო კომისარი ვლადიმერ პოტიომკინი მის მუქარას შეხვდა განცხადებით: „ჩემო საცოდავო მეგობარო, რა ჩაიდინეთ? მე ვერ ვხედავ სხვა გამოსავალს, გარდა პოლონეთის მეოთხედ დაყოფისა“. ეს იყო საერთაშორისო პოლიტიკისადმი სტალინის ცივი მიდგომის ასახვა“.**

# «სტალინი — დიპლომატიის მონსტრი»

## რას ამბობდა სტალინზე მსოფლიო დონის პოლიტიკოსი ჰენრი კისინჯერი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №14, 2020 წ.

**„აღმოსავლეთ ევროპაში ვერსალის ხელშეკრულებისა და რუსეთის რევოლუციის შედეგების კომბინაცია ქმნიდა გადაუჭრელ პრობლემას კოლექტიური უსაფრთხოების ნებისმიერი სისტემისთვის — საბჭოთა კავშირის გარეშე არავის შეეძლო ემოქმედა სამხედრო თვალსაზრისით. დასავლეთის დემოკრატიას ბევრი არაფერი გაუკეთებია, რომ სტალინისთვის გაექარწყლებინა წარმოდგენა ანტისაბჭოთა კაპიტალისტური შეთქმულების შესახებ. საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური წესით კონსულტაცია არ გაიარეს „ლოკარნოს პაქტის“ ანულირების თაობაზე, ხოლო მიუნხენის კონფერენციაზე სსრკ არ მიიწვიეს. ის მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპაში უსაფრთხოების სისტემაზე დისკუსიაში ჩართეს უხალისოდ და საკმაოდ გვიან — ჩეხოსლოვაკიის 1939 წლის ოკუპაციის შემდეგ. სსრკ-ის წინაშე იყო ბევრი შესაძლებლობა.**

მაგალითად, მას შეეძლო, მოეთხოვა რუმინეთსა და პოლონეთზე გასასვლელი და გამოეყენებინა ამ ქვეყნების თითქმის გარდაუვალი უარი, როგორც ალიბი და დალოდებოდა ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში ომების დასასრულს ან, შედეგების შეფასების მიხედვით, კვლავ დაეპყრო რუსეთის ყოფილი ტერიტორიები, რომლებიც გადაეცა პოლონეთსა და რუმინეთს რუსეთის რევოლუციის შემდეგ, რაც გააკეთა კიდეც ერთი წლის შემდეგ. ყველაზე დაუჯერებელი იქნებოდა სსრკ-ის მიერ ბარიკადების აღმართვა კოლექტიური უსაფრთხოების სახელით, როგორც ვერსალის ტერიტორიული შეთანხმების უკანასკნელი დამცველის.

მიუნხენმა განამტკიცა სტალინის ეჭვი დემოკრატიულ ქვეყნების მიმართ. სტალინი აუცილებლად მიიჩნევდა კაპიტალისტების ერთმანეთთან დაპირისპირებას და სსრკ-ის დაცვას. თუმცა, მიუნხენმა განაპირობა სტალინის ტაქტიკის ცვლილება. ახლა მან გახსნა ბაზარი და მოაწყო ვაჭრობა. **1938 წლის 4 ოქტომბერს, როცა საფრანგეთის ელჩი ეწვია საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რათა განმარტებები მიეცა მიუნხენის შეთანხმების თაობაზე, საგარეო საქმეთა სამინისტროს სახალხო კომისარი ვლადიმერ პოტიომკინი მის მუქარას შეხვდა განცხადებით: „ჩემო საცოდავო მეგობარო, რა ჩაიდინეთ? მე ვერ ვხედავ სხვა გამოსავალს, გარდა პოლონეთის მეოთხედ დაყოფისა“. ეს იყო საერთაშორესო პოლიტიკისადმი სტალინის ცივი მიდგომის ასახვა.**

მიუნხენის შემდეგ ჰიტლერის სამიზნე იყო პოლონეთი. რადგან სტალინს არ სურდა გერმანიის არმიასთან შეხვედრა არსებულ საზღვრებში და არც შეტევაზე გადასვლა. ჰიტლერთან პოლონეთის გაყოფა იყო ერთადერთი ალტერნატივა (სწორედ აზრთა ამგვარმა მსვლელობამ მიიყვანა **ეკატერინე მეორე,** პრუსიასა და ავსტრიასთან ერთად პირველად გაეყო პოლონეთი 1772 წელს). ის, რომ სტალინი მთელი წლის განმავლობაში ელოდებოდა ჰიტლერის პირველი ნაბიჯის გადადგმას, მოწმობს მის რკინისებურ ნერვებზე.

**სტალინმა დაისახა მკაფიო მიზანი და სსრკ მოაშორა ცეცხლის ხაზს. 1939 წლის 27 იანვარს ერთ-ერთმა ლონდონურმა გაზეთმა გამოაქვეყნა თავისი კორესპონდენტის (რომელიც ცნობილი იყო მოსკოვის ელჩ ივანე მაისკისთან სიახლოვით) სტატია, რომელშიც ასახული იყო საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის შესაძლო გარიგების მონახაზი. ავტორი იმეორებდა სტალინის სტანდარტულ თეზისს დასავლურ დემოკრატიასა და ფაშისტურ დიქტატურას შორის პრინციპული განსხვავების არარსებობაზე და ვარაუდობდა, რომ ეს გაათავისუფლებდა სსრკ-ის იმ ვალდებულებების ავტომატურად შესრულებისგან, რომლებიც გამომდინარეობდა კოლექტიური უსაფრთხოების სისტემიდან.**

„ამჟამად საბჭოთა მთავრობას აშკარად არ აქვს განზრახვა, დაეხმაროს დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს, თუ საფრანგეთს კონფლიქტი ექნება გერმანიასთან ან იტალიასთან... საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისით, ერთი მხრივ, ბრიტანეთისა და საფრანგეთის, მეორე მხრივ, გერმანიისა და იტალიის მთავრობების პოზიციებს შორის არ არის დიდი განსხვავება, რომელიც გაამართლებდა დასავლური დემოკრატიის დაცვისთვის გაწეულ სერიოზულ მსხვერპლს“.

რადგან საბჭოთა კავშირი ვერ ხედავდა ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არჩევის საჭიროებას, უთანხმოება მოსკოვსა და ბერლინს შორის შეიძლებოდა გადაწვეტილიყო პრაქტიკულ საფუძველზე. ეს მომენტი თითოეულის მიერ კარგად რომ ყოფილიყო გაცნობიერებული, სტალინმა უპრეცენდენტო ნაბიჯი გადადგა. ეს სტატია სიტყვასიტყვით დაიბეჭდა „პრავდაში“ — კომუნისტური პარტიის ოფიციალურ გაზეთში. ისევე, როგორც 1934 წელს, სტალინის გამოსვლის მთავარი თემა იყო მტრულ გარემოცვაში მყოფი საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ზრახვები, მისი დასკვნები წარმოადგენდა დაპირისპირებას კოლექტიური უსაფრთხოების კონცეფციასთან, რომელიც მიღებული იყო წინა ყრილობაზე. სტალინი საბჭოთა კავშირის ნეიტრალიტეტს დეკლარირებდა კაპიტალისტებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში:

**„საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა ცხადი და გასაგებია. ჩვენ ვემხრობით მშვიდობას და ყველა ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობის განმტკიცებას. ასეთია ჩვენი პოზიცია; და ჩვენ მას დავიცავთ მანამ, სანამ ეს ქვეყნები ემხრობიან ამგვარ ურთიერთობებს საბჭოთა კავშირთან და სანამ არ ეცდებიან ჩვენი ქვეყნის ინტერესების ბოროტად გამოყენებას“.**

კიდევ ერთხელ რომ გაეგებინებინა ეს ყოველივე ყეყეჩი


ჰენრი კისინჯერი




კაპიტალისტი ლიდერებისთვის, სტალინმა თითქმის სიტყვასიტყვით გაიმეორა ლონდონური გაზეთის სტატიის ძირითადი არგუმენტები, კერძოდ ის, რომ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის განსხვავება არის უფრო დაუძლეველი, ვიდრე განსხვავება მასა და სხვა ნებისმიერ კაპიტალისტურ ქვეყანას შორის. შეჯამებისას მან გამოხატა მოქმედებების თავისუფლების ურყევობა. თავისი ავისმომასწავებელი განცხადებით სტალინმა მოუწოდა: **„იყავით გამჭრიახნი და არ დაუშვათ, რომ ჩვენი ქვეყანა კონფლიქტში ჩააბან ომის გამჩაღებლებმა, რომლებიც შეჩვეულნი არიან, აიძულონ სხვები, წაბლი გამოუჩხრიკონ მათ ღველფიდან** (ქართული ანდაზის მიხედვით — გრ. ო.).

**სტალინის ახალი პოლიტიკა ძველისგან გამოირჩეოდა მხოლოდ აქცენტით კოლექტიური უსაფრთხოებისა და „ერთიანი ფრონტის“ პრინციპების მხარდაჭერაზე. სტალინი ყოველთვის ასე წარმოიდგენდა საბჭოთა კავშირის ვალდებულებებს, მაგრამ 1939 წლის გაზაფხულზე, როცა გერმანიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დასრულებული ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია, სტალინმა დაიწყო მანევრირება ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე სეპარატული გარიგების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.**

დემოკრატიული ქვეყნების შოკი განაპირობა მათმა უუნარობამ, გაეცნობიერებინათ, რომ სტალინი მგზნებარე რევოლუციონერიც იყო და, ამასთანავე, ცივსისხლიანი სტრატეგიც.

გერმანიის მიერ პრაღის ოკუპაციის შემდეგ დიდმა ბრიტანეთმა უარი თქვა გერმანიის მიმართ სამშვიდობო პოლიტიკის გატრებაზე. მისთვის ეჭვს არ იწვევდა ის, რომ ჰიტლერი ჩეხოსლოვაკიის ლიკვიდაციის შემდეგ თავს დაესხმოდა ბელგიას ან პოლონეთს. 1939 წლის მარტის ბოლოს გავრცელდა ხმები, რომ გერმანიას სამიზნეში ჰყავდა ამოღებული რუმინეთი, რამელსაც საერთო საზღვარიც კი არ ჰქონდა გერმანიასთან. და მაინც, ჰიტლერისთვის არადამახასიათებელი იყო თავდასხმა ასეთ მცირე პერიოდში. მისთვის გაცილებით ტიპური იყო პაუზის ტაქტიკა მორიგი დარტყმის შემდეგ, რათა მის შედეგებს დაემორჩილებინა მორიგი მსხვერპლი ახალ დარტყმამდე. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვიცით, რომ დიდ ბრიტანეთს ჰქონდა გაცილებით მეტი დრო, შეემუშავებინა თავისი სტრატეგია, ვიდრე ვარაუდობდნენ მისი ლიდერები. უფრო მეტიც, **ბრიტანეთის კაბინეტს სათანადოდ რომ გაეანალიზებინა სტალინის განცხადებები პარტიის XVIII ყრილობაზე, ცხადი იქნებოდა, რომ, რაც უფრო მონდომებით განახორციელებდა ინგლისი ჰიტლერისთვის წინააღმდეგობის ორგანიზებას, მით განყენებულად იმოქმედებდა სტალინი, რათა გაეზარდა ნებისმიერ მხარეზე ზემოქმედების შესაძლებლობა.**

**ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტი იდგა ფუნდამენტური სტრატეგიული არჩევანის წინაშე, თუმცა არ არსებობს იმის მტკიცებულებები, რომ ის ამას აცნობიერებდა. ჰიტლერისთვის წინააღმდეგობის გაწევით ის ვალდებული იყო, გადაეწყვიტა, დაეფუძნებოდა თუ არა ეს მიდგომა კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნას თუ ტრადიციულ კავშირს. პირველ შემთხვევაში, ანტინაცისტურ წინააღმდეგობაში მონაწილეობისთვის მოწვეული იქნებოდა ქვეყნების საკმაოდ დიდი ჯგუფი, ხოლო მეორე შემთხვევაში — დიდ ბრიტანეთს დასჭირდებოდა კომპრომისები, რათა საკუთარი ინტერესები დაეკავშირებინა საბჭოთა კავშირის მსგავსი პოტენციური მოკავშირეების ინტერესებისთვის.**

მინისტრთა კაბინეტმა კოლექტიური უსაფრთხოება აირჩია. 17 მარტს ნოტა გაუგზავნეს **საბერძნეთს, იუგოსლავიას, საფრანგეთს, თურქეთს, პოლონეთსა** და **საბჭოთა კავშირს.** მასში აღნიშნული იყო, რა რეაგირება მოჰყვებოდა რუმინეთზე მოსალოდნელ თავდასხმას გერმანიის მხრიდან. ნავარაუდევი იყო ერთიანი მიდგომა. მოგვიანებით დიდმა ბრიტანეთმა უცებ გადაწყვიტა, შეეთავაზებინა ის, რასაც უარყოფდა 1918 წლიდან მოყოლებული: აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის ტერიტორიული გარანტიები. სხვადასხვა ქვეყნის პასუხები კიდევ ერთხელ ცხადყოფდა იმას, რაც იყო კოლექტიური უსაფრთხოების დოქტრინის თავდაპირველი სისუსტე — წინაპირობა, თითქოს ყველა ერი, უწინარესად კი, პოტენციური მსხვერპლი, ერთნაირად იყო დაინტერესებული აგრესიის მოგერიებაში. აღმოსავლეთ ევროპის თითოეული ერი წარმოაჩენდა თავის პრობლემას, როგორც განსაკუთრებულ შემთხვევას, და ხაზს უსვამდა ეროვნულ და არა კოლექტიურ საზრუნავს. **საბერძნეთი** გადაწყვეტილების მიღებას **იუგოსლავიის** ქმედების მიხედვით აპირებდა. იუგოსლავია კი სვამდა შეკითხვას — როგორი იყო **დიდი ბრიტანეთის** განზრახვა? ანუ, უბრუნდებოდა საწყის წერტილს. **პოლონეთმა** მიუთითა, რომ მზად არ იყო, არჩევანი გაეკეთებინა დიდ ბრიტანეთსა და გერმანიას შორის თუ დამდგარიყო რუმინეთის დასაცავად. პოლონეთი და **რუმინეთი** არ თანხმდებოდნენ საბჭოთა კავშირის მონაწილეობაზე მათი ქვეყნების დაცვაში. **სსრკ-ის პასუხი კი იყო, მოეწვიათ ბუქარესტში კონფერენცია ყველა იმ ქვეყნისა, რომლებსაც ეხებოდა დიდი ბრიტანეთის შეკითხვა. ეს იყო გონივრული მანევრი.** კონფერენცია რომ ჩატარებულიყო, ის დაადგენდა სსრკ-ის მონაწილეობის პრინციპს იმ ქვეყნების დაცვაში, რომლებსაც ეშინოდათ მოსკოვის ისე, როგორც ბერლინის. ეს ინიციატივა რომ არ მიეღლოთ, კრემლს ექნებოდა თავის გამართლების საშუალება, გამდგარიყო ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სტალინმა დაისახა მკაფიო მიზანი და სსრკ მოაშორა ცეცხლის ხაზს. 1939 წლის 27 იანვარს ერთ-ერთმა ლონდონურმა გაზეთმა გამოაქვეყნა თავისი კორესპონდენტის (რომელიც ცნობილი იყო მოსკოვის ელჩ ივანე მაისკისთან სიახლოვით) სტატია, რომელშიც ასახული იყო საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის შესაძლო გარიგების მონახაზი. ავტორი იმეორებდა სტალინის სტანდარტულ თეზისს დასავლურ დემოკრატიასა და ფაშისტურ დიქტატურას შორის პრინციპული განსხვავების არარსებობაზე და ვარაუდობდა, რომ ეს გაათავისუფლებდა სსრკ-ს იმ ვალდებულებების ავტომატურად შესრულებისგან, რომლებიც გამომდინარეობდა კოლექტიური უსაფრთხოების სისტემიდან“**

◀ განზე და გაერკვია გერმანიასთან შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა. მოსკოვი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისგან მოითხოვდა კაცობრიობისთვის მთავარ საფრთხედ გერმანიის აღიარებას. და, რადგან აღმოსავლეთ ევროპის არც ერთი ქვეყანა არ იყო მზად ამისთვის, ბუქარესტის კონფერენცია არც შემდგარა.

პასუხებში ენთუზიაზმის არარსებობამ აიძულა ბრიტანეთის იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრი **ნევილ ჩემბერლენი,** მოეძებნა სხვა ვარიანტები. 20 მარტს მან წარმოადინა ერთობლივი დეკლარაცია დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, პოლონეთისა და სსრკ-ის მიზნების შესახებ, რომელშიც ლაპარაკი იყო ერთობლივ კონსულტაციებზე ევროპის ნებისმიერი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისთვის საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში „ერთობლივი მოქმედებების გათვალისწინებით“. ისევე, როგორც თავისებური სამთა კავშირი პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, ეს დეკლარაციაც არაფერს ამბობდა საჭიროების შემთხვევაში პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის თანამშრომლობის პერსპექტივებზე ან სამხედრო სტრატეგიაზე.

თავის მხრივ, **პოლონეთი,** რომელმაც გადაჭარბებით შეაფასა თავისი სამხედრო შესაძლებლობები, რაშიც მას დიდმა ბრიტანეთმაც შეუწყო ხელი, უარს ამბობდა სსრკ-თან ერთობლივ მოქმედებებზე. თუ გარანტიას მისცემდა პოლონეთს, სტალინისთვის გაქრებოდა მოტივები, მონაწილეობა მიეღო ერთობლივ თავდაცვით მოქმედებებში. რადგან პოლონეთი არის გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის, დიდ ბრიტანეთს ომში ჩართვა მოუწევდა მანამ, სანამ სტალინი მიიღებდა გადაწყვეტილებას. მეორე მხრივ, თუ ბრიტანეთი ძალისხმევას მიმართავდა სსრკ-თან პაქტის დადებაზე, სტალინი მოითხოვდა თავის წილ „ხორცს“ პოლონეთისთვის დახმარების სანაცვლოდ და საბჭოთა კავშირის საზღვრის დასავლეთით („კერზონის ხაზის“) მიმართულებით გადაწევას. დიდი ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტმა, საზოგადოების უკმაყოფილებით შეშფოთებულმა და დარწმუნებულმა იმაში, რომ უკან დახევა კიდევ უფრო შეასუსტებს დიდი ბრიტანეთის პოზიციებს, უარი თქვა, მსხვერპლად შეეწირა დარჩენილი ქვეყნები, გეოპოლიტიკის დიქტატის მიუხედავად. ამასთანავე, ბრიტანელი ლიდერები შეიქნენ ცრუ შეფასებების მსხვერპლნი, როცა ივარაუდეს, რომ პოლონეთი, სამხედრო თვალსაზრისით, ძლიერია საბჭოთა კავშირზე. ეს შეცდომაა, თუმცა მისატევებელი საბჭოთა სამხედრო ხელმძღვანელებს შორის ჩატარებული მასობრივი წმენდის ჭრილში. რაც მთავარია, ბრიტანელი ლიდერები უნდობლობას განიცდიდნენ სსრკ-ის მიმართ. **„იძულებული ვარ, ვაღიარო, — წერდა ჩემბერლენი, — ჩემი უსაზღვრო უნდობლობა რუსეთის მიმართ. ოდნავაც კი არ ვარ დარწმუნებული, რომ მას შეუძლია ეფექტიანი შეტევითი ქმედებების განხორციელება, ამის სურვილის შემთხვევაშიც კი. მე არ მჯერა მისი მოტივების, რომლებსაც, ჩემი აზრით, უმნიშვნელო კავშირი აქვს თავისუფლების ჩვენს იდეალებთან, რადგან მისი ერთადერთი სურვილია, აიძულოს ყველა დანარჩენი, დადგეს ყირაზე“.** საშინელ ცაიტნოტში მყოფმა დიდმა ბრიტანეთმა იჩქარა და განაცხადა მშვიდობის ასეთი კონტინენტური გარანტიების მიცემის შესახებ, რომლებზეც სისტემატურად ამბობდა უარს ვერსალის ზავზე ხელმოწერის მომენტიდან. ჩემბერლენს, რომელიც შეშფოთებული იყო პოლონეთზე გერმანიის გარდაუვალი თავდასხმის შესახებ ცნობებით, პაუზაც კი არ გაუკეთებია, რათა მოლაპარაკებები ეწარმოებინა პოლონეთთან. ამის ნაცვლად, მან თავისი ხელით შექმნა პოლონეთისთვის ცალმხრივი გარანტიის პროექტი 1939 წლის 30 მარტს და ის მეორე დღეს პარლამენტს გადასცა. გარანტია მუხრუჭი იყო ნაცისტური აგრესიის თავიდან ასაცილებლად. ამასთანავე, გაირკვა, რომ ეს საფრთხე ეფუძნებოდა ცრუ ინფორმაციას. გარანტიას მოჰყვა კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნის ნაჩქარევად შემუშავება. მალე ასეთივე ტიპის ცალმხრივი გარანტიები გაიცა საბერძნეთისა და რუმინეთის მიმართ.

ამგვარად, **დიდმა ბრიტანეთმა გარანტიების მიცემა დაიწყო ისეთი ქვეყნებისათვის, რომელთა შესახებაც ომის შემდგომი წლების ყველა პრემიერმინისტრი ერთხმად აცხადებდა, რომ ვერ შეძლებენ მათ დაცვას. აღმოსავლეთ ევროპის ვერსალისშემდგომი რეალობა ისე შორს იყო დიდი ბრიტანეთისგან, რომ ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტი ვერც კი აცნობიერებდა, რომ თავისი არჩევანით მან მრავალჯერ გააძლიერა სტალინის სურვილი, მზერა მიეპყრო გერმანიაზე და შეუმსუბუქა მას გასვლა შეთავაზებული „ერთიანი ფრონტიდან“.**

დიდი ბრიტანეთის ლიდერები დარწმუნებულები იყვნენ, რომ სტალინის პოლიტიკა წარმოადგენდა მათი სტრატეგიის შემადგენელ ნაწილს და დაიჯერეს, რომ თითქოს შეუძლიათ მოვლენებში მისი მონაწილეობის ვადებისა და ხარისხის კონტროლი. საგარეო საქმეთა მინისტრი **ლორდი ჰალიფაქსი** ფიქრობდა, რომ საბჭოთა კავშირი ჯერჯერობით რეზერვში უნდა ყოფილიყო და „სთხოვეს დახმარების ხელის გაწოდება შედარებით ხელსაყრელი ფორმით“. კონკრეტულად, ჰალიფაქსს მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ სამხედრო აღჭურვილობის მიწოდება, მაგრამ არა საბჭოთა ძალების გადაადგილება საკუთარ საზღვრებს გარეთ. მან არც კი ახსნა, რა სტიმული შეიძლებოდა ჰქონოდა საბჭოთა კავშირს, ეთამაშა ასეთი მეორეხარისხოვანი როლი.

სინამდვილეში, **ბრიტანეთის გარანტიებმა პოლონეთისა და რუმინეთის მიმართ, სსრკ-ს დასავლეთის დემოკრატიასთან სერიოზულ მოლაპარაკებებში მონაწილეობის ბოლო სტიმულიც კი გაუქარწყლა.** ერთი მხრივ, ეს გარანტიები ვრცელდებოდა საბჭოთა კავშირის ევროპელი მეზობლების საზღვრებზე, გარდა ბალტიისპირეთის ქვეყნებისა, და ქაღალდზე მაინც თოკავდნენ საბჭოთა ამბიციებს ზუსტად ისე, როგორც გერმანიის ამბიციებს (ის, რომ დიდი ბრიტანეთი აღმოჩნდა ყრუ-მუნჯი ამგვარი რეალობის მიმართ, წარმოაჩენს, როგორ ჩაიბეჭდეს თავში დასავლელმა პოლიტიკოსებმა „მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ერთიანი ფრონტი“). რაც მთავარია, ბრიტანეთის ცალმხრივი გარანტიები ძვირფასი საჩუქარი აღმოჩნდა სტალინისთვის, რადგან ისინი უზრუნველყოფდა იმის მაქსიმუმს, რაც საჭირო იყო ნებისმიერი მოლაპარაკებისთვის ცარიელ ადგილას. თუ ჰიტლერი აღმოსავლეთით დაიძვრებოდა, სტალინს შეეძლო, ჰქონოდა დიდი ბრიტანეთის ომში ჩართვის იმედი მანამ, სანამ გერმანელები მოაღწევდნენ საბჭოთა საზღვრებს. ამგვარად, სტალინი ელოდებოდა დიდ ბრიტანეთთან „დე ფაქტო“ კავშირის შედეგებს, მაგრამ ის არ ყოფილია რამით დავალებული მისგან.



რიბენტროპი (მარცხნივ), სტალინი და მოლოტოვი



ნევილ ჩემბერლენისა და ჰიტლერის შეხვედრა

**«იძულებული ვარ, ვაღიარო, — წერდა ჩემბერლენი, — ჩემი უსაზღვრო უნდობლობა რუსეთის მიმართ. ოდნავაც კი არ ვარ დარწმუნებული, რომ მას შეუძლია ეფექტიანი შეტევითი ქმედებების განხორციელება, ამის სურვილის შემთხვევაშიც კი. მე არ მჯერა მისი მოტივების, რომლებსაც, ჩემი აზრით, უმნიშვნელო კავშირი აქვთ თავისუფლების ჩვენს იდეალებთან, რადგან მისი ერთადერთი სურვილია, აიძულოს ყველა დანარჩენი, დადგეს ყირაზე»**



სტალინი და მოლოტოვი

**დიდი ბრიტანეთის გარანტია პოლონეთისთვის ეფუძნებოდა ოთხ წინაპირობას, რომლებიც მცდარი აღმოჩნდა: რომ პოლონეთი არის მნიშვნელოვანი და ძლიერი სამხედრო სახელმწიფო, უფრო მეტადაც კი, ვიდრე სსრკ; რომ საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი, ერთად აღებული, საკმაოდ ძლიერი არიან, რათა დაამარცხონ გერმანია სხვა მოკავშირეთა დახმარების გარეშე; რომ სსრკ დაინტერესებულია, შეინარჩუნოს სტატუს-კვო აღმოსავლეთ ევროპაში; და რომ იდეოლოგიური უფსკრული გერმანიასა და სსრკ-ს შორის დაუძლეველია, რაც ნიშნავს იმას, რომ, ადრე თუ გვიან საბჭოთა კავშირი მაინც შეუერთდებოდა ანტიჰიტლერულ კოალიციას.**

პოლონეთი გმირულად იქცეოდა, მაგრამ ის არ იყო მნიშვნელოვანი სამხედრო სახელმწიფო და როგორ შეეძლო მას გამკლავებოდა მის წინაშე მდგარ ამოცანას, თუ საფრანგეთის გენერალურმა შტაბმა მას შეცდომები დააშვებინა? საფრანგეთი კი მიანიშნებდა შეტევითი ხასიათის დამოუკიდებელი გამოსვლის შესაძლებლობაზე, მაგრამ სინამდვილეში თავდაცვის სტრატეგიას ემხრობოდა. ამან აიძულა პოლონეთი, საკუთარ თავზე მიეღო გერმანიის შეტევის მთელი სიმძიმე, არადა, გერმანიისთვის წინააღმდეგობის მარტო გაწევა სცილდებოდა პოლონეთის შესაძლებლობას, რაც კარგად უნდა გაეცნობიერებინათ დასავლელ ხელმძღვანელებს. ამასთანავე, პოლონეთი არ თანხმდებოდა, მიეღო დახმარება სსრკ-ისგან, რადგან მისი ხელმძღვანელები დარწმუნებულნი იყვნენ (და, როგორც გაირკვა, იყვნენ მართლები), რომ საბჭოთა განმათავისუფლებელი არმია უმალ გადაიქცეოდა საოკუპაციო არმიად. დემოკრატიული ქვეყნები კი იმედოვნებდნენ, რომ გაუმკლავდებოდნენ გერმანიას დამოუკიდებლად პოლონეთის დამარცხების შემთხვევაშიც კი“.

**P.S. მოახლოვდა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 75-ე წლისთავი. და აუცილებელია, დიდი სამამულო ომის ჩვენს გმირ ვეტერანებს მივულოცოთ მსოფლიოს ეს უპირველესი დღესასწაული. დროებით ვაჩერებთ ჰარი კისინჯერის ღრმაშინაარსიანი კვლევის მასალების გაცნობას მკითხველისთვის. მესამე ნაწილი გამოქვეყნდება 9 მაისის შემდეგ.**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გლობალიზაცია, როგორც მოვლენა, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგია. ინფორმაციის, კავშირგაბმულობისა და მიმოსვლის საშუალებათა განვითარებამ კულტურათა და ცივილიზაციათა ურთიერთშეღწევადობას უზარმაზარი ბიძგი მისცა, მსოფლიო ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადა და პლანეტა თითოეული ადამიანის საკუთრებად აქცია, მაგრამ მსოფლიოზე ერთპიროვნული ბატონობისკენ ორიენტირებულმა ამერიკულმა პოლიტიკამ საზოგადოების განვითარების ეს ბუნებრივი პროცესი, ისევე, როგორც დემოკრატია, საკუთარი ძალმომრეობრივი იდეოლოგიის სამსახურში ჩააყენა და, პრაქტიკულად, ამერიკანიზაციად აქცია. ახლა კი საფუძველი ეყრება ამ უაღრესად უარყოფითი პროცესის ალტერნატივას.

# «ოქროს კვეთა»



## ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია

### მეორე გადაცემა

# კაცობრიობის ეგზისტენციალური კრიზისი და საქართველოს ახალი პერსპექტივები

**ვალერი კვარაცხელია:** — გამარჯობა, ძვირფასო ტელემაყურებელო. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" წარმოგიდგენთ გადაცემას „ოქროს კვეთა", რომელსაც, როგორც ყოველთვის, გავუძღვები მე, ვალერი კვარაცხელია.

— „ყოფნა-არყოფნა, საკითხავი აი, ეს არის!" — ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნეში ათქმევინა შექსპირმა დანიის პრინცს და მას შემდეგ ეს ფრაზა დადის მსოფლიოში, როგორც მუდმივი შეხსენება კაცობრიობის მარადიული დილემისა.

მსოფლიო დღესაც გამძაფრებულად განიცდის ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე დგომის სიმწვავეს. მას ამ განცდას პანდემიაზე მეტად ის უმძაფრებს, რომ ვირუსის უკან მსოფლიოს ბინძური ძალების ბინძურ საცეცებს ხედავს.

ამ საკითხზე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ჩვენი გადაცემა მარჩიელობას რომ არ დაემსგავსოს, კაცობრიობის წინააღმდეგ მსოფლიოს ბოროტი ძალების შეთქმულების თემას თავი დავანებოთ და, რასაც რეალურად ვხედავთ, იმაზე ვიმსჯელოთ.

რეალობა კი ასეთია:

**კორონავირუსმა თუ არ შეგვიწირა, შესაძლებელია, მისმა შედეგებმა შეგვიწიროს.**

**მსოფლიო ეკონომიკაში კოლოსალური რყევები ხდება, მიწისძვრა და ცუნამი კი წინაა.**

მხოლოდ ორი მაგალითით შემოვიფარგლები:

**1.** 2020 წლის პირველ კვარტალში (კორონავირუსის ეპიდემიის შემდეგ), ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობებების თვალსაზრისით, მოხდა ორიენტაციის წარმოუდგენელი ცვლილება. ჩინეთის საბაჟო სამმართველოს ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ამ უზარმაზარი სახელმწიფოს სავაჭრო პარტნიორობამ დასავლეთიდან აღმოსავლეთით გადაინაცვლა. დროის ამ უმცირეს მონაკვეთში „ასეანის", ანუ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობა 6,1 პროცენტით თუ გაიზარდა, ევროკავშირთან ვაჭრობა 10,4 პროცენტით შემცირდა, აშშ-თან კი — 18,3 პროცენტით.

**დააკვირდით ამ რიცხვებს და მსოფლიო ეკონომიკური რყევების გრანდიოზული მასშტაბები და ზოგიერთი ტენდენცია თვალწინ დაგიდგებათ.**

**2.** ნავთობით ვაჭრობის მსოფლიო ისტორიაში არნახული პრეცედენტი აღინიშნა. 21 აპრილს ნავთობის ფასი ისე დაეცა, რომ უარყოფითი ნიშანი შეიძინა. მოხდა არა მხოლოდ ნავთობით ვაჭრობის, არამედ, საერთოდ, ვაჭრობის ისტორიაში გაუგონარი, ვაჭრობის ფილოსოფიის საწინააღმდეგო და პარადოქსული მოვლენა. ნავთობის გამყიდველები ნავთობის შემსყიდველებს გარკვეულ თანხას სთავაზობდნენ იმაში, რომ მათი პროდუქცია წაეღოთ. ბარელი ნავთობის უარყოფითმა ფასმა 40 დოლარს მიაღწია, რაც იმას ნიშნავდა, რომ, **თუკი შემსყიდველი, ვთქვათ, მილიონ ბარელ ნავთობს შეისყიდდა (სიტყვა „შესყიდვა" ამ შემთხვევაში მხოლოდ პირობით ხასიათს ატარებს), ნავთობის გამყიდველი მას 40 მილიონ დოლარს გადაუხდიდა. ე.ი., მილიონ ბარელ ნავთობს საჩუქრად რომ გაატანდა, ამ საჩუქარს ზემოდან კიდევ 40 მილიონ დოლარსაც მოაყოლებდა, ოღონდ შემსყიდველს საჩუქარზე უარი არ ეთქვა.**

უნიკალური ფაქტია, ხომ?!

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ამიერიდან ასე გაგრძელდება. არა, აქ სხვა რამეზეა საუბარი. ინდონეზიაში ან იაპონიაში ცუნამი რომ მოვარდა, გარკვეული პერიოდის შემდეგ უკუიქცა და ოკეანე კალაპოტში ჩადგა, მაგრამ ცუნამმა ოკეანის ფსკერზე მომხდარი ბიძგების ძალა და დამანგრეველი შედეგები გვაჩვენა. **ნავთობის ფასის უარყოფით ნიშანში გადასვლამ ჯერჯერობით ეკონომიკური რყევის სიძლიერე გვაჩვენა, დამანგრეველ შედეგებს კი ახლო მომავალში უნდა ველოდოთ.**

სხვათა შორის, ფიზიკური ცუნამის შემდეგ ოკეანე გაცილებით სწრაფად უბრუნდება კალაპოტს, ვიდრე ეკონომიკური ცუნამის შემდეგ — ეკონომიკა. ამიტომ, სულაც არ ჩანს ლოგიკას მოკლებული ის შემაშფოთებელი პროგნოზი, რომელიც გასულ კვირას მსოფლიო საზოგადოების წინაშე გაცხადდა.



**დევიდ ბიზლი, საერთაშორისო სასურსათო პროგრამის აღმასრულებელი დირექტორი:** — დღეს მინდა განგაშის ზარებს შემოვკრა. ჩვენ შეიძლება თავს დაგვატყდეს ბიბლიური მასშტაბის შიმშილი.

**ვალერი კვარაცხელია:** — უმძიმესი ნათქვამია. სამწუხაროდ, დამაიმედებელი და ოპტიმისტური პროგნოზი თითქმის არ ჩანს.

პოპულარულმა ამერიკულმა ჟურნალმა Foreign Policy-მა ეკონომიკისა და ფინანსების დარგში მსოფლიო დონის მოაზროვნეებს, მათ შორის, ნობელის პრემიის ლაურეატებს სთხოვა, პროგნოზი გაეკეთებინათ პოსტკორონავირუსული ეპოქის ეკონომიკის შესახებ (გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ მათი პროგნოზებიდან ამოკრეფილ უაღრესად მნიშვნელოვან წინადადებებს).



**ჯოზეფ სტიგლიცი, ნობელის პრემიის ლაურეატი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი:** — ადრე ეკონომისტები ამტკიცებდნენ, რომ გლობალურ მსოფლიოში საზღვრები არაფერს ნიშნავს, მაგრამ ახლა საზღვრებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. კორონავირუსთან დაკავშირებულმა კრიზისმა ყველას შეგვახსენა, რომ საბაზისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ერთეულად სახელმწიფო რჩება.



**რობერტ შილერი, ნობელის პრემიის ლაურეატი, იელის უნივერსიტეტის პროფესორი:** — პანდემიამ ჩამოაყალიბა საომარი ვითარების ატმოსფერო. ვინაიდან ამ ომში ჩვენ ყველა ერთ მხარეს აღმოვჩნდით, შესაძლებელია, ვიპოვოთ მოტივაცია იმ ახალი საერთაშორისო ინსტიტუტების შესაქმნელად, რომლებიც დაგვეხმარება რისკების უკეთესად გადანაწილებაში სახელმწიფოებს შორის.



**გიტა გოპინატი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მთავარი ეკონომისტი:** — 1930 წლის შემდეგ ყველაზე მძლავრმა დაცემამ ეკონომიკაში თვალნათლივ დაგვანახვა, რამდენად მოწყვლადია ღია საზღვრები. ყველა, ვინც ჩართული იყო მიწოდების გლობალურ ჯაჭვში და, ვინც საკუთარ თავზე იწვნია ის, თუ რამდენად საშიშია სხვებზე დამოკიდებულების ასეთი მაღალი ხარისხი, მომავალში იზრუნებენ საკუთარ მოქმედებათა არეალის ლოკალიზაციისთვის და არავითარ შემთხვევაში გლობალიზაციისთვის.



**კარმენ რაინჰარტი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი:** — პანდემიის შემდეგ ფინანსური არქიტექტურა, ალბათ, ვერ დაუბრუნდება ბრეტონ-ვუდსის ეპოქის გლობალიზაციას. საერთაშორისო ვაჭრობასა და ფინანსებს მიადგება სერიოზული და ხანგრძლივი ზიანი. პანდემია კიდევ ერთი ჩაჭედებული ლურსმანი აღმოჩნდება გლობალიზაციის კუბოში.



**ადამ პოზენი, პეტერსონის სახელობის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტის პრეზიდენტი:** — გაძლიერდება ეკონომიკური ნაციონალიზმი, რომელიც მიგვიყვანს იქამდე, რომ სახელმწიფოები თავიანთ ეკონომიკებს სულ უფრო შემოსაზღვრავენ გარე სამყაროსგან.



**ესვარ პრასადი, ბრუკინგსისა და კორნელის უნივერსიტეტების პროფესორი:** — პანდემიით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური სასაკლაო მსოფლიოს სხეულზე ღრმა ჭრილობებს დატოვებს.



**ადამ ტუზი, კოლუმბიის უნივერსიტეტის ევროპის ინსტიტუტის დირექტორი:** — მსოფლიოში დაიწყო რაღაც ახალი და საშინელი. მილიონობით მშრომელ ადამიანს კატასტროფა ემუქრება. ბევრმა რამემ, რაც ჩვენ ვიცოდით ფინანსებისა და ეკონომიკის შესახებ, უკვე განიცადა ღრმა ცვლილებები. ჩვენ ახლა მხოლოდ ის ვიცით, თუ როგორია ნამდვილი და რადიკალური გაურკვევლობა.



**ლაურა დე ანდრეა ტაისონი, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი, პრეზიდენტ კლინტონის ეკონომიკურ მრჩეველთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე:** — პანდემიის შემდეგ დაჩქარდება ციფრიზაციისა და ავტომატიზაციის პროცესი და გაქრება საშუალო კვალიფიკაციის უამრავი სამუშაო ადგილი, გაიზრდება უთანასწორობა.



**კიშორ მაჰბუბანი, სინგაპურის ნაციონალური უნივერსიტეტის აზიის ინსტიტუტის დამსახურებ-** ▶

**პანდემიის შემდეგ მსოფლიო თვისებრივად შეიცვლება, იგი სერიოზულ კრიზისში შევა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებში (მათ შორის, რუსეთშიც) მშრომელთა პირობები არსებითად გაუარესდება; გლობალიზაციის ის მოდელი, რომელშიც ვცხოვრობდით, დასრულდა, მაგრამ გლობალიზაცია არ დასრულებულა. ამერიკულ გლობალიზაციას ჩინური გლობალიზაცია ჩაანაცვლებს**

**ამერიკული გლობალიზაციის ჩანაცვლება ჩინური გლობალიზაციით ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს ერთი ზესახელმწიფოს ფლაგმანობას ეკონომიკურად დაწინაურებული მეორე ზესახელმწიფოს ფლაგმანობა ჩაანაცვლებს, რომლითაც ჯამში არაფერი შეიცვლება. არა, ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ საქმე გვაქვს ერთი სისტემის (კაპიტალისტურის) მეორე სისტემით (სოციალისტურით) შეცვლის ისტორიულ-რევოლუციურ პროცესთან. ამერიკული (კაპიტალისტური) გლობალიზაცია ხალხთა დამონების პროცესი თუ იყო, ჩინური (სოციალისტური) გლობალიზაცია ხალხთა განთავისუფლებისკენ მიმართული პროცესი უნდა იყოს.**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ული მეცნიერ-თანამშრომელი:**
— პანდემია COVID-19 დააჩქარებს ამერიკული გლობალიზაციიდან ჩინური გლობალიზაციისკენ შემობრუნების უკვე დაწყებულ პროცესს.

**ვალერი კვარაცხელია:**
— გამოჩენილ მეცნიერთა ამ გამონათქვამებმა, ალბათ, დაგარწმუნათ, რომ მსოფლიო ეკონომიკა რყევებს კი არ განიცდის, იგი, უბრალოდ, ამოყირავდა. ამ საინტერესო პროგნოზებიდან ორი ძირითადი დასკვნა გამომაქვს:

**1. პანდემიის შემდეგ მსოფლიო თვისებრივად შეიცვლება, იგი სერიოზულ კრიზისში შევა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებში (მათ შორის, რუსეთშიც) მშრომელთა პირობები არსებითად გაუარესდება;**

**2. გლობალიზაციის ის მოდელი, რომელშიც ვცხოვრობდით, დასრულდა, მაგრამ გლობალიზაცია არ დასრულებულა. ამერიკულ გლობალიზაციას ჩინური გლობალიზაცია ჩაანაცვლებს.**

პირველი პუნქტი რასაც ნიშნავს, მარტივად გასაგებია, მაგრამ რას ნიშნავს გლობალიზაციის დასასრული ან ამერიკული გლობალიზმის ჩინური გლობალიზმით ჩანაცვლება?

**გლობალიზაცია, როგორც მოვლენა, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგია. ინფორმაციის, კავშირგაბმულობისა და სამიმოსვლო საშუალებათა განვითარებამ კულტურათა და ცივილიზაციათა ურთიერთშეღწევადობას უზარმაზარი ბიძგი მისცა, მსოფლიო ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადა და პლანეტა თითოეული ადამიანის საკუთრებად აქცია, მაგრამ მსოფლიოზე ერთპიროვნული ბატონობისკენ ორიენტირებულმა ამერიკულმა პოლიტიკამ, საზოგადოების განვითარების ეს ბუნებრივი პროცესი, ისევე, როგორც დემოკრატია, საკუთარი ძალმომრეობრივი იდეოლოგიის სამსახურში ჩააყენა და, პრაქტიკულად, ამერიკანიზაციად აქცია. ახლა კი საფუძველი ეყრება ამ უაღრესად უარყოფითი პროცესის ალტერნატივას.**

ამერიკული გლობალიზაციის ჩანაცვლება ჩინური გლობალიზაციით ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს ერთი ზესახელმწიფოს ფლაგმანობას ეკონომიკურად დაწინაურებული მეორე ზესახელმწიფოს ფლაგმანობა ჩაანაცვლებს და ჯამში არაფერი შეიცვლება. არა, ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ საქმე გვაქვს ერთი სისტემის (კაპიტალისტურის) მეორე სისტემით (სოციალისტურით) შეცვლის ისტორიულ-რევოლუციურ პროცესთან.

ამერიკული (კაპიტალისტური) გლობალიზაცია ხალხთა დამონების პროცესი თუ იყო, ჩინური (სოციალისტური) გლობალიზაცია ხალხთა განთავისუფლებისკენ მიმართული პროცესი უნდა იყოს.

**კაცობრიობას, სოციალიზმის გარდა, სხვა გამოსავალი არ აქვს.**

**კაპიტალიზმი ყველგან ერთი უბედურებაა და მას ყველგან ერთი სახე აქვს.სიდიდითა და სიმდიდრით გამორჩეულ რუსეთშიც კი კაპიტალიზმმა რუსული სახე ვერ შეიძინა და, სინამდვილეში, დასავლური იმპერიალიზმის გაგრძელებად იქცა.** გასული საუკუნის 90-იან წლებში რუსი ხალხიც ისეთივე მოტყუებული დარჩა, როგორც მთლიანად საბჭოთა ხალხი. რუსები ამაში კარგად გაერკვნენ. 2020 წლის იანვარ-თებერვალში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ (АКСИО-8), რომელშიც 86 ათასი ადამიანი მონაწილეობდა, უაღრესად საყურადღებო სურათი აჩვენა: **რუსეთში სოციალიზმის მომხრეები საზოგადოების ნაკლებად უზრუნველყოფილ ფენაში უფრო მეტია, ვიდრე მეტად უზრუნველყოფილ ფენაში, მაგრამ ამ ნაწილშიც კი წარმოუდგენლად ბევრნი არიან: 38 პროცენტი 53 პროცენტის წინააღმდეგ (იხ. ИА REGNUM). საზოგადოების სოციალურად და ფინანსურად უზრუნველყოფილ ნაწილშიც კი თუკი 38 პროცენტი სოციალიზმის მომხრეა, წარმოიდგინეთ, რა ხდება მთლიანობაში. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, საით წავა რუსეთი ხვალ და ზეგ, როდესაც დასავლური იმპერიალიზმი საბოლოოდ მოექცევა ჩიხში და სოციალისტური ტენდენციები მთელ მსოფლიოში გაძლიერდება.**

სწორედ ამ პანდემიისა და საერთო ძნელბედობის ჟამს გაისმა რუსეთის პრეზიდენტის მიერ ნათქვამი ერთი საგულისხმო წინადადება, რომელმაც კოლექტიური დასავლეთის ოფიციოზსა და მათ მიერ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში სახელმწიფო გადატრიალებებისა თუ საარჩევნო მანიპულაციების გზით მოყვანილი სამთავრობო წრეების წარმომადგენლებში კოშმარული სიზმრის ეფექტი გამოიწვია.

**კაცობრიობას, სოციალიზმის გარდა, სხვა გამოსავალი არა აქვს. კაპიტალიზმი ყველგან ერთი უბედურებაა და მას ყველგან ერთი სახე აქვს. სიდიდითა და სიმდიდრით გამორჩეულ რუსეთშიც კი კაპიტალიზმმა რუსული სახე ვერ შეიძინა და, სინამდვილეში, დასავლური იმპერიალიზმის გაგრძელებად იქცა**



**ვლადიმერ პუტინი, რუსეთის პრეზიდენტი:** — Преодолевая какие-то фобии прошлого, преодолевая страхи по поводу возрождения Советского Союза и советской империи, все-таки растет понимание того, что объединение усилий на пользу всем, пробивает себе дорогу неизбежно. И чувствуя эти преимущества — а эти преимущества чувствуют все участники этого процесса, — мы двигаемся дальше, совершаем новые шаги и идем вперед.

**ვალერი კვარაცხელია:**
— მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით გაისმაო, — ვამბობთ ხოლმე ქართველები ასეთ შემთხვევაში. ეს ის პუტინია, ბოლო ოცი წლის განმავლობაში ძვალივით რომ ჰყავს დასავლეთს ყელში გაჩხერილი. ეს ის პუტინია, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლას გეოპოლიტიკური ტრაგედია უწოდა. მის მიერ ნათქვამი იმის შესახებ, რომ ძალისხმევის გაერთიანება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის ხელსაყრელია, რა თქმა უნდა, შემზარავად იმოქმედებს მათზე, ვინც ჯერ კიდევ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მეორე მსოფლიო ომისდროინდელი პოლიტიკური და იდეოლოგიური შაბლონებით აზროვნებს, მიუხედავად იმისა, რომ ის შაბლონები აგერ, ოცდამეერთე საუკუნის ოციანებში გაჩენილმა ბუნებრივმა თუ ხელოვნურმა ვირუსმა ერთიანად ამოაყირავა და პირი ისტორიის სანაგვისკენ აქნევინა.

იმავე განცხადებაში რუსეთის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანობის იდეისადმი დასავლეთის უკიდურესად შეშინებულ დამოკიდებულებასაც.

**ვლადიმერ პუტინი, რუსეთის პრეზიდენტი:** — До недавнего времени вообще даже не хотели разговаривать с нашим экономическим, именно экономическим, а не политическим, невоенным объединением.

**ვალერი კვარაცხელია:**
— საქმეც ის არის, რომ **დასავლეთს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის რამე სახის ინტეგრაციული პროცესების შესახებ გაგონებაც არ სურს. მათ შესანიშნავად იციან, რომ დღეს რუსეთის ხელისუფლებაში საბჭოთა კავშირის აღდგენაზე არავინ ფიქრობს, მაგრამ რეგიონული და ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური კავშირების უალტერნატივობას კარგად ხედავენ, ამას ახალი რეალობა უკვე მთელი სიმწვავით აყენებს. ეს აცოფებთ. პუტინი კი პირდაპირ აცხადებს, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკურ კავშირში გაერთიანება მათი ეკონომიკური პოტენციალისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ბუნებრივი გზაა.**

**ვლადიმერ პუტინი, რუსეთის პრეზიდენტი:** — это абсолютно естественное дело!!

**ვალერი კვარაცხელია:**
— რუსეთის პრეზიდენტი ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების ახალ ეკონომიკურ კავშირში გაერთიანების აუცილებლობას ბევრი ფაქტორი განაპირობებს და ბევრი ბუნებრივი წანამძღვარიც გააჩნია.

**ვლადიმერ პუტინი, რუსეთის პრეზიდენტი:** — Во всех странах свободно говорят на русском языке. Это огромное преимущество. У нас общая, доставшаяся от единой страны, инфраструктура транспорта, энергетики, связи- это еще одно колоссальное преимущество интеграции.

**ვალერი კვარაცხელია:**
— **კორონავირუსთან ბრძოლის პროცესში სოციალისტურმა ჩინეთმა საოცარ წარმატებას მიაღწია, მაშინ, როდესაც კაპიტალისტურმა დასავლეთმა სრული უმწეობა გამოავლინა. პანდემიასთან ბრძოლაში რუსეთიც ჯერჯერობით დასავლეთზე გაცილებით უკეთესად გამოიყურება და ეს, ალბათ, იმის დამსახურებაა, რომ კაპიტალიზმის რელსებზე 30 წლის წინათ გადაყვანილი ეს სახელმწიფო ამ მძიმე საკითხს მაინც სოციალისტურად მიუდგა. ყოველ შემთხვევაში, კორონავირუსით დასნებოვნებულ მოქალაქეებს მკურნალობის საფასურს არ ახდევინებს, მაშინ, როდესაც აშშ-ის მოქალაქეებს მკურნალობა 42 ათასიდან 75 ათას დოლარამდე უჯდებათ.**

სინგაპურელი პროფესორის **კიშორ მაჰბუბანის** სიტყვებში, რომელიც ზემოთ დავიმოწმეთ, მეცნიერულ პროგნოზირებასთან ერთად, არის რაღაც წინასწარმეტყველურიც. ამერიკული (კაპიტალისტური) გლობალიზაციის კრახის შემდეგ, ახალი (სოციალისტური) გლობალიზაციის მეგაპროექტი ევრაზიის თვალუწვდენელ სივრცეში ამჯერად ჩინეთიდან გავრცელდება და საამისო უპირველეს ინსტრუმენტად ჩინური აბრეშუმის გზა მოგვევლინება, რომელიც ახლა, ფანტასტიკურ ფიზიკურ განზომილებასთან ერთად, ფანტასტიკურ შინაარსობრივ დატვირთვასაც იძენს.

**ვლადიმერ პუტინი, რუსეთის პრეზიდენტი:** — Российская сторона неоднократно подчёркивала, что инициатива Председателя КНР «Один пояс, один путь» перекликается с российской идеей создания большого евразийского партнёрства, которое именно и предполагает «интеграцию интеграций», то есть тесное сопряжение идущих в Евразии различных двусторонних и многосторонних интеграционных процессов.

**ვალერი კვარაცხელია:**
— ეს იქამდე იყო ნათქვამი, ვიდრე მსოფლიო პანდემიურ ციებ-ცხელებაში გაეხვეოდა და სრულიად განსხვავებული რეალობის წინაშე აღმოჩნდებოდა. ისიც მართალია, რომ ჩინური აბრეშუმის გზის გლობალური პროექტის განხორციელების პროცესში მონაწილეობისას რუსეთი თითქოს ფეხს ითრევდა, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტის მიერ ადრე ნათქვამი ეს წინადადება მოულოდნელად შექმნილ ამ ახალ ვითარებაში პროტოკოლური დატვირთვისგან სრულიად თავისუფლდება და სამეცნიერო, სამომავლო შინაარსს იძენს. **ეს ყველაფერი, ერთად აღებული, საქართველოსთვის ახალ პერსპექტივებს აჩენს, თუკი ჩვენ დასავლეთის მიერ თავსმოხვეული ფსევდოლირებულებებისა და ძველი რუდიმენტებისგან თავის დაღწევას მოვახერხებთ. ახლა მთავარია, პანდემიას ნაკლები დანაკარგებით გადავურჩეთ. მსოფლიოს კი სხვა გზა აღარ დარჩენია, იგი აუცილებლად შეიცვლება, იმედია — უკეთესისკენ, რადგან უარესის წარმოდგენა, ვიდრე დღეს არის, თუკი გლობალურ საომარ ვითარებას არ ვიგულისხმებთ, თითქმის შეუძლებელია.**

**ასეთი იყო დღეს „ოქროს კვეთა“. მომავალ შეხვედრამდე!**

**დასავლეთს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის რამე სახის ინტეგრაციული პროცესების შესახებ გაგონებაც არ სურს. დასავლეთში შესანიშნავად იციან, რომ დღეს რუსეთის ხელისუფლებაში საბჭოთა კავშირის აღდგენაზე არავინ ფიქრობს, მაგრამ რეგიონული და ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური კავშირების უალტერნატივობას კარგად ხედავენ, ამას ახალი რეალობა უკვე მთელი სიმწვავით აყენებს. ეს აცოფებთ. პუტინი კი პირდაპირ აცხადებს, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკურ კავშირში გაერთიანება მათი ეკონომიკური პოტენციალისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ბუნებრივი გზაა**

**P. S.** საქართველოს ხელისუფლება მსოფლიოში შექმნილ ახალ რეალობაზე ფიქრს უფრო მეტ დროს უნდა უთმობდეს, ვიდრე საქართველოს დამნაშავე ექსპრეზიდენტის უკრაინის ვიცეპრემიერად დანიშვნაზე ფიქრს უთმობს. სააკაშვილისთვის უკრაინის მთავრობაში მაღალი თანამდებობის ბოძება სულაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან უკრაინის ხელისუფლებაში, დიდი ხანია, ფაშისტები არიან, რომლებიც თავიანთი რიგების ფაშისტებით შევსებას ცდილობენ.

გასაკვირი ისაა მხოლოდ, რატომ თვლის საქართველოს ხელისუფლება სტრატეგიულ პარტნიორად უკრაინას, რომლის ხელისუფლება ფაშისტი ლიდერების დროშებსა და პორტრეტებს ეთაყვანება, ფაშიზმთან მებრძოლი საბჭოთა ჯარისკაცების ობელისკებსა და მონუმენტებს კი ბულდოზერებით თხრის?!

**ვალერი კვარაცხელია**

კაცობრიობის მტერი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახალი კორონავირუსის პანდემიამ აიძულა სპეციალისტები, გაეხსენებიათ პანდემიური სწავლება „მოვლენა 201“, რომელიც ჩინეთის ქალაქ უჰანში „კოვიდ-19“-ით ინფიცირების პირველი შემთხვევის აღრიცხვამდე თვე-ნახევრით ადრე ჩაატარეს აშშ-ში. ეს სწავლება 2019 წლის ოქტომბერში ნიუ-იორკში იყო ორგანიზებული ჰოპკინსის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის უსაფრთხოების ცენტრის, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისა და ბილ და მელინდა გეიტსების ფონდის მიერ.**

# ბილ გეიტსი ვაქცინებს ადამიანების უნაყოფობისთვისა და მათი გამრავლების უნარის მოსასპობად ქმნის

**საინფორმაციო-ანალიტიკურმა ცენტრმა VERELQ-მა გააანალიზა კორონავირუს „კოვიდ-19“-ის ეპიდემიის წარმოქმნის, აგრეთვე, ამ პროცესში აშშ-ის გარკვეული წრეებისა და კომპანია „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელ ბილ გეიტსის როლის შესახებ გამოქვეყნებული მასალები. როგორც საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი წერს, თუ წერილები იმის შესახებ, რომ „კოვიდ-19“-ის შემქმნელი ბილ გეიტსია, ცოტა ხნის წინათ ღიმილს იწვევდა, ახლა ასეთი მასალები ადამიანებს აიძულებს, დაფიქრდნენ.**

საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი სვამს კითხვებს: რა აკავშირებს ბილ და მელინდა გეიტსების ფონდს პანდემიურ სწავლება „მოვლენა 201“-თან? რა საერთოა აშშ-ის „მწვანე ახალ კურსსა“ და გეიტსის წინადადებას — „განახლება ნულისკენ“ — შორის? უსაფრთხო იქნება ფონდის მიერ შექმნილი ვაქცინა?

## პანდემიური სწავლება „მოვლენა 201“

ახალი კორონავირუსის პანდემიამ აიძულა სპეციალისტები, გაეხსენებიათ პანდემიური სწავლება „მოვლენა 201“, რომელიც ჩინეთის ქალაქ უჰანში „კოვიდ-19“-ით ინფიცირების პირველი შემთხვევის აღრიცხვამდე თვე-ნახევრით ადრე ჩაატარეს აშშ-ში. ეს სწავლება 2019 წლის ოქტომბერში ნიუ-იორკში იყო ორგანიზებული ჰოპკინსის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის უსაფრთხოების ცენტრის, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისა და ბილ და მელინდა გეიტსების ფონდის მიერ.

აი „მოვლენა 201“-ის სცენარი:

„იწყება გავრცელება ახალი კორონავირუსისა, რომელიც ღამურებისგან **გადაედება ღორებს, მათგან კი — ადამიანებს. საბოლოო ჯამში, ეს ვირუსი სწრაფად გადადის ადამიანიდან ადამიანზე და იწვევს პანდემიას. პათოგენი და დაავადება, რომელსაც ის იწვევს, ძირითადად, მოდელირებულია SARS-ის (ატიპური პნევმონია) საფუძველზე, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ის ადამიანიდან ადამიანზე გადადის, თავდაპირველად — მსუბუქი სიმპტომებით.**

დაავადება იწყება ბრაზილიაში, ღორების ერთ-ერთ ფერმაში, თავდაპირველად წყნარად და ნელა, მაგრამ შემდეგ სწრაფად ვრცელდება სამედიცინო დაწესებულებებში. როცა ინფექცია იწყებს გავრცელებას ადამიანიდან ადამიანზე გადადებით სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი მეგაპოლისის ნაკლებად უზრუნველყოფილ, მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში, ეპიდემია ფეთქდება. ვირუსის ექსპორტი თავდაპირველად საჰაერო ტრანსპორტით ხდება პორტუგალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთში, შემდეგ — სხვა ქვეყნებში.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ქვეყანა შეძლებს ვირუსის გავრცელების, ასე თუ ისე, შეკავებას, ის მაინც ფართოდ გავრცელდება და ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეძლებს მის გაკონტროლებას.

ვაქცინაცია ვერ განხორციელდება ერთი წლის განმავლობაში, არსებობს გამოგონილი ანტივირუსული პრეპარატი, რომელიც ეხმარება პაციენტებს, მაგრამ არსებითად ვერ ზღუდავს დაავადების გავრცელებას.

**რადგან ადამიანის პოპულაცია ინფიცირებულია ამ ვირუსით, პანდემიის პირველ თვეებში დაავადებულთა საერთო რაოდენობა იმატებს ექსპონენციურად (ზვავისებურად) და ყოველკვირეულად ორმაგდება. იმის ფონზე, რომ გროვდება ინფიცირებისა და გარდაცვალების შემთხვევები, ეკონომიკური და სოციალური შედეგები სულ უფრო სერიოზულია. 18 თვის განმავლობაში კორონავირუსით 65 მლნ ადამიანი მოკვდება. პანდემია გაგრძელდება, სანამ არ შექმნიან ეფექტიან ვაქცინას ან სანამ არ დასნეგოვნდება პლანეტის მოსახლეობის 80-90%. ამ მომენტიდან ის ეპიდემიურად საშიშ დაავადებად აღარ ჩაითვლება“.**

არაფერს გაგონებთ? ბილ გეიტსმა თავის გამართლების მიზნით განაცხადა, რომ თითქოს აფრთხილებდნენ პანდემიის გარდაუვალობის შესახებ, ხოლო შექმნილ ვითარებაში დამნაშავენი არიან ქვეყნების მთავრობები, რომლებმაც საჭირო თანხები არ გამოყვეს ამ მიმართულებით კვლევების ჩასატარებლად.

## დადგა GREEN NEW DEAL-ის დრო

ერთი წლით ადრე მოხდა კიდევ ერთი მოვლენა, მშვიდობიანი და არაშიშისმომგვრელი, ეკოლოგიის სახელით და ისიც აშშ-ში.

2019 წლის თებერვალი. დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა აშშ-ის ხელისუფლებას შესთავაზეს „მწვანე ახალი კურსი“ (Green New Deal).

„ჩვენ შევძლებთ, ავაშენოთ უკეთესი მომავალი, დღეს დადგა Green New Deal-ის დრო! — ასეთი იყო დევიზი აშშ-ის „მწვანე“ მოძრაობისა, რომელსაც განზრახული აქვს, „ძველი, ნაცრისფერი ეკონომიკა გარდაქმნას მდგრად და ეკოლოგიურად უსაფრთხო ეკონომიკად“, მოძრაობის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ განზრახული აქვთ, ჩააცხრონ კლიმატური კრიზისი და 2030 წლისთვის მიაღწიონ იმას, რომ სასათბურე აირები ატმოსფეროში აღარ გამოიყოფოდეს.

„სხვათა შორის, „მწვანე ახალი კურსის“ რეზოლუცია 2019 წლის თებერვალში წარმოადგინა აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელმა, პალატის წევრმა **ალექსანდრია ოკასიო კორტესმა.**

**„GREEN NEW DEAL-ი — ეს არის „ამერიკული საზოგადოებრივი წყობის ყველა ელემენტის მობილიზაციის 10-წლიანი გეგმა ისეთ მასშტაბებში, როგორიც არ ყოფილა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მისი მიზანია სათბურის ეფექტის მქონე გამონაბოლქვების ნულამდე დაყვანა, ეკონომიკური აყვავების მიღწევა ყველასთვის“,** — ნათქვამია ნეზოლუციაში, მაგრამ რეზოლუციით ყველა არ აღფრთოვანებულა, განსაკუთრებით — თვითმფრინავების ფრენაზე უარის თქმისა და ჩქაროსნული სარკინიგზო მატარებლების მოგზაურობაზე გადასვლის განზრახვით.

მკვეთრი რეაქცია ჰქონდა რესპუბლიკურ პარტიას.

„ეს ნიშნავს, რომ მთავრობა უნდა მოუყვეს ადამიანებს, სად შეუძლიათ მათ ფრენა და სად — არა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენმა კოლეგებმა კალიფორნიიდან ველოსიპედით უნდა იარონ თავიანთ ამომრჩევლებთან“, — განაცხადა აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა **ელისაბედ ჩეინიმ.** აშშ-ის პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმაც** განაცხადა, რომ „მწვანე ახალი კურსი“ მოქალაქეებს „თვითმფრინავის უფლებას“ წაართმევს.

ალნიშნული რეზოლუციით გაცხადდა არა მხოლოდ ეკოლოგიური, არამედ ეკონომიკური მიზნებიც. მაგალითად, ჰაერისა და წყლის სისუფთავის უზრუნველყოფასა და ტრანსპორტსა და მრეწველობაში ნახშირწყალბადების გამოყენების აკრძალვასთან ერთად დოკუმენტში ლაპარაკია **„მილიონობით კარგ, მაღალხელფასიან სამუშაო ადგილზე“,** მრეწველობისა და „ქვეყანაში თითოეული შენობის“ მოდერნიზაციაზე ენერგოეფექტიანობის სასარგებლოდ, „მაღალხარისხიან სამედიცინო დახმარებაზე“ და ყველასთვის ხელმისაწვდომ უმაღლეს განათლებაზე. ამ მიზნების უმრავლესობის რეალიზებას მოძრაობა უახლოეს 10 წელიწადში გეგმავდა. რაც შეეხება მთავარ მიზანს, რომელიც სრულიად მსოფლიოს ეხებოდა, ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვების რაოდენობა ნულამდე უნდა დასულიყო 2050 წელს. შეერთებულ შტატებს კი ამ გეგმის შესრუ-


ბილ გეიტსი

**2010 წელს(!) კალიფორნიაში გამართულ დახურულ კონფერენციაზე (RED 2010 Conference) გეიტსმა წარმოთქვა ძალიან საინტერესო სიტყვა «განახლება ნულისკენ» და ყველას შესთავაზა $CO_2$-ის გამონაბოლქვის შემცირება ნულამდე 2050 წლისთვის. ეს იყო დემოკრატების ზემოაღნიშნული «მწვანე ახალი კურსის» (Green New Deal) მოკლე ვერსია. გამოსვლის დაწყებიდან დაახლოებით მეოთხე წუთზე გეიტსმა განაცხადა: «მსოფლიოში დღეს 6,8 მლრდ ადამიანია. ეს რაოდენობა მოიმატებს დაახლოებით 9 მლრდ-მდე. თუ ჩვენ ჩავატარებთ დიდ სამუშაოს ახალი ვაქცინების შესაქმნელად ჯანდაცვაში, რეპროდუქციული ჯანდაცვის სფეროში, ის (მოსახლეობა — გ.გ.), შესაძლოა, შევამციროთ 10 ან 15 პროცენტით»**


მელინდა გეიტსი

**დღეს ბილ გეიტსი ლაპარაკობს «კოვიდ-19»-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის აუცილებლობაზე (წაიკითხეთ — იძულებით და, რა თქმა უნდა, მსოფლიოსა და ეკოლოგიის გადარჩენის ეგიდით). ხომ არ მიგვიყვანს ეს «მოსახლეობის შემცირებასთან», რასაც ვარაუდობდა ბილ გეიტსი 2010 წელს?**

„ვირუსი ბუნებრივად არ წარმოქმნილა. ეს მოლეკულური ბიოლოგების ნახელავია. რა მიზნით გაკეთდა ეს, ჯერჯერობით უცნობია. ჩემი საქმეა, წარმოვადგინო ფაქტები. არავის ვადანაშაულებ. მე არ ვიცი, ვინ გააკეთა ეს და რისთვის. შესაძლოა, სურდათ, შეექმნათ შიდსის საწინააღმდეგო ვაქცინა“, — თქვა მონტანიემ.

# კაცობრიობის მტერი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**«გეიტსი ყველას დაჰპირდა, რომ 1,2 მლრდ დოლარიდან 450 მლნ-ს გაიღებდა პოლიომიელიტის სალიკვიდაციოდ და კონტროლი დააწესა იმუნიზაციის საკითხების ინდოეთის ნაციონალურ ტექნიკურ-საკონსულტაციო ჯგუფზე. ინდოელი ექიმები გეიტსის კომპანიას ადანაშაულებენ მწვავე არაპროფილაქტიკური დუნე დამბლის დამანგრეველ ეპიდემიაში, რომელმაც დაადამბლავა 490 ათასი ბავშვი. 2017 წელს ინდოეთის მთავრობამ გააუქმა გეიტსის კომპანიის მიერ შემუშავებული ვაქცინაციის პროგრამა. გამოძიებით დადგინდა, რომ გეიტსის მიერ დაფინანსებული ექიმები სოფლელ გოგონებს აიძულებდნენ ვაქცინაციას, აშინებდნენ მათ მშობლებს და აყალბებდნენ თანხმობისა და უარის თქმის ფორმებს სამედიცინო დახმარებაზე»**

ლებაში „წამყვანი როლი“ უნდა შეესრულებინა.

აღსანიშნავია, რომ Green New Deal-მა სახელწოდება მიიღო უდიდესი სამთავრობო პროგრამისგან, რომელიც ცნობილია, როგორც „ახალი კურსი“ და რომელიც ინიცირებული იყო **ფრანკლინ რუზველტის** მიერ დიდი დეპრესიის შემდეგ.

ამასთანავე, რეზოლუციის შექმნისას სახელმძღვანელოდ გამოყენებული იყო ორი მოხსენება: ერთი — გაეროსი 2019 წლის, მეორე — აშშ-ის მეცნიერების...


ალექსანდრია ოკასიო კორტესი

## „განახლება ნულისკენ“ ბილ გეიტსისგან

რა შუაშია აქ ბილ გეიტსი? განზრახვის გარდა („მაიკროსოფტიდან“ წასვლის შემდეგ), მეტი დრო დაუთმოს ფილანტროპიას, ის გლობალური ჯანდაცვის განვითარების, განათლების, აგრეთვე, კლიმატის ცვლილების საკითხებით დაინტერესდა.

**2010 წელს(!) კალიფორნიაში გამართულ დახურულ კონფერენციაზე (RED 2010 CONFERENCE) გეიტსმა წარმოთქვა ძალიან საინტერესო სიტყვა „განახლება ნულისკენ“ და ყველას შესთავაზა CO2-ის გამონაბოლქვის შემცირება ნულამდე 2050 წლისთვის. ეს იყო დემოკრატების ზემოაღნიშნული „მწვანე ახალი კურსის“ (GREEN NEW DEAL) მოკლე ვერსია.** თუმცა გეიტსი უფრო გულახდილი გახლდათ. **გამოსვლის დაწყებიდან დაახლოებით მეოთხე წუთზე გეიტსმა განაცხადა: „მსოფლიოში დღეს 6,8 მლრდ ადამიანია. ეს რაოდენობა მოიმატებს დაახლოებით 9 მლრდ-მდე. თუ ჩვენ ჩავატარებთ დიდ სამუშაოს ახალი ვაქცინების შესაქმნელად, ჯანდაცვაში, რეპროდუქციული ჯანდაცვის სფეროში, ის (მოსახლეობა — გ.გ), შესაძლოა, შევამციროთ 10 ან 15 პროცენტით.**

და რა გვაქვს დღეს? არაფერი გაგონებთ აშშ-ის „მწვანე ახალ კურსს“ — პარალიზებული საჰაერო სივრცე, გაჩერებული ავტომობილები, მრეწველობა, „ეფექტიანი“ მუშაობა დისტანციურად (ან დახმარება არაფრის კეთებისთვის) და ა.შ.? და კიდევ საოცრება საოცრებათა შორის — ბუნების აღორძინება: ცხოველები უკეთესად არიან არა მხოლოდ ხმელეთზე, არამედ წყალშიც. ჰაერი გასუფთავდა, ცხენები, ირმები, ტახები, დათვები და მელიები უკაცრიელ ქუჩებში გამოვიდნენ. აი სარგებელი პანდემიისგან.




## წავიდა მსოფლიოს გადასარჩენად თუ...

ის „მაიკროსოფტიდან“ წავიდა კორონავირუსის პანდემიის პერიოდში. წავიდა ლამაზად, როცა განაცხადა, რომ განზრახული აქვს, თავი მიუძღვნას კაცობრიობის გადარჩენას ეპიდემიისა და პანდემიისგან. შეგახსენებთ, რომ ბილ და მელინდა გეიტსების ფონდის პრიორიტეტი არის ახალი ვაქცინის შექმნა და ადამიანების ვაქცინაცია დამზადებული პრეპარატებით.

ბილ გეიტსის საშინელი ნამსახურობის ნუსხა ვაქცინის შექმნის სფეროში შეიძლება ნახოთ **რობერტ ფ. კენედი-უმცროსის** ანგარიშში, რომელიც „ბავშვთა ჯანმთელობის დაცვის“ ორგანიზაციამ 2020 წლის 9 აპრილს გამოაქვეყნა სათაურით: **„გეიტსის ვაქცინების გლობალისტური პროგრამა: წაუგებელი ვარიანტი ფარმაცევტიკისა და აუცილებელი ვაქცინაციისთვის“.**

აი ამონარიდი ამ ანგარიშიდან:

„გეიტსი ყველას დაჰპირდა, რომ 1,2 მლრდ დოლარიდან 450 მლნ-ს გაიღებდა პოლიომიელიტის სალიკვიდაციოდ და კონტროლი დააწესა იმუნიზაციის საკითხების ინდოეთის ნაციონალურ ტექნიკურ-საკონსულტაციო ჯგუფზე. ინდოელი ექიმები გეიტსის კომპანიას ადანაშაულებენ მწვავე არაპროფილაქტიკური დუნე დამბლის დამანგრეველ ეპიდემიაში, რომელმაც დაადამბლავა 490 ათასი ბავშვი. 2017 წელს ინდოეთის მთავრობამ გააუქმა გეიტსის კომპანიის მიერ შემუშავებული ვაქცინაციის პროგრამა. გამოძიებით დადგინდა, რომ გეიტსის მიერ დაფინანსებული ექიმები სოფლელ გოგონებს აიძულებდნენ ვაქცინაციას, აშინებდნენ მათ მშობლებს და აყალბებდნენ თანხმობისა და უარის თქმის ფორმებს სამედიცინო დახმარებაზე“.

დღეს ბილ გეიტსი ლაპარაკობს „კოვიდ-19“-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის აუცილებლობაზე (წაიკითხეთ — იძულებით და, რა თქმა უნდა, მსოფლიოსა და ეკოლოგიის გადარჩენის ეგიდით). ხომ არ მიგვიყვანს ეს „მოსახლეობის შემცირებასთან“, რასაც ვარაუდობდა ბილ გეიტსი 2010 წელს?

**eadauly.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**ბილ გეიტსის საშინელი ნამსახურობის ნუსხა ვაქცინის შექმნის სფეროში შეიძლება ნახოთ რობერტ ფ. კენედი-უმცროსის ანგარიშში, რომელიც «ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის» ორგანიზაციამ 2020 წლის 9 აპრილს გამოაქვეყნა სათაურით: «გეიტსის ვაქცინების გლობალისტური პროგრამა: წაუგებელი ვარიანტი ფარმაცევტიკისა და აუცილებელი ვაქცინაციისთვის»**



# იზოლაციაში ყოფნისას კონფლიქტი მესამე კვირას იწყება

**„ერთობლივ იზოლაციაში ყოფნისას ადამიანები ერთმანეთში კონფლიქტს მესამე კვირას იწყებენ“, — განაცხადა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მედიკო-ბიოლოგიური პრობლემების ინსტიტუტის ექსტრემალურ პირობებში ადამიანის ფიზიოლოგიის შემსწავლელი განყოფილების გამგემ, რუსეთის ციოლკოვსკის სახელობის კოსმონავტიკის აკადემიის აკადემიკოსმა ალექსანდრე სუვოროვმა.**

„ორი კვირის განმავლობაში ნებისმიერ ადამიანთან შეიძლება იყო იზოლაციაში და ეს არ გამოიწვევს არანაირ კონფლიქტს, ურთიერთობის პრობლემებს და ა.შ., მაგრამ, თუ იზოლაცია 2 კვირაზე მეტხანს გაგრძელდება, შეიძლება წარმოიქმნას პრობლემები“, — განაცხადა სუვოროვმა.

ალექსანდრე სუვოროვი პირადად მონაწილეობდა ხანგრძლივი იზოლაციის ექსპერიმენტებში (მარსსა და მთვარეზე გაფრენის იმიტაცია). მეცნიერის აზრით, ასეთ ვითარებაში მთავარია, არ დაგროვდეს უკმაყოფილება.

„რაც არ მოგწონთ – თქვით, იმსჯელეთ. თქვენს პრობლემაზე აუცილებლად უნდა ილაპარაკოთ!“ — გვირჩევს მეცნიერი.




# ნობელის პრემიის ლაურეატი:კორონავირუსი ლაბორატორიაში შექმნეს

**ცნობილმა ფრანგმა ვირუსოლოგმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა (2008 წ.) ლუკ მონტანიემ განაცხადა, რომ ახალი კორონავირუსი ბუნებრივად არ წარმოშობილა და ის ლაბორატორიაში შექმნეს.**

„ჩვენ მივდივართ დასკვნამდე, რომ მოხდა ამ ვირუსით მანიპულაცია“, — განაცხადა მონტანიემ CNEws-სთან ინტერვიუში.

მეცნიერი ვარაუდობს, რომ „კოვიდ-19“-ს დაუმატეს აივის (ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი) ნაწილაკები.

„ვირუსი ბუნებრივად არ წარმოქმნილა. ეს მოლეკულური ბიოლოგების ნახელავია. რა მიზნით გაკეთდა ეს, ჯერჯერობით უცნობია. ჩემი საქმეა, წარმოვადგინო ფაქტები. არავის ვადანაშაულებ. მე არ ვიცი, ვინ გააკეთა ეს და რისთვის. შესაძლოა, სურდათ, შეექმნათ შიდსის საწინააღმდეგო ვაქცინა“, — თქვა მონტანიემ. მოგვიანებით პორტალ Pourquoi doctour-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მონტანიემ განაცხადა, რომ „ეს ვირუსი გამოვიდა უჰანის ლაბორატორიიდან“.

აღსანიშნავია, რომ მეორე ფრანგმა ვირუსოლოგმა **ეტიენ სიმონ-ლორიერმა** უარყო თავისი კოლეგის მოსაზრება და მას სულელური უწოდა. სიმონ-ლორიერის თქმით, ახალ კორონავირუსში ნაპოვნია ძალიან ცოტა ელემენტი, რომლებიც ამ ტიპის ვირუსებში არსებობს.



მსოფლიო

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გლობალიზმის ვირუსით ინფიცირებულთათვის და „ლიბერალური საზოგადოებისთვის“ ვიქტორ ორბანი, დიდი ხანია, BETE NOIRE-ა — შავი მხეცი. უნგრეთის პრემიერზე თავდასხმა განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, როცა მან მკაცრ ნორმატიულ ჩარჩოებში მოაქცია ჯორჯ სოროსის (ეს 90 წლის ფინანსური თაღლითი, რომლის ფონდის განყოფილებებიც უამრავ ქვეყანაშია, მათ შორის საქართველოშიც, და რომლებიც მონაწილეობდნენ „ფერადი რევოლუციების“ მომზადებაში, უნგრეთში დაიბადა და მისი ნამდვილი სახელი და გვარია დიერდ შვარცი) სტრუქტურების მოღვაწეობა.**

# რას გაემიჯნა ორბანი — კორონავირუსს თუ გლობალიზმის ვირუსს?

## «არ მისცე უფლება სოროსს, გაიცინოს ბოლოს»

**ევროპის საბჭოს, ევროპული კომისიის, ევროპარლამენტის, აგრეთვე, აშშ-ის დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები თავს დაესხნენ უნგრეთის მთავრობასა და მის მეთაურს — ვიქტორ ორბანს იმ ზომებისთვის, რომლებიც ბუდაპეშტმა გაატარა, რათა არ დაეშვა ქვეყანაში ვირუსული ინფექციის გავრცელება, კერძოდ, მისი შემოტანა სხვა ქვეყნებიდან (უნგრეთი ესაზღვრება ევროკავშირის წევრ ქვეყნებს — ავსტრიას, რუმინეთს, სლოვაკეთს, სლოვენიას, ხორვატიას, აგრეთვე, სერბეთსა და უკრაინას).**

2020 წლის 20 მარტს უნგრეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც ქვეყნის მთავრობას მიენიჭა განსაკუთრებული უფლებები კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ დოკუმენტის თანახმად, **მინისტრთა კაბინეტს აქვს უფლებამოსილება, გამოსცეს კანონის ძალის მქონე ბრძანებულებები, ხოლო სამართალდამცავ ორგანოებს შეუძლიათ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისრონ ეპიდემიოლოგიური კონტროლის დამრღვევ და კორონავირუსზე ცრუ ინფორმაციის გამავრცელებელ პირებს.** დოკუმენტის მოქმედების ვადა განსაზღვრული არ არის. პარლამენტს შეუძლია საგანგებო მდგომარეობის გაუქმება, როცა ჩათვლის, რომ უნგრეთისთვის საფრთხე აცილებულია. არჩევნებისა და რეფერენდუმების ჩატარება ქვეყანაში მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის შეწყვეტის შემდეგ შეიძლება.

„დემოკრატიული“ ევროპის რეაქცია მწვავე იყო. „მიგვაჩნია, რომ საგანგებო ვითარებაში დემოკრატია არ უნდა შეჩერდეს“, — განაცხადა ევროპარლამენტის თავმჯდომარე **დევიდ სასოლიმ** (იტალია) უნგრეთის ახალ კანონზე.

„ევროპარლამენტის სხდომაზე ჩვენ ვიმსჯელეთ სასწრაფო ზომებზე ევროკავშირის ყველა ქვეყანაში, მათ შორის უნგრეთშიც. მე მოვისმინე, რომ რამდენიმე ქვეყანამ უნდა მიიღოს ზომები, რათა დაუყოვნებლივი რეაგირება ჰქონდეს კრიზისზე, მაგრამ მაშფოთებს ის, რომ ზოგიერთი ზომა ძალიან შორს მიდის, განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ვითარება უნგრეთში“, — განაცხადა ევროკომისიის ხელმძღვანელმა **ურსულა ფონ დერ ლაიენმა.** კიდევ უფრო შორს წავიდა ევროპარლამენტის კანონის უზენაესობის ჯგუფის ხელმძღვანელი **სოფი ინტ ველდი** (ნიდერლანდები). მან განაცხადა, რომ უნგრეთის ხელისუფლების მოქმედება შეუთავსებელია ევროკავშირის წევრობასთან და **ვიქტორ ორბანი** „კანონისა და უფლებების უზენაესობის განადგურებაში“ დაადანაშაულა.

სიტყვები არ შეურჩევია არც აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს, დემოკრატიული პარტიის წევრ **ელიოტ ენგელს**, რომელმაც ორბანი „ძალაუფლების აღმაშფოთებელ მიტაცებასა და დიქტატურის დამყარებაში“ დაადანაშაულა. ენგელის აზრით, **„დემოკრატიასთან ასეთი დაპირისპირება აღმაშფოთებელია, მაგრამ განსაკუთრებით აღმაშფოთებელია, როცა ლაპარაკია ევროკავშირისა და ნატოს წევრზე“.** უნგრეთის მთავრობის ინიციატივა დაგმეს დასავლეთის სხვა ქვეყნების ხელისუფლებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებაც.

ორბანის მიმართ კრიტიკული წერილები გამოაქვეყნეს The Guardian-მა, Le Monde-მ და სხვა გამოცემებმა. თუმცა ეს აღშფოთება ყალბი ჩანს. საგანგებო მდგომარეობა, **უწინარესად,** იმით განსხვავდება ჩვეულებრივი მდგომარეობისგან, რომ დემოკრატიული პროცედურების მოქმედება იზღუდება მთავრობისგან. **მეორე — კორონავირუსის შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელების გამო იურიდიული პასუხისმგებლობა არაერთმა ისეთმა ქვეყანამ დააწესა, რომლებსაც დემოკრატიის დამცველის რეპუტაცია აქვთ, მაგრამ მათ ევროკავშირის ხელმძღვანელებისა და სხვათა რისხვა თავს არ დასტყდომიათ.**

**შესადარებლად:** საგანგებო მდგომარეობის შემოღების პროცედურა საფრანგეთში გაცილებით არადემოკრატიულია, ვიდრე უნგრეთში. საფრანგეთის ხელისუფლებას საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის შემოღება შეუძლია სამთავრობო ბრძანებულებით, ისე, რომ არც ეკითხება ეროვნულ საკრებულოს. გარკვეულ ვითარებაში პარლამენტის დაუკითხავად შეუძლია საგანგებო მდგომარეობის შემოღება **ავსტრიის** მთავრობას. მთავრობის წინადადებით, საგანგებო მდგომარეობას აცხადებს **სლოვენიის** პრეზიდენტი. ევროპის **მონარქიულ სახელმწიფოებში** საგანგებო მდგომარეობის შემოღების პრეროგატივა აქვთ მეფეებს.

რაც შეეხება **ამერიკის შეერთებულ შტატებს,** იქ საგანგებო მდგომარეობის დროს ფართო უფლებებით სარგებლობს აღმასრულებელი ხელისუფლება. 1976 წლიდან დღემდე აშშ-ში ეროვნული საგანგებო მდგომარეობა შემოღებული იყო 60-ჯერ(!). **ვაშინგტონს ადამიანის უფლებებიც უპრეცედენტოდ შეუზღუდავს, ისე, რომ უნგრეთს არც დაესიზმრება. მაგალითად, ბოლო მოუღო პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობის უფლებას 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, მაგრამ ამის გამო აშშ-ში დემოკრატიის მდგომარეობაზე შეშფოთება არავის გამოუთქვამს.**

აშფოთებთ უნგრეთი. რატომ?

გლობალიზმის ვირუსით ინფიცირებულთათვის და „ლიბერალური საზოგადოებისთვის“ ვიქტორ ორბანი, დიდი ხანია, Bete noire-ა — შავი მხეცი. უნგრეთის პრემიერზე თავდასხმა განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, როცა მან მკაცრ ნორმატიულ ჩარჩოებში მოაქცია **ჯორჯ სოროსის** (ეს 90 წლის ფინანსური თაღლითი, რომლის ფონდის განყოფილებებიც უამრავ ქვეყანაშია, მათ შორის საქართველოშიც, და რომლებიც მონაწილეობდნენ „ფერადი რევოლუციების“ მომზადებაში, უნგრეთში დაიბადა და მისი ნამდვილი სახელი და გვარია **დიერდ შვარცი**) სტრუქტურების მოღვაწეობა.

იგივე სოფი ინტველდი — კანონის უზენაესობის ჯგუფის ხელმძღვანელი ევროპის პარლამეტში, დიდი ხანია, იცავს სოროსის ორგანიზაციის ინტერესებს და აღტაცებას არ მალავს ამ საერთაშორისო პოლიტიკური სპეკულანტის მოღვაწეობისადმი, არც მისი ფოტოების გამოქვეყნებას ერიდება სოციალურ ქსელებში.

**სოროსის ფულით ნაკვებ პოლიტიკოსებს ხელს არ აძლევთ არა ის, რომ უნგრეთის პრემიერმინისტრმა საგანგებო მდგომარეობის ჩარჩოებში მოაქცია დემოკრატიული ნორმები, არამედ სხვა რამ: ორბანი გაემიჯნა გლობალიზმის ვირუსს, რომლითაც ინფიცირებულნი არიან ევრობიუროკრატები, სოროსი და მისი ფულით ნაკვები პოლიტიკოსები, აგრეთვე, არასამთავრობოები. საგანგებო მდგომარეობამ უნგრეთში ბარიერი აღმართა გლობალისტური ვირუსული ინფექციის გავრცელების წინააღმდეგ.**

*rusklineria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა*
**გიორგი გაჩეჩილაძე**


ვიქტორ ორბანი

**სოროსის ფულით ნაკვებ პოლიტიკოსებს ხელს არ აძლევთ არა ის, რომ უნგრეთის პრემიერმინისტრმა საგანგებო მდგომარეობის ჩარჩოებში მოაქცია დემოკრატიული ნორმები, არამედ სხვა რამ: ორბანი გაემიჯნა გლობალიზმის ვირუსს, რომლითაც ინფიცირებულნი არიან ევრობიუროკრატები, სოროსი და მისი ფულით ნაკვები პოლიტიკოსები, აგრეთვე, არასამთავრობოები. საგანგებო მდგომარეობამ უნგრეთში ბარიერი აღმართა გლობალისტური ვირუსული ინფექციის გავრცელების წინააღმდეგ**


სოფი ინტ ველდი



„არ მისცე უფლება სოროსს, გაიცინოს ბოლოს“

**კორონავირუსს უფრო საიმედო „უვიზო მიმოსვლის უფლება“ აღმოაჩნდა, ვიდრე უკრაინელ გასტერბაიტერებს, რომლებიც უცერემონიოდ გამოყარეს გერმანიიდან და პოლონეთიდან. მათ არაერთი ღამე გაათიეს საზღვრებზე, რომლებიც თითქოს ჯადოსნური ჯოხის აქნევით უცებ გაჩნდა ევროკავშირში.**

ლიბერალიზმის კრახი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მსოფლიოს გამომცდელი და აუდიტორი

**საინფორმაციო სივრცე გადავსებულია კორონავირუსზე ინფორმაციებით. ზოგჯერ გეჩვენება, თითქოს სხვა თემა არ არსებობს. ბევრ ვებგვერდზე ნახავთ სპეციალურ ფანჯარას მონაცემებით, რომლებშიც რეგულარულად იცვლება „ინფიცირებულთა რაოდენობა“, „გარდაცვლილები“, „გამოჯანმრთელებულები“. მაგრამ შეიძლება, სხვა მრიცხველიც გაჩნდეს, რომელშიც იქნება მონაცემები „ზოგადსაკაცობრიო“ ფასეულობების, საერთაშორისო ინსტიტუტების, ფართოდ გავრცელებული ილუზიების გამო ინფიცირებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობაზე.**

## კვდება ლიბერალიზმი, ევროპული სოლიდარობა... და მერე?



გასაგებია, რომ კვდება ლიბერალიზმი, საერთაშორისო თავისუფლებები, ევროპული სოლიდარობა... თუმცა საბოლოო დიაგნოზის დასმა ჯერ ნაადრევია. ცხადია მხოლოდ ერთი რამ: ვირუსმა მოკლა ასიათასობით ადამიანი და დაარტყა მილიარდების ცხოვრების წესს.

გადავადებულია მსოფლიო სპორტის უდიდესი ზეიმი — ოლიმპიადა-2020 და ეს თითქმის ვერავინ შენიშნა. ჩაიშალა ბოლო 25 წლის განმავლობაში ნატოს ყველაზე ფართომასშტაბიანი სწავლება Defender Europe-2020, რომლის სცენარის მიხედვითაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის 37 ათას სამხედრო მოსამსახურეს „რუსეთის შეჭრისგან უნდა დაეცვა ევროპა“, ამერიკელებს კი ოკეანისგაღმიდან უნდა გადმოესროლათ თავიანთი სამხედრო კონტინგენტი... და აი აღარ ტარდება ეს სწავლება. ამის მიუხედავად, **ალიანსის წარმომადგენლები ჩვეულებას არ ღალატობენ და არც თბილ სავარძლებთან გამოთხოვება სურთ. ნატოს გენმდივანი იენს სტოლტენბერგი გამოვიდა განცხადებით და რუსეთი ევროპული სოლიდარობისა და „ტრანსატლანტიკური ფასეულობებისადმი რწმენისთვის ძირის გამოთხრაში დაადანაშაულა. სტოლტენბერგი, როგორც ჩანს, სწრაფად ცვალებად ვითარებას ჩამორჩა (მუდმივად საქმის კურსში ყოფნა იოლი არ არის!). „ტრანსატლანტიკურ ფასეულობებს ბზარი გაუჩნდა და ეს ბზარი ფართოვდება.**

აი Pan Americana-ს („ამერიკული სამყარო“) დაკრძალვაც ახლოვდება, მაგრამ ამ „ამერიკულ სამყაროს“ საფლავი გაუთხარეს არა რუსმა ჰაკერებმა, არამედ ეს გააკეთა ლონდონურმა The Times-მა ბოლო თვეებში პრეზიდენტ **დონალდ ტრამპზე** შეტევით, როცა მას საარჩევნო ბრძოლა ჰქონდა გამართული **ჯო ბაიდენთან:**

**„მომენტი მოითხოვს თავისუფალი სამყაროს ლიდერს, მაგრამ ის არ არის. დონალდ ტრამპს არ აქვს უნარი, ადეკვატურად უპასუხოს საშინაო გამოწვევებსაც კი, ლაპარაკი აღარ არის საერთაშორისო ინსტიტუტების ხელმძღვანელობაზე. ეს მას საერთოდ არ აინტერესებს. ტრამპი განასახიერებს ამერიკულ ურთიერთობებს, რომლებიც ბოლო პერიოდში განმტკიცდა. მეორე მსოფლიო და თვით ცივი ომიც კი ისტორიის სიღრმეში ნელ-ნელა იძირება და ამერიკელები დაიღალნენ თავიანთი საერთაშორისო ვალდებულებებით. მსოფლიო ლიდერის როლი ღირს ფული, დრო, ძალები და ამერიკელთა სიცოცხლე, თუმცა ამერიკელებს ეჩვენებათ, რომ ამ როლს მათთვის არც პური არსობისა მოაქვს და არც უსაფრთხოება. უფრო პირიქით“.**

**ლონდონური THE TIMES-ი თავის დასკვნას ასე აყალიბებს: «მომენტი მოითხოვს თავისუფალი სამყაროს ლიდერს, რომელიც არ არის. როდესაც ეს ყველაფერი დასრულდება, ჩვენი ამოცანა იქნება, სხვა ქვეყნებთან ერთად შევქმნათ საერთაშორისო სტრუქტურები, რომლებიც ნაკლებად დამოკიდებულნი იქნებიან აშშ-ზე. თუ ამას არ გავაკეთებთ, არის რისკი, რომ ბოლო მოეღება არა მხოლოდ PAX AMERICANA-ს, არამედ მსოფლიოს»**

და მასობრივი ხოცვა-ჟლეტა კიევის ცენტრში, რომელიც 2014 წლის 20 თებერვალს მოაწყვეს „უცნობმა სნაიპერებმა“, ასევე უნაყოფოა.

**კორონავირუსს უფრო საიმედო „უვიზო მიმოსვლის უფლება“ აღმოაჩნდა, ვიდრე უკრაინელ გასტერბაიტერებს, რომლებიც უცერემონიოდ გამოყარეს გერმანიიდან და პოლონეთიდან. მათ არაერთი ღამე გაათიეს საზღვრებზე, რომლებიც თითქოს ჯადოსნური ჯოხის აქნევით უცებ გაჩნდა ევროკავშირში.**

როგორც ჩანს, კორონავირუსი დღეს მსოფლიო გამომცდელისა და აუდიტორიის როლს თამაშობს. ვირუსი ავლენს, ვინ ცხოვრობდა მდიდრულად, ოღონდ არა შემოსავლების მიხედვით. აი **ისააკ ნიუტონისა** და **ფრენსის ბეკონის** სამშობლოში — ბრიტანეთში, წვავენ 5G-ის ქსელის ანძებს. აქ პარალელი შეიძლება გავავლოთ **ჯორდანო ბრუნოსა** და ჩინური „ჰუავეის“ დირექტორს შორის, რომელმაც თქვა: „დაწვა (ანძის) არ ნიშნავს, უარყოფას“.

**არც ისე დიდი ხნის წინათ „თავისუფალი სამყაროს“ ლიდერები ამბობდნენ: ყირიმი 2014 წელს — ეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სახელმწიფო საზღვრის პირველი დარღვევაა, მაგრამ ყველას „დაავიწყდა“ სახელმწიფო საზღვრის დარღვევა 1999 წელს სერბეთში. დიახ, ბევრი რამ იცვლება და ბევრი რამ გადასახედია. მაგრამ, თუკი კორონავირუსის გავრცელებაზე დასავლური სამყაროს პასუხი იქნება მოწოდება „დაწვი ჩინური G5-ის ანძები“, განა ეს არ არის გაბატონებული სისტემის ევოლუციის დაღმა სვლის მაჩვენებელი?**

არც ისე დიდი ხნის წინათ „თავისუფალი სამყაროს“ ლიდერები ამბობდნენ: ყირიმი 2014 წელს — ეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სახელმწიფო საზღვრის პირველი დარღვევაა, მაგრამ ყველას „დაავიწყდა“ სახელმწიფო საზღვრის დარღვევა 1999 წელს სერბეთში. დიახ, ბევრი რამ იცვლება და ბევრი რამ გადასახედია. მაგრამ, თუკი კორონავირუსის გავრცელებაზე დასავლური სამყაროს პასუხი იქნება მოწოდება „დაწვი ჩინური G5-ის ანძები“, განა ეს არ არის გაბატონებული სისტემის ევოლუციის დაღმა სვლის მაჩვენებელი? ზემოაღნიშნული ლონდონური The Times-ი თავის დასკვნის ასე აყალიბებს: **„მომენტი მოითხოვს თავისუფალი სამყაროს ლიდერს, რომელიც არ არის: როდესაც ეს ყველაფერი დასრულდება, ჩვენი ამოცანა იქნება, სხვა ქვეყნებთან ერთად შევქმნათ საერთაშორისო სტრუქტურები, რომლებიც ნაკლებად დამოკიდებულნი იქნებიან აშშ-ზე. თუ ამას არ გავაკეთებთ, არის რისკი, რომ ბოლო მოეღება არა მხოლოდ Pax Americana-ს, არამედ მსოფლიოს“.**

ლონდონმა სიგნალი მისცა. ეს დოლის ბრაგუნი („მომენტი მოითხოვს თავისუფალი სამყაროს ლიდერს“...) მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება და შეეხება არამხოლოდ არჩევნებს აშშ-ში, მათი „თავისუფალი სამყარო“ თავიანთი ფასეულობებით, რომლებსაც ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებად ასაღებენ, არის სამყარო, რომელშიც ისეთ ქვეყნებს, როგორიც არის, მაგალითად, რუსეთი, ადგილი არ ექნება. „მომენტი“ კი მართლაც მოითხოვს... მოითხოვს გადაწყვეტილებებს, რომლებსაც პრეცედენტი არ ექნება.

**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# გაერო: დაიწყება შიმშილი და მოშიმშილე ადამიანების რაოდენობამ შეიძლება 265 მლნ-ს გადააჭარბოს



**გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის (WFP) წარმომადგენლები გვაფრთხილებენ, რომ რაოდენობა იმ ადამიანებისა, რომლებიც შიმშილით იტანჯებიან, შეიძლება გაორმაგდეს და 265 მლნ-ს გადააჭარბოს — ეს შეიძლება გამოიწვიოს კორონავირუსის პანდემიის ზემოქმედებამ მსოფლიო ეკონომიკაზე.**

21 აპრილს გამოქვეყნებულ განცხადებაში WFP-მ მიუთითა „სწრაფი ქმედებების“ აუცილებლობაზე, რათა ორგანიზაციის პროგნოზი რეალობად არ იქცეს.

„კოვიდ-19“ პოტენციურად კატასტროფაა მილიონებისთვის, რომელთა ბედიც უკვე ბეწვზე კიდია. ეს არის უროს დარტყმა ადამიანებზე, რომლებსაც მხოლოდ მუშაობით შეუძლიათ საკვების მოპოვება“, — განუცხადა WEP-ს უფროსმა ეკონომისტმა **არიფ ჰუსეინმა** ტელეარხ „სი-ენ-ენს“.

„ბლოკირებებმა და ეკონომიკურმა კრიზისმა უკვე გაანადგურა ბევრი ადამიანის არსებო საშუალებები. კიდევ ერთი დარტყმა „კოვიდ-19“-ის მსგავსი და ისინი უფსკრულში გადაიჩეხებიან. ჩვენ ერთად უნდა ვიმოქმედოთ ამ გლობალური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად“, — დასძინა ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

WEP-ს ბოლო მოხსენებაში ნათქვამია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, მათ, ვინც ყველაზე მეტად დაუცველია სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მხრივ, აქვთ „ძალიან შეზღუდული“ შესაძლებლობები, გაუმკლავდნენ პანდემიით გამოწვეულ შოკს.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როცა ერი ყოველს მოვლინებას და საქმეს მის გარშემო მომხდარს, ყოველს ნახულს, გაგონილს და ყოფილს საზოგადო მნიშვნელობისას — გონებით დააკვირდება, ღირსსახსოვარს, ავსა თუ კარგს — ხსოვნისათვის გულში ჩაირჩენს და სასწორზედ სწონის ფასის დასადებლად, მაშინ პირდაპირ და უტყუარად შეიძლება კაცმა სთქვას, რომ იგი ერი გონებითად ჰასაკში შედის, ჭკუა, გული და ცნობიერება დასძვრია მოქმედებისათვის და ფეხი შინიდამ გარეთ გამოუდგამს კაცურად ცხოვრებისათვის“.**

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

ეს დღეებია, ანტიკრიზისული გეგმა განხილვისა და მითქმა-მოთქმის საგანი გახდა. ისმენ და ფიქრობ: რა უკიდეგანოა დაბოღმილ ადამიანთა ფანტაზია, რომლებიც შურით სკდებიან, ამ მთავრობას კორონამ რომ „სულზე მოუსწრო“. აი ხალხს კი ნამდვილად აქვს იმის საფუძველი, რომ ეჭვი შეეპაროს ხელისუფლების გულწრფელობაში...

მაგრამ ახლა არ გვინდა ამაზე ლაპარაკი, რადგან იმედი გვაქვს, ახალი კორონავირუსის პანდემიის შემდეგ არა მხოლოდ საქართველოს, მსოფლიოს ვიხილავთ კარდინალურად შეცვლილს, ის აღარ იქნება ისეთი, როგორიც იყო — უფრო გლობალური გახდება, გარდატეხა მოხდება ადამიანების ცნობიერებაში — ძალიან ბევრ რამეს მიხვდებიან და გადააფასებენ; მიხვდებიან, რომ ჯანდაცვის კუთხით უფრო მეტი დაფინანსებაა საჭირო, ვიდრე შეიარაღებისთვის; ნათლად დაინახავენ, რა არის უფრო ღირებული და რატომ. მართალია, კორონავირუსი საშინელებაა, მაგრამ „მისი წყალობით“ მომავალში, შესაძლოა, უკეთესი ეკოლოგიური ვითარებაც მივიღოთ, პროცესი პრაქტიკულად უკვე დაწყებულია. ამას კი ხელი შეუწყო ავიამიმოსვლის შეზღუდვამ, ავტომანქანების რაოდენობის შემცირებამ და ნაკლებმა გამონაბოლქვმა. ახლა თბილისში ჰაერი ისეთია, როგორც ბახმაროშიო, — ესეც ითქვა.

მედიკოსები ყოველდღე გვევედრებიან — დარჩით სახლში, გაუფრთხილდით ერთმანეთსო. ხელისუფლება კი ამკაცრებს რეგულაციებს, თუმცა იმის გამო, რომ ბევრს ვერაფერს სთავაზობს შინ გამომწყვდეულ თანამემამულეებს, ოპოზიციის მკაცრი კრიტიკის საგანი ხდება. მაგრამ ეს არ არის სამართლიანი მსჯელობა ამ მნიშვნელოვან საკითხზე, მისი რიგიანად შეფასება და აწონ-დაწონვა; ეს არის ნიშნის მოგება ოპონენტისათვის, მისი ყველა შეცდომისა თუ წაფორხილების საკუთარ გამარჯვებად მიჩნევა; აღფრთოვანებით საუბარი და ლაყბობა მთავრობის უილაჯობაზე არ ნიშნავს ხალხზე ზრუნვას, მით უფრო არ ნიშნავს სამშობლოს სიყვარულსა და გულშემატკივრობას.

ხელისუფლებამ მიზერული თანხა გაანაწილა, ბიუჯეტში კი არის უამრავი თანხა, რომელთა გამოთავისუფლებაც შეიძლებოდაო.

რატომ 6 თვით და არა წლის ბოლომდე? ეს „მოწყალება“ „ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილიაო...

უსმენ ამდენ ტყუილ-მართალს და გრძნობ, რომ ის სიჩუმე, რომელიც პანდემიის პირველ დღეებში სუფევდა, პოლიტიკურ სარბიელზე ოპოზიციის მხოლოდ ხანმოკლე გარინდება ყოფილა. მსგავსი გარემოება კი ყოველთვის ყოველი კეთილი საზოგადო საქმის დამაბრკოლებელი იქნება.

თავის დროზე სწორედ ეს და ერის გათითოკაცება უკლავდა გულს საკუთარ ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებულ დიდ ილიასაც, როდესაც ამბობდა: „ჯერჯერობით ვერ შევთანხმებულვართ და ვერ აღმოგვიჩენია ის ცენტრალური წერტილი, სადაც გადანასკვულია ცხოვრების სხვადასხვა მიმდინარეობა. ერთის სიტყვით, დღემდის ვერ დაგვიდგენია სამართლიანი კრიტიკული აზრი ჩვენის ცხოვრების შესახებ. ეს გარემოება ამით არის უსიამოვნო, ჩვენის წარმატების დამაბრკოლებელი, და გვიჩვენებს ჩვენის გონების გაუწრთვნელობას, ჩვენს გაუფრთხილებლობას და დაუკვირებლობას. აი, აქ არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ყოველი კეთილი საზოგადო საქმე ჩვენში ერთობ ნელის ნაბიჯით მიდის წინ“....

ილიას ეპოქაში ფეხმოკიდებულმა ამ სენმა თავისი მძლავრი გამოხატულება ყველაზე მეტად დღევანდელობაში ჰპოვა. დიახ, ჩვენი ცხოვრების შესახებ სამართლიანი კრიტიკული აზრი გვჭირდება დღეს და არა დიდგულზე საუბარი სხვის დასამუნათებლად. თანაც „ხშირად მრავალს სიტყვასა ვხარჯავთ იმისათვის, რაიცა სრულიად უეჭველი უნდა იყოს“.

XXI საუკუნემდე მოსულს რატომღაც გაგვიქრა ამბიცია, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“. ყველაფერ ეროვნულს უცხოური ვარჩიეთ, თანდათან მოვწყდით საკუთარ ფესვებს და გადაგვარების გზას დავადექით. სწორედ ამ დროს კორონავირუსის პანდემიამ გამოგვაფხიზლა, გაგვინათა გონება.

გადარჩენისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი კი იმის გააზრება იქნება, რომ ჩვენი ქვეყანა არაა არც მხოლოდ „მთები, შემკული სხივების სირმით“ და არც ორ ზღვას შუა საომარი ლელო... რომ აუცილებელია „ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლა, რათა შეიგრძნო, რაა მამული და მერე იქნებ აღარც მისი გაცვლა მოგინდეს „სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“ და არც ამ მშობლიური მიწის უცხოელებისთვის მიყიდვა.

ახლახან სოციალურ ქსელში ასეთი რამ წავიკითხე: ძალიან მცირეა რისკი „კორონამ“ გაგვაქროს, მაგრამ ძალიან დიდია შანსი გაგვაქროს ისეთმა „ვირუსებმა“, როგორიცაა გულგრილობა, კაცთმოძულეობა, შური, ფსევდომორწმუნეობა, არაპროფესიონალიზმი, უწიგნურობა, თავხედობა და ლაჩრობა; ოჯახების გადასარჩენად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გადაკარგვა, აზერბაიჯანისთვის ჩვენი სიწმინდეების დათმობა, აჭარაში თურქების გაშინაურება, ჩვენს მიწებზე ირანელების, ინდოელების, ჩინელების დასახლება, ღირსება გაყიდული პარტიები, ბანკების მაფია...

ეს ყველაფერი ნამდვილად გაგვაქრობს და თანაც არც თუ დიდი ხნის მერე.

ასე რომ... უფალი ეძებეთ ერთანეთში და ერთმანეთის თვალებში ნაპოვნ საკუთარ თავს გაულიმეთ.

# ჩვენ არ ვიცით სამართლიანი მსჯელობა ნებისმიერ მნიშვნელოვან საქმეზე, მისი რიგიანად შეფასება და აწონ-დაწონვა



ცხოვრება, გარედან დაბრკოლების მიუხედავადაც კი, მუდმივ მოძრაობაშია, რომელიც ქვეყნისთვის ძალისა და სიცოცხლის მიმცემია. **„თუ ცხოვრება ჯანმრთელია, თუ მასში არის უკეთესობის ნდომა და განახლების ცხოველი იმედი, ეგ თვით დავრდომილის აღმადგინებელი იმედი — მისნი ძალნი, მისნი ძარღვნი მარად დაუძინარნი არიან. იგინი დაუღალავად, დაუყოვნებლივ მოქმედობენ, მოძრაობენ, წარმოებენ, როგორც ყოველიფერი, რასაც კი სიცოცხლე აქვს მინიჭებული. თუ გარედამ აბრკოლებენ, უშლიან იმათ მოძრაობას, მაშინ ისინი მაინც კიდევ თავისას არ მოიშლიან, მიწაში დაიფლებიან და იმ მიწის სიბნელეშიაც მოქმედებენ იმ დრომდე, ვიდრე დარი არ დაუდგებათ, რომ გარეთ მზის სინათლეზედ გამოვიდნენ და უფრო ფართოდ გაშალონ ფრთები. ყოველს მათს მოძრაობას, ყოველს მათ მოქმედებას თავისი ნაყოფი ამოაქვს ცხოვრების ხეზედა და ყოველს ამ ნაყოფს აქვს თავისი აზრი და მნიშვნელობა, იმიტომ, რომ იმათი ძირი ცხოვრებაშია გამოკვანძილი, — ცხოვრება კი ძნელად თუ რასმე ჰქმნის უაზროდ“. „დღე-და-დღე ეგ ნაყოფი ემატება, დღე-და დღე სხვა-დასხვა ყვავილებით იმოსება ხე ცხოვრებისა. ეგ ნაყოფი, ეგ ყვავილები ერთად შეკრებილი შეადგენს ცხოვრების ვითარებასა, მოსავალსა“.**

ილიას ეპოქაში საქართველოში შექმნილ მდგომარეობას ვერავინ აღწერს ლელთ ღუნიაზე უკეთესად. ეს ბრძენი ქართველი გლეხი გულისტკივილით საუბრობს ქართველი ერის ბედზე:

„— აწინა? ერობა სადა არნ? რუსობაჩი ვარნ. აწინა ყველაი გაცუდდის, ყველაი გაუქმდის. სამების ძირჩი სოფელ გერგეთ არნ. აქაველ კაცთ მეფეთა შეუთქვეს სახტრის დარაჯობაი. მის სამაგიერ მეფეთა თარხნობა მიანიჭის სრულ სოფელს, გუჯარიც მიჰსცის საშვილიშვილად. ყვაველღამ აწინაც გერგეთიდ სამ-სამ კაც დარაჯად იგზავნების. გერგეთელნ აწინაც სახტრის დარაჯობას თავ-დებულობენ. მაგრამად რუსობაჩი თარხნობა გაუცუდდის, მეფეთ გუჯარს რუსობამ ყური არ ითხოვის. გერგეთი აწინა სხვავითა ბეგრობს. გაუქმდის ადრინდალ დაწყობაი, ხთის მოთხოვნილ მადლითაი ბჭობაიც სამებაჩი გადავარდის.

— მაშ უწინდელი დაწყობა და დრო უკეთესი იყო?

— რაიდ არა?

— რით იყო უკეთესი?

— ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთ-ურთს დავიყუდნით, ერთ-ურთს ვიხვეწებდით. ადრიდა?! ქვრივ-ობოლთ ვიფარევდით, შინ მიწრიელს (ეშმაკს), გარედ მავნეს დავულაგნდით, ხთისა და ბატონის იასაულს მის ყუდროს არ მივკერძდნით, ერთურთს ლაღ მტერთან ჩავეფარვიდნით, დაცემულ ვიურვებდნით, ატირდომილს ვიხოიშნიდნით და ესრედ იყვის ბრალება კაცისა, ერთ-ურთობა. აწინა ერობა დაიშალის, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერივნის, ერთსულობაი დავარდნის, მტრობა-ბძარვაი გახშირდნის. აწინაქვრივ-ობოლს — ვინ განიკითხნის, ატირდომილ ვინ გააცინის, დაცემულ ვინ აღადგინის? აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ პირად და გულად ჯუღურ არნ. ერი დავარდნილ, გალახულ არნ, ვრდომილ-კრთომილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთწყობაი. ადრიდა ჩვენობა იყვის. წარხდა, მოისრნა ქვეყანაი, რაია აწინა ჩვენი დარჩენა? ჭამად-სმად სასყიდვალ, ტყეი სასყიდვალ, გზაი სასყიდვალ, ლოცვაკურთხევაი სასყიდვალ, სამართალ სასყიდვალ, რაიდ დარჩების ბეჩავი მახევე?..

— ეხლა რომ მშვიდობიანობა არის?

— **რაის ვაქნევ ცარიალ მშვიდობას ცარიალ სტვამაქით. რაი არნ მშვიდობა? უხმარ სატევარს ჟანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭიაჭუაი, ქვემძრომი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის! რაი არნ მშვიდობა ცოცხალ კაცთათვის? რაი არნ მტერობა, თუ ერი ერობს? ცარიალ მშვიდაბა მიწაჩიც გვეყოფის.**

— მტერი რომ დაგეცემოდათ, აგიკლებდათ და ცოლშვილს გიწიოკებდათ ხოლმე?

— აწინა მავალე სვამეხი უფროს გვაწიოკებს, უფროს სახლს გვიკლებს. ადრიდა მტერს მაინც ფარ-ხმალით შევეთამაშით, ვიგერიებდით, სვამეხს რაი ეტყვის, ვერ მოსაგერიებელ, ვერ შესათამაშებელ? ადრიდა მტერთან ბრძოლაჩი, სწორების ჯობინობაჩი, სახელ ვშოობდით, სვამეხთან ვაჟაი რაი სახელ ჩამორჩების? ადრიდა, მართალ ხარნ, მტერ იყვის, ერთგულთა ვაჟათა ჩუქებაც დიდ-იყვის: ადგილ-მამულ ებოძვის, თარხნობაი მიეწყვებოდის.. („მგზავრის წერილები“, 1861 წ.).

საქართველოს დაუძლურების, გათითოკაცების სავალალო სურათს ილია ჭავჭავაძე, უკვე თავისი სიტყვებით, აგვიწერს წერილში **„ზოგიერთი რამ“,** რომელიც, როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, თურმე მთელი ათი წელი (1866-1876 წლებში) იწერებოდა. ამ წერილში ილია საქართველოს ადარებს ხავსმოკიდებულ გუბეს. ამ გუბეს რომ თვალღია და აუჩქარებლად დააკვირდე, დაინახავ, რომ **„არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანი და უჩინონი — ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის, თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა — თავადი, გლეხსა — ორივე, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთის დედის საქართველოს ოჯახის შვილნი? თავადის აზრი სათავადოა, აზნაურის — სააზნაურო, გლეხის – საგლეხო, ვაჭრისა — სავაჭრო, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთს თესლზედ ამოსულნი? თავადის აზრი აზნაურს არ უხდება, აზნაურისა — თავადსა, ორივესი — გლეხსა, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთისა და იგივე ხორცისა და სულისა ნაყოფნი და ერთის დედის საქართველოს ძუძუთი გაზრდილნი?“**

ილია ჭავჭავაძე მზად აღმოჩნდა, მოესმინა თავისი ქვეყნის გულისცემისთვის, შეეტყო მისი გლოვის დაფარული მიზეზი, მისი იმედი და უიმედობა. და **იგი მოუსმენს თავის სამშობლოს, როგორც შვილი მშობელს და შეძლებს კიდეც, მას ღვიძლი სიტყვა უთხრას და იმ სიტყვით გულისტკივილი მოურჩინოს, დავრდომილი აღადგინოს, უნუგეშოს ნუგეში მოჰფინოს, მტირალს ცრემლი მოსწმინდოს, მუშაკს შრომა გაუადვილოს, ის სიტყვა ასმინოს: რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი; და ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება, რომ ყოველ კაცში არა „ჟოლავდეს“, ერთ დიდ ცეცხლად შეაგროვოს თავისი ქვეყნის გაციებული გულის გასათბობად.**

ლარსის სტანიცაში ფიქრს მიცემული ილია ჭავჭავაძე საკუტარ თავს ეკითხება, სამშობლომ რომ საქმე მოსთხოვოს, რას მოიმოქმედებს, „საქმე ხომ საქმეშია“, „საქმე ყოველისფრის გამომცდელია“. მოგვიანებით, 1862 წელს, წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ იგი აკონკრეტებს ამ საქმის საგანს და აღნიშნავს, რომ **„ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“,** ხოლო 1881 წლის მაისის „შინაურ მიმოხილვაში“ **საქართველოს შვილის მთავარ საქმედ მიიჩნევს ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენას, ფეხზე დაყენებას და დაცვას ყოველი მოსალოდნელი ფათერაკისაგან.** სწორედ მას შეუძლია, საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებს, შექმნილ გარემოებას, ცხოვრების ცვლილებას „უფრო ადრე მიხვდეს, იგრძნოს, ვიდრე ეს შეუძლია ხალხს მთლიანად, ან მის უმეტეს ნაწილს“.

**„როცა ერი ყოველს მოვლინებას და საქმეს მის გარშემო მომხდარს, ყოველს ნახულს, გაგონილს და ყოფილს საზოგადო მნიშვნელობისას — გონებით დააკვირდება, ღირსსახსოვარს, ავსა თუ კარგს — ხსოვნისათვის გულში ჩაირჩენს და სასწორზედ სწონის ფასის დასადებლად, მაშინ პირდაპირ და უტყუარად შეიძლება კაცმა სთქვას, რომ იგი ერი გონებითად ჰასაკში შედის, ჭკუა, გული და ცნობიერება დასძვრია მოქმედებისათვის და ფეხი შინიდამ გარეთ გამოუდგამს კაცურად ცხოვრებისათვის“.** თავის გამოჩენილ შვილთა ღვაწლის დაფასებას ილია ჭავჭავაძე ერის გამოფხიზლებად, მისი თვალის ახელად აფასებდა. **„მაშინ უფრო ნამეტნავად უტყუარია, როცა ესეთი ყურადღება ერისა მიიქცევა ხოლმე იმისთანა კაცზედ, ვისაც რაიმე ღვაწლი მიუძღვის ერის წინაშე. ამისთანა კაცის დაფასება და დამსახურებულის პატივისცემა ცხადი მაგალითია, რომ ერის გონების თვალი ახილებულია“** (*„შინაური მიმოხილვა“. 1882 წ. სექტემბერი*).

პიროვნება, რომელიც შეიმეცნებს ერის წინაშე დასმული საქმის არსს და შეძლებს ახალი ვითარების ახსნას, ცნობაში მოყვანას, ერის, მისი ცხოვრების აღმშენებლობას დაიწყებს, „დასძრავს ძველი შენობის ქვას და გაამაგრებს პირველივე ქვას ▶

**„თუ ცხოვრება ჯანმრთელია, თუ მასში არის უკეთესობის ნდომა და განახლების ცხოველი იმედი, ეგ თვით დავრდომილის აღმადგინებელი იმედი — მისნი ძალნი, მისნი ძარღვნი მარად დაუძინარნი არიან. იგინი დაუღალავად, დაუყოვნებლივ მოქმედობენ, მოძრაობენ, წარმოებენ, როგორც ყოველიფერი, რასაც კი სიცოცხლე აქვს მინიჭებული. თუ გარედამ აბრკოლებენ, უშლიან იმათ მოძრაობას, მაშინ ისინი მაინც კიდევ თავისას არ მოიშლიან, მიწაში დაიფლებიან და იმ მიწის სიბნელეშიაც მოქმედებენ იმ დრომდე, ვიდრე დარი არ დაუდგებათ, რომ გარეთ მზის სინათლეზედ გამოვიდნენ და უფრო ფართოდ გაშალონ ფრთები“.**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ახალ საძირკველში. საძირკვლის ამომყვანიც არ დააგვიანებს ხოლმე მოსვლას. მაშინ გამოჩნდება გენიოსი“. რომელიც „იქნებ აქამდინაც იყო, და უთუოდაც უნდა ყოფილიყო... თუ აქამდე არ გამოჩნდა იგი, იმიტომ, რომ მისი ძლიერი სულის შესაფერი საქმე არსად იყო; გამოჩნდა თუ არა საქმე, იმანაც გაშალა თავისი ძლიერი ფრთა და, როგორც მზე, გამობრწყინდა ცხოვრების გასანათებლად. ეს გოლიათი გონიერებისა და თავის ძლიერის მკლავით გადასწვდება მთელს ცხოვრების ნამუშევარსა; შემოაგროვებს ერთად, რაც ცხოვრებას გამოუჩენია; თავის გამჭრიახ თვალით თავიდამ ბოლომდინ განსჭვრიტავს, გაანათლებს იმ შემოგროვილსა, და ყოველს ცხოვრების კითხვას მისცემს შესაფერს პასუხს, ყოველ ფაქტსა — ჭეშმარიტ მნიშვნელობას, ყოველს მიმართულებას — კუთვნილს გზასა და ღონისძიებასა, — ერთის სიტყვით, ახსნის, ცნობაში მოიყვანს მას, რაც ჩვენს შორისვე იყო და არ გვესმოდა. მაშინ იგი გამოანგრევს ძველის საძირკველსა და, ახალის საძირკველში რაკი ქვას დაამკვიდრებს, მიანებებს საქმეს უმცროსთა მუშაკთა“.

ჩვენში, მართალია, ერმა და ბერმა მადლობა უთხრეს ამ მძიმე სიტუაციაში ერისთვის დამაშვრალ ადამიანებს, მაგრამ გამოჩნდნენ მოშურნენიც, რომლებიც ყველა ეპოქაში მოიძებნებოდნენ. ჯერ კიდევ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი აღნიშნავდა: **„ჩვენი ერი მრავალ ცოდვაშია ჩავარდნილი ღვთის წინაშე, მაგრამ უპირველესი ჩვენი ვნება შურია. რაღაც განსხვავებული მიდრეკილება გვაქვს ამ საშინელი ვნებისადმი... ჩვენ ყოველნი ვართ საბრალონი და უბედურნი მონანი შავის ამის გველისა. ვისი ენა გამოთქვამს, ვისი კალამი აღწერს იმ ურიცხვ ვნებებს, რომლებიც ამ მოწამლული წყაროდან მომდინარეობენ და ჩვენს ქვეყანას ყოველ სიკეთეს მოაკლებენ“.** კითხვაზე, თუ რით შეიძლება აიხსნას ქართველი ხალხის განსაკუთრებული მიდრეკილება ამ ვნებისადმი, წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი ამბობს: ამის მიზეზი ის არის, რომ **„ქრისტეს სჯულს, მადლსა და სულს სახარებისა ჩვენი გულის სიღრმემდე ჯერაც არ მოუღწევია, ჯერაც არ დაუმორჩილებია ჩვენი ბუნება“.** ჩვენი ერის წახდენისა და უბედურების მიზეზი ბევრჯერ სწორედ შური ყოფილა, რომლისგანაც იშვებოდა განხეთქილება, ღალატი, ცილისწამება, დაბეზღება, ძმათა შორის სიძულვილი და კაცის კვლა. კონსტანტინე გამსახურდია გიორგი მეფეს ათქმევინებს: „ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს: მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“. ჰოდა, ვკორტნით დღესაც! მერე რა, რომ ქვეყანა და ხალხი ზარალდება?! მთავარი, ხელისუფალთ კოვზი ნაცარში ჩაუვარდეთ...

წმინდა ილია მართალმა ლუარსაბ თათქარიძის სახეში პიროვნებისთვის განსაკუთრებით საზიანო თვისებებს მოუყარა თავი. ცხადია, არც შური გამორჩენია...

## ალფრთოვანებით საუბარი და ლაყბობა მთავრობის უილაჯობაზე არ ნიშნავს ხალხზე ზრუნვას, მით უფრო არ ნიშნავს სამშობლოს სიყვარულსა და გულშემატკივრობას. «ყოველს მათს მოძრაობას, ყოველს მათს მოქმედებას თავისი ნაყოფი ამოაქვს ცხოვრების ხეზედა»











## ძალიან მცირეა რისკი «კორონამ» გაგვაქროს, მაგრამ ძალიან დიდია შანსი გაგვაქროს ისეთმა «ვირუსებმა», როგორიცაა გულგრილობა, კაცთმოძულეობა, შური, ფსევდომორწმუნეობა, არაპროფესიონალიზმი, თავხედობა და ლაჩრობა...




## სწორედ ასეთ ადამიანებს შეუძლიათ, ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება, რომ ყოველ კაცში არა «ქოლავდეს», ერთ დიდ ცეცხლად შეაგროვოს თავისი ქვეყნის გაციებული გულის გასათბობად

ეს გაქსუებული, გადაგვარებული არსება სულ იმაზე ფიქრობს, ძმაზე მეტი ქონება, ვენახი თუ სახნავ-სათესი ჰქონდეს. შვილიც მხოლოდ იმიტომ უნდოდა, მისი მამული დავითს რომ არ დარჩენოდა. ლუარსაბის „ლოცვა“ და უფალთან ურთიერთობა ძმის დაბეზღებით შემოიფარგლება. ეს „ახალი კაენი“ სახარებისეული ფარისეველივით ცდილობს, ძმა დააკნინოს ღვთის თვალში და საკუთარი „კაიკაცობა“ ასე წარმოაჩინოს. რამდენი ლუარსაბია დღეს საქართველოში, ვერ გეტყვით, მაგრამ ცოტანი რომ არ არიან, ცხადია. დღეს, როცა სერიოზული პრობლემების წინაშე დგას ქვეყანა, როცა მთავარი საფიქრალი არის ხალხის დაცვა პანდემიისგან და ეკონომიკის გადარჩენა, მავანნი ისევ ხელისუფლებისთვის ძირის გამოთხრით არიან დაკავებულნი, უსამართლოდ მსჯელობენ და უარყოფითად აფასებენ საერთო-სახალხო საქმის საკეთილდღეოდ გადადგმულ თითოეულ ნაბიჯსაც კი, თუმცა ქადაგებენ, ყველანი უნდა დავდგეთ საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებზე მაღლაო.

**ფარისეველნი!**

**ცნობისთვის:** ფარისევლები შეადგენდნენ ერთ-ერთ იუდაურ სექტას, რომელიც აღმოცენდა III-II საუკუნეებში ქრისტეს შობამდე. თვით სიტყვა ნიშნავს „განსაკუთრებულს“, „გამოყოფილს“, „გამორჩეულს“, და ეს სახელწოდება მათ მიიღეს იმის გამო, რომ ცდილობდნენ, სხვებზე მეტად გამორჩეულიყვნენ სჯულის გულმოდგინე აღსრულებით. დროთა განმავლობაში სჯულის დამატებებისა და ახსნა-განმარტებების სახით ფარისევლებმა შეადგინეს მრავალი გადმოცემა, უმთავრესად სჯულის გარეგანი, საწესჩვეულოებო მხარის შესახებ; ამ გადმოცემებს საღმრთო მნიშვნელობა მიანიჭეს და მოსეს სჯულს გაუთანაბრეს. თანდათანობით ფარისევლებმა განსაკუთრებული თემი შეადგინეს, ანუ განცალკევებულ სექტად ჩამოყალიბდნენ და, ზემოხსენებულ გადმოცემათა უმჯობესი აღსრულების მიზნით, გაურბოდნენ კიდეც ურთიერთობას ებრაელი ხალხის დანარჩენ ნაწილთან, როგორც აღმატებულნი მათზე. ხალხიც მათ უყურებდა როგორც განსაკუთრებულთ, საღმრთო სჯულის მკაცრად აღმასრულებელ ადამიანებს, რომლებიც, თითქოს, ხალხში რწმენისა და კეთილმსახურების შესანარჩუნებლად იღვწოდნენ, და დიდადაც პატივს სცემდნენ მას. მაგრამ გარეგანი კეთილმსახურებისა და გულმოდგინების საფარველქვეშ აღმაშფოთებელი პირმოთნეობა, გულგრილობა, უსულგულობა და უზნეობა იმალებოდა, რაც ცხადად გამოიხატა უფლის მამხილებელ სიტყვებში. ფარისევლებმა არ მიიღეს აღთქმული მესია — უფალი იესო ქრისტე და ჯვარს აცვეს იგი.

**საქართველოში ნაცსექტამ ხელისუფლებაში ყოფნის 9-წლიან პერიოდში მოახერხა, კეთილმსახურებისა და გულმოდგინების საფარველქვეშ პირმოთნეობა, გულგრილობა, უსულგულობა და უზნეობა დაემალა; ახლა კი, „განცალკევებულ სექტად ჩამოყალიბებული“, ამღვრევს წყალს და ხელისუფლებას კი არა, ქვეყანას უქმნის საფრთხეს.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ევროკავშირმა მარცხი განიცადა ამჟამინდელ კრიზისში და ყველას დაგვანახვა, რომ ზედმეტია“, — განაცხადა დეპუტატმა. მისი აზრით, ბუნდესტაგში წარმოდგენილ დანარჩენ პარტიებს ამჟამინდელ ვითარებაში მორალური უფლება არ აქვთ, დაბლოკონ რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივა ევროკავშირში გერმანიის წევრობის შესახებ.**

# «ევროკავშირის ერთადერთი წვლილი კორონავირუსთან ბრძოლაში ევროკომისიის ხელმძღვანელის დაბანილი ხელებია»



**„ევროკავშირმა გამოამჟღავნა სრული უუნარობა კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის პერიოდში, ამიტომ გერმანიისთვის დადგა დრო, იფიქროს ევროკავშირიდან გასვლის შესახებ“, — განაცხადა ბუნდესტაგის დეპუტატმა, პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ წევრმა იოჰანეს ჰუბერმა.**

ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა კოლეგებს მოუწოდა, მხარი დაუჭირონ რეფერენდუმის ჩატარებას ევროკავშირიდან გფრ-ის გასვლის შესახებ დიდი ბრიტანეთის მსგავსად. **ჰუბერი ვარაუდობს, რომ გერმანიის, ისევე როგორც სხვა ევროპული ქვეყნების, ეკონომიკას უპრეცედენტო კრიზისი ელოდება, ისეთი, როგორიც არ ყოფილა ბოლო 90 წლის განმავლობაში. და, თუკი ევროკავშირი განაგრძობს არსებობას, მაშინ გერმანიას დააწვება ევროკავშირის დანარჩენი წევრი ქვეყნების გადარჩენის მძიმე ტვირთი. „ამიტომ, — ვარაუდობს ჰუბერი, — სასიცოცხლოდ აუცილებელია რეფერენდუმის ჩატარება ევროკავშირიდან გფრ-ის გამოსვლის შესახებ, რათა გადარჩეს ქვეყანა“.**

„ევროკავშირის მხრიდან ერთადერთი შესამჩნევი წვლილი იყო ვიდეო, რომელზეც ფრაუ ფონ დერ ლაიენი იბანდა ხელებს და ღიღინებდა მელოდიას ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიიდან. ჩვენ არ გვჭირდება მილიარდების ხარჯვა ასეთ კომედიებზე. ევროკავშირმა მარცხი განიცადა ამჟამინდელ კრიზისში და ყველას დაგვანახვა, რომ ზედმეტია“, — განაცხადა დეპუტატმა. მისი აზრით, ბუნდესტაგში წარმოდგენილ დანარჩენ პარტიებს ამჟამინდელ ვითარებაში მორალური უფლება არ აქვთ, დაბლოკონ რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივა ევროკავშირში გერმანიის წევრობის შესახებ.

შეგახსენებთ, რომ ურსულა **ფონ დერ ლაიენი**, სანამ ევროკომისიას ჩაუდგებოდა სათავეში, მაღალ თანამდებობებს იკავებდა გერმანიაში: იყო ოჯახის საკითხების მინისტრი (2005-2009), შრომის მინისტრი (2009-2013) და თავდაცვის მინისტრი (2013-2019).

**eadayli.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# LA FIGARO: დაიწყო «დასავლეთის ეპოქის» დაისი



**ახალი კორონავირუსის გავრცელების ფონზე დასავლურმა მედიამ დაიწყო აღიარება იმისა, რომ დასავლეთი უკან-უკან მიდის. აზია კი წინ მიიწევს.**

ის ფაქტი, რომ ჩინეთმა, რომელიც პირველი შეეჯახა ახალ კორონავირუსს, და მისმა მეზობელმა ქვეყნებმა გაცილებით სწრაფად და ეფექტიანად შეძლეს პანდემიასთან გამკლავება, ვიდრე აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა, მოწმობს „დასავლეთის მზის ჩასვენებას“ და „აზიის საუკუნის“ დაწყებას. ეს თვალსაზრისი გამოთქმული იყო ფრანგულ გამოცემა La Figaro-ს წერილში.

**„ვირუსი არ ინდობს დასავლურ დემოკრატიებს, რომლებსაც უყვართ დანარჩენი მსოფლიოსთვის ჭკუის სწავლება და თავიანთი პოლიტიკური მოდელით ყელყელაობა, თუმცა დაკარგეს სივრცე ეკონომიკური მანევრისთვის“,** — წერს სტატიის ავტორი **სებასტიან ფალეტი.** მასალაში აღნიშნულია, რომ საფრანგეთში პანდემიამ 17 ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, სამხრეთ კორეაში — 229, ხოლო ტაივანზე — 6 (19 აპრილის მონაცემებით). ამ ვითარებიდან გამომდინარე, გამოცემა მიუთითებს: **„პეკინში, სეულსა თუ სინგაპურში მატების ტემპი იქცა ბერკეტად იმისა, რომ დაბრუნებულიყვნენ მსოფლიო ისტორიის წინა პლანზე და წაეშალათ კოლონიური ეპოქის დამცირება“.**

ფალეტიმ მკითხველს შეახსენა, რომ დასავლეთში თავიდანვე ქედმაღლურად უყურებდნენ „აზიურ ჭიანჭველებს“, რომლებიც დღედაღამ მუშაობდნენ თავიანთი პოზიციების გასაძლიერებლად. ასეთი მუშაობის შედეგად ჩინეთი გადაიქცა „მსოფლიო ფაბრიკად“, რაც ხელს უწყობს გეოპოლიტიკური ვითარების კარდინალურად შეცვლას აზიის სასარგებლოდ.

**„პეკინში, სეულსა თუ სინგაპურში მატების ტემპი იქცა ბერკეტად იმისა, რომ დაბრუნებულიყვნენ მსოფლიო ისტორიის წინა პლანზე და წაეშალათ კოლონიური ეპოქის დამცირება“,** — ასე ახსნა Le Figaro-მ ის, თუ რატომ დაიწყება მოკლე ხანში „დასავლეთის ეპოქის“ დაისი. გამოცემა აღნიშნავს, რომ დასავლელმა ლიდერებმა, გამორჩენის მიზნით, „თავიანთი ინდუსტრიული მომავლის გასაღები ბრმად გადასცეს ჩინეთს“, რომლითაც ეს სახელმწიფო აუცილებლად ისარგებლებს პანდემიის დასრულების შემდეგ.

**„პეკინში, სეულსა თუ სინგაპურში მატების ტემპი იქცა ბერკეტად იმისა, რომ დაბრუნებულიყვნენ მსოფლიო ისტორიის წინა პლანზე და წაეშალათ კოლონიური ეპოქის დამცირება“, — ასე ახსნა LE FIGARO-მ ის, თუ რატომ დაიწყება მოკლე ხანში „დასავლეთის ეპოქის“ დაისი. გამოცემა აღნიშნავს, რომ დასავლელმა ლიდერებმა, გამორჩენის მიზნით, „თავიანთი ინდუსტრიული მომავლის გასაღები ბრმად გადასცეს ჩინეთს“, რომლითაც ეს სახელმწიფო აუცილებლად ისარგებლებს პანდემიის დასრულების შემდეგ**

**politpuzle.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**



# პუტინი: ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისთვის გაერთიანების შედეგად კონკურენტუნარიანობის ამაღლება ბუნებრივი საქმეა

**ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ძალისხმევის გაერთიანება ყველასთვის სასარგებლო იქნება, მიუხედავად წარსულის მიმართ ფობიებისა სსრკ-ის აღდგენის თაობაზე. 2019 წლის 1 ოქტომბერს რუსეთის სახელმწიფო მეთაურმა ვლადიმერ პუტინმა მოკლე ინტერვიუ მისცა, მაგრამ ეს განცხადება ეთერში პირველად ახლა გაისმა.**

„რაღაც ფობიების დაძლევა, შიშის დაძლევა საბჭოთა იმპერიის აღორძინების თაობაზე და იმის გაგება, რომ ძალისხმევის გაერთიანება ყველას წაადგება, აუცილებლად გაიკვალავს თავის გზას. და ამ უპირატესობის გათვითცნობიერებით, ამ უპირატესობას კი აღნიშნული პროცესის ყველა მონაწილე აცნობიერებს, ჩვენ წავიწევთ წინ, გადავდგამთ ახალ ნაბიჯებს და წავალთ წინ“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

ყველგან, სადაც კი ეს შეიძლება, ქვეყნები გაერთიანებით ამაღლებენ თავიანთი კონკურენტუნარიანობის დონეს და ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკებისთვის ეს „აბსოლუტურად ბუნებრივი საქმეა“, — აღნიშნავს პუტინი.

**„ჩვენ გვაქვს საერთო ენა ეროვნებათაშორისი, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებისთვის — ეს არის რუსული. ყველა ქვეყანაში თავისუფლად ლაპარაკობენ რუსულად, ეს უზარმაზარი უპირატესობაა. ჩვენ გვაქვს ერთიანი ქვეყნიდან დარჩენილი საერთო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის სტრუქტურები. ეს კიდევ ერთი უზარმაზარი უპირატესობაა ინტეგრაციისთვის“,** — განაცხადა რუსეთის ლიდერმა და აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. რაც შეეხება „დასავლური კოლეგების წინააღმდეგობას“, რომლებსაც აქამდე საერთოდ არ სურდათ ლაპარაკი ჩვენს ეკონომიკურ, სახელდობრ, ეკონომიკურ და არა პოლიტიკურ ან სამხედრო გაერთიანებასთან“, მათ, უბრალოდ, ეშინიათ კონკურენციის.

„მათ არ სურთ კონკურენტის გაძლიერება, მაგრამ ჩვენ ეს გვინდა, იმიტომ, რომ ეს არის ჩვენი ხალხების კეთილდღეობისკენ მიმავალი გზა, ამიტომ ამაში გასაკვირი არაფერია, გარდა იმისა, რომ აქამდე წინ ვერ წავიწიეთ ისე, როგორც შეგვეძლო, გაცილებით ეფექტიანად“, — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

**მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# «ევრაზიული ეკონომიკური კავშირის გაფართოების პროცესი დაჩქარებას ვერ იტანს»

**„ევრაზიის ეკონომიკური კავშირის გაფართოების პროცესი დაჩქარებას ვერ იტანს, რადგან დაკავშირებულია ბევრ სირთულესთან“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა. მისი თქმით, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრი ქვეყნები — ბელარუსი, სომხეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, რუსეთი, მოლდოვა — არ ჩქარობენ თავიანთ რიგებში ახალი წევრების მიღებას.**

„ჩვენ არ ვჩქარობთ გაფართოებას და არც გარკვეული ეტაპების გამოტოვებით გადახტომას. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ვაკვირდებით, როგორ ვითარდება ინტეგრაციული პროცესები მსოფლიოს სხვა რეგიონებში, ვთქვათ, ევროპაში. იქ შეიქმნა ბევრი სირთულე, ამიტომ თანმიმდევრულად უნდა ვიმოქმედოთ, აუჩქარებლად“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ტელეარხ „როსია-1“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში პასუხად კითხვაზე — რამდენი ქვეყანა უნდა შედიოდეს ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში.

რუსეთის პრეზიდენტმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ სახელმწიფოთა შორის იდეალური ურთიერთობები არ არსებობს, მაგრამ აუცილებელია კომ-



პრომისისკენ სწრაფვა.

**„მიღწეული შეთანხმებები ყოველთვის ნიშნავს კომპრომისს, ხოლო კომპრომისი რა არის? — ის, რომ ვიღაც რაღაცას თმობს და იდეალური ვითარება, ერთი შეხედვით, არ არსებობს, მაგრამ ის იდეალურია იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ მიერ აწყობილი ურთიერთობების სისტემა ამ კომპრომისების მიღწევის შესაძლებლობებს იძლევა“,** — თქვა პუტინმა.

„თუკი კომპრომისულ გადაწყვეტილებებს ნებაყოფლობით იღებენ და არა „ხელების გადაგრეხვის“ მეთოდით, მაშინ ეს გადაწყვეტილებები იქცევა იმ ინსტრუმენტებად, რომლებიც რეალურად მუშაობს“, — აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა.

**მოამზადა ლუკა მაისურაძემ**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„უსამართლოდ გამაძევეს მატჩის მე-20 წუთზე. არადა, მინდოდა, თარჯიმნისთვის მიმემართა. არავინ შეურაცხმიყვია. მსაჯი მიკერძოებული იყო. მხოლოდ ერთი გუნდის სასარგებლოდ უსტვენდა, უბრალოდ, უპატიოსნოდ მსაჯობდა. მოვითხოვე, რომ ვიღაცას აეხსნა, რა სურდა ჩვენგან არბიტრს, გერმანელ რუდოლფ კრაიტლაინის. მან კი მოედნიდან გამაძევა, მაგრამ 28 წუთის განმავლობაში თამაში ვერ განახლდა იმიტომ, რომ მოედნიდან არ გავდიოდი“.**

# გაიბრწყინეს და ჩაქრნენ — სად დაიკარგნენ მსოფლიო ჩემპიონატების გმირები?

მათ, სულ ცოტა, ერთი თვის განმავლობაში ადევნებდა თვალყურს მსოფლიო. ადამიანები თაყვანს სცემდნენ, მაგრამ მსოფლიო თასის გათამაშებაში გაბრწყინების შემდეგ ეს შესანიშნავი ფეხბურთელები სადღაც დაიკარგნენ... სად?


ანტონიო რატინი

**ანტონიო რატინი — „ცხოველი არგენტინიდან“, ინგლისი — 1966 წ.**

არგენტინის ნაკრების კაპიტნის, **ანტონიო რატინის,** გაძევებამ 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩში ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ საფუძველი დაუდო უკომპრომისო და პრინციპულ დაპირისპირებას მსოფლიო ფეხბურთში. მატჩის შემდეგ ინგლისელთა მწვრთნელმა **ალფ რამსეიმ** ანტონიო რატინისა და მის თანაგუნდელებს ცხოველები უწოდა. თავის მხრივ, რატინი დარწმუნდებულია, რომ მსაჯებმა ტურნირის მასპინძლები (ინგლისელები) ყურით გაათრიეს ნახევარფინალში (სხვათა შორის, ფინალურ მატჩშიც იყო პრეტენზიები მსაჯების მიმართ, რომლებმაც, როგორც შემდეგ გაირკვა, გოლი აჩუქეს ინგლისელებს გფრ-თან შეხვედრაში, როცა ანგარიში იყო 2:2).

აი რას ამბობს რატინი ერთ-ერთ ინტერვიუში: — 1966 წლამდე მსოფლიო ჩემპიონატების მასპინძლები ფინალში ხშირად გადიოდნენ. ორგანიზატორები ცდილობდნენ, მასპინძლებისთვის ე.წ. სასათბურე პირობები შეექმნათ, მაშინ ხომ ერთადერთი შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან შემოსული ფული იყო. იმხანად „უემბლიზე“ ყველაფერი წინასწარ იყო ცნობილი. მე **უსამართლოდ გამაძევეს მატჩის მე-20 წუთზე. არადა, მინდოდა, თარჯიმნისთვის მიმემართა. არავინ შეურაცხმიყვია. მსაჯი მიკერძოებული იყო, მხოლოდ ერთი გუნდის სასარგებლოდ უსტვენდა. უბრალოდ, უპატიოსნოდ მსაჯობდა. მოვითხოვე, რომ ვიღაცას აეხსნა, რა სურდა ჩვენგან არბიტრს, გერმანელ რუდოლფ კრაიტლაინის.** მან კი მოედნიდან გამაძევა. მაგრამ 28 წუთის განმავლობაში თამაში ვერ განახლდა იმიტომ, რომ მოედნიდან არ გავდიოდი. ამ ხნის განმავლობაში ვკამათობდი ფიფას ვიცეპრეზიდენტთან, რომელიც ცდილობდა, დავემშვიდებინე. ბოლოს და ბოლოს, გავედი მოედნიდან და სამეფო ლოჟაში მოვკალათდი. 2 წუთის განმავლობაში ვუყურებდი თამაშს, შემდეგ გასახდელისკენ წავედი. ამ მომენტში **მაყურებლებმა დამიშინეს შოკოლადის ფილები და ლუდის ქილები. გაცოფებულმა ინგლისის დროშა ჩამოვგლიჯე, ინგლისელებს კი გულიანად შევუკურთხე...** მეტოქე გუნდის ფეხბურთელებთან პრეტენზია არ მაქვს, ბინძურ ილეთებს არ იყენებდნენ, მაგრამ ყველაფერი მსაჯმა გააფუჭა.

საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ რატინი პოლიტიკაში ჩაერთო და არგენტინის პარლამენტის წევრიც იყო. ამჟამად ის 83 წლისაა.


პაოლო როსი

**პაოლო როსი — „გმირული ჰეთ-თრიკის შემსრულებელი“, ესპანეთი — 1982 წ.**

იტალიელი **პაოლო როსი** მსოფლიო პირველობების ერთ-ერთი კაშკაშა პერსონაჟია, მაგრამ, თუ გავიხსენებთ, როგორ ვითარდებოდა როსის კარიერა, მისი მიღწევები გასაცვიფრებელია.

1980 წელს, როცა „პერუჯას“ რიგებში თამაშობდა, პაოლო როსი ხანგრძლივი დისკვალიფიკაციით დასაჯეს ე.წ. ჩაწყობილ თამაშებში მონაწილეობისთვის. ციხეშიც კი იჯდა. მან თითქმის 2 წელიწადი გაატარა უფეხბურთოდ. პაოლომ თამაში დაიწყო „იუვენტუსში“ გადასვლის შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე.

„არავინ ელოდა, რომ იტალიის ნაკრების მწვრთნელი **ენცო ბეარზოტი** გუნდში მიმიწვევდა. მე ხომ ოპტიმალურ ფორმაში არ ვიყავი, — ამბობდა როსი, — თვითონაც არ მჯეროდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე წავიდოდი“. ჯგუფში სამი თამაშის ფრედ დასრულების შემდეგ (იტალიელებმა მხოლოდ 2 ბურთი გაიტანეს). იტალია ძლივს გავიდა შემდეგ ეტაპზე. არგენტინელებთან მატჩში, რომელიც იტალიელებმა მოიგეს, როსიმ ცუდად ითამაშა და მას ყველა ლანძღავდა, ვისაც არ ეზარებოდა. მისდამი დამოკიდებულება შეიცვალა ბრაზილიელთა შესანიშნავი გუნდის (სოკრატესი, ფალკაო, ზიკო, ჟუნორი, ედერი და სხვ.) დამარცხების შემდეგ. ამ მატჩში როსიმ 3 ბურთი გაიტანა და იტალია ნახევარფინალში გაიყვანა. ნახევარფინალურ მატჩში გატანილ 2 ბურთს როსიმ ფინალში კიდევ ერთი დაუმატა და იტალიას მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა. ამის შემდეგ როსის კარიერა მაღლა და მაღლა წავიდა. 1982 წელს ის „ოქროს ბურთის“ მფლობელი გახდა. „იუვენტუსის“ შემადგენლობაში მოიგო იტალიის ჩემპიონატი და ევროპის თასების მფლობელთა თასი.

კარიერის დასრულების შემდეგ როსიმ ფეხბურთის კომენტატორობას მიჰყო ხელი, პარალელურად ჩართული იყო ტურისტულ ბიზნესში.


ედერი

**ედერი — „ელეგანტური გოლების ავტორი“, ესპანეთი — 1982**

ესპანეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიელმა **ედერმა** გაიტანა ორი ულამაზესი ბურთი, ერთი — ყუმბარისებური დარტყმით საბჭოთა კავშირის ნაკრების კარში და ამით ხელი შეუწყო ბრაზილიელების გამარჯვებას, მეორე — შოტლანდიელების კარში. **„ეს იყო შესანიშნავი მომენტები. ისეთი ფეხბურთელების გვერდით თამაშით, როგორებიც არიან სოკრატესი და ზიკო, უდიდეს სიამოვნებას იღებ, სასიამოვნოა, რომ ხალხს დღემდე ვახსოვარ“,** — ამბობს ედერი.

ედერი შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატზეც უნდა წასულიყო, მაგრამ პერუს წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში უხეშობის გამო მოედნიდან გააძევეს და გუნდიდანაც გარიცხეს. დისციპლინასთან პრობლემების გამო ედერმა 12 წელიწადში 16 კლუბი გამოიცვალა. ამ ხნის განმავლობაში მან მხოლოდ ერთხელ, 1993 წელს მოიპოვა ტიტული — „კრუზეიროსთან“ ერთად მოიგო ბრაზილიის თასი, ახალგაზრდობაში კი „გრემიოსა“ და „ატლეტიკოსთან“ (მინეირო) ერთად 7 ტიტულს დაეუფლა. ფეხბურთის კარიერის დასრულების შემდეგ ედერი ქალაქ ბელუ-ორიზონტის მერიაში მუშაობდა.


როჟე მილა

**როჟე მილა — „მოცეკვავე“, იტალია — 1990 წ.**

1990-იანი წლების დასაწყისში კამერუნელმა ყურადღება უკბილო ღიმილისა და მოღუნული ფეხების გამო მიიპყრო. მილა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა კამერუნის ნაკრებში, რომელიც ტურნირის აღმოჩენად იქცა. ამ მსოფლიო ჩემპიონატზე მილამ 4 ბურთი გაიტანა. შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატზე აშშ-ში კი 42 წლის მილა გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც გოლის ყველაზე ხანდაზმული ავტორი. ეს გოლი მილამ ორიგინალური ცეკვით აღნიშნა.

უნდა ითქვას, რომ მილა ნაკრებში კამერუნის პრეზიდენტის განკარგულებით შეიყვანეს.

**სალვატორე სკილაჩი — „სიცილიელი ქილერი“, იტალია — 1990 წ.**

საშუალო სიმაღლის იტალიელი, მოკლედ შეჭრილი თმითა და გადმოკარკლული თვალებით, თავქუდმოგლეჯილი გარბის მოედანზე და გატანილ ბურთს აღნიშნავს. ეს 1990 წელს იტალიაში გამართული მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ერთ-ერთი ეპიზოდია. ამ ეპიზოდით გაიცნეს ფეხბურთის მოყვარულებმა **სალვატორე სკილაჩი,** რომლისთვისაც ყველაფერი სხვაგვარად დაიწყო. როგორც თვითონ ამბობდა, „მოუწესრიგებელი, შფოთიანი და თხემით ტერფამდე სიცილიელი“ ბოლო მომენტში მოხვდა იტალიის ნაკრებში. ის ხომ მხოლოდ ერთი სეზონი იყო, რაც „იუვენტუსის“ შემადგენლობაში თამაშობდა. „სკუადრა ამურამ“ („ცისფერი გუნდი“ — ასე ეძახიან იტალიის ნაკრებს) მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიო ჩემპიონატზე, სკილაჩიმ კი 6 გატანილი ბურთით არა მხოლოდ საუკეთესო ბომბარდირის, არამედ ტურნირის საუკეთესო მოთამაშის ტიტულიც მოიპოვა.

„გაიხსენეთ ჩემი გამომეტყველება, როცა ბურთი გამქონდა. იმ მომენტშიც კი არ მჯეროდა, რომ ეს მე ვიყავი. მწვრთნელმა ხომ სულ ბოლო მომენტში გამომიძახა ნაკრებში, წარმოუდგენელია!“ — ამბობდა სკილაჩი.

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ფორვარდმა 2 სეზონი ითამაშა „იუვენტუსში“ და უეფასა და იტალიის თასები მოიპოვა. შემდეგ სკილაჩი მილანის „ინტერში“ გადავიდა, მაგრამ ეს ტრანსფერი წარუმატებელი აღმოჩნდა. სიცილიელი იაპონიის საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილე გუნდ „ჯუბილო ივატაში“ გადავიდა.

კარიერის დასრულების შემდეგ სკილაჩიმ კომენტატორობას მიჰყო ხელი, პარალელურად, პალერმოში ბავშვთა საფეხბურთო სკოლა დააარსა.


სალვატორე სკილაჩი

**მოამზადა
ნიკა კორინთელმა**

## სანთელი

# ვემშვიდობებით ბეჭდაუდებელ ფალავანს



გარდაიცვალა ლეგენდარული ქართველი მოჭიდავე — საქართველოს, საბჭოთა კავშირის, ევროპის, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, ოლიმპიადის ვერცხლის მედლის მფლობელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ზარბეგ ბერიაშვილი.

**ფალავანი!**

კაცი მართალი — საქმითა და სიტყვით, კრისტალური პიროვნება, მამულიშვილი, გაბედული და პირშიმთქმელი.

„საქართველო და მსოფლიოს“ ერთგული მკითხველი და აქტიური რესპონდენტი.

მისი ყველა გამოსვლა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე კვლავ და კვლავ ამტკიცებდა, რომ ნამდვილი პატრიოტი იყო — სისხლითა და ხორცით სანიმუშო ქართველი, მოაზროვნე და სამშობლოს ბედზე დაფიქრებული.

მისი უკანასკნელი ინტერვიუ, რომელიც მან, უკვე მძიმედ დაავადებულმა, ჩვენს გაზეთს მისცა, ერთგვარი ანდერძია მომავალი თაობისთვის დატოვებული.

ასეთი აღელვებული, დაძაბული და უარყოფითად დამუხტული ზარბეგ ბერიაშვილი არასოდეს მენახა — „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს ბოდიშს ვუხდი, მაგრამ, რასაც დღევანდელ ვითარებაზე ვფიქრობ, პირდაპირ უნდა ვთქვაო.

თქვა კიდეც.



„ისე აირია ქვეყანა, რომ კაცს ველარ გაურკვევია, ვინ არის კარგი, ვინ — ცუდი; ვინ არის ერისა და ქვეყნის პატრიოტი, ვინ — მტერი.

ძალიან არ მომწონს ეს ამბავი.

ჩემი თავი ჯანდაბას, ჩვენი თაობა წამსვლელია, მაგრამ რა ქნან ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა? იმ პატარა ბავშვებმა რა ქნან, რომლებსაც სწორი აზრი ვერ მოუსმენიათ, რა უნდა ისწავლონ, ვის უნდა მიემხრონ? გამოდის ვიღაც ვიგინდარა, ბოდიშს ვიხდი, უსაქმური, თავის სიცოცხლეში არაფერი რომ არ გაუკეთებია, ზოგი ნარკომანია, ზოგი — იმნაირი, ზოგი — ამნაირი და საქართველო ჩემი ქვეყანააო, აცხადებს, კაცო! მე უნდა დამიჯეროთო, აბა! ჩვენ, დანარჩენები, კი ისე შევცქერით და ვუსმენთ ამ მოლაყბეს, თითქოს ჩვეულებრივი ამბავია.

ამას როგორ უნდა ბედავდეს?! მაგრამ ბედავს და მოიწევს, გვემუქრება კიდეც... ამაში ხალხი ვართ დამნაშავე. უწინ რომ იტყოდნენ, თბილისელი ვარო, რამეს ნიშნავდა, დღეს რაღა არის?“

ამას რომ ამბობდა, გულიდან აღმოხდა: „არ რცხვენია თბილისს, ამდენის უფლებას რომ აძლევს ვიგინდარებს!“

განსაკუთრებით აწუხებდა ეროვნულობის შენარჩუნების პრობლემა, მიმბაძველობა, ძალადგაამერიკელება. პრინციპული იყო: „გთხოვთ, აუცილებლად ჩაწეროთ ის, რასაც ახლა გეუბნებით: თითქმის ოცდაათი წელიწადია, გავიძახით — „ამერიკა, დასავლეთი!“, სულ მაგათ ჭკუაზე დავდივართ. მაშ, ვის რას ვედავებით?! ცხოვრებას მათი წესით ვმართავთ... დასავლეთი მისაბაძია თანამედროვე ტექნოლოგიებით, მეცნიერული მიღწევებით, ცხოვრების მაღალი დონით. ამაში მივბაძოთ“.

და იქვე:

„ამერიკა რუსეთის წინააღმდეგ რომ არის ამხედრებული, ცნობილია, მაგრამ რატომ გვითრევს ჩვენ იმ მორევში, რომელსაც, თუ ჩავყვებით, გადარჩენა არ გვიწერია?!“

დაბოლოს:

„სად, რომელ ოჯახში გაიზარდნენ თქვენი კოლეგები? ვინ ასწავლა, რომელ უნივერსიტეტში, რომ ჟურნალისტი უნდა იყოს უზრდელი, გარეწარი, ოღონდ მასალა მოიპოვოს, დაამციროს, ღირსება შეულახოს რესპონდენტს?!“

ესეც აწუხებდა.

ბევრი დარდი გაიყოლა და უფრო მეტი ტკივილი ზარბეგ ბერიაშვილმა, ადამიანმა, რომელსაც ჰქონდა ასე ლაპარაკის უფლება, რადგან სწორედ მან, ბეჭდაუდებელმა ფალავანმა, მთელ მსოფლიოში გაიტანა საქართველოს სახელი, ქართველთა სიჩაუქე და ვაჟკაცობა დაანახვა ქვეყნიერებას.

ჩვენ კი, სამწუხაროდ, ვერ გავაცილეთ უკანასკნელ გზაზე ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობით დაწესებული შეზღუდვების გამო.

ასეთი დროც დაგვიდგა.

**„საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტთა სახელით,**

**არმაზ სანებლიძე**




# გარდაიცვალა კანფეტ «ჩიტის რძის» შემქმნელი

**ვლადივოსტოკში გარდაიცვალა ცნობილი კანფეტ „ჩიტის რძის“ შემქმნელი კონდიტერი ანა ჩულკოვა.**

საკონდიტრო წარმოების უმაღლესი კლასის ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრკ-ის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვლადივოსტოკის საპატიო მოქალაქე **ანა ჩულკოვა** დაიბადა 1934 წლის 22 თებერვალს რიაზანის ოლქის სოფელ ტეროდეიში. 1940 წელს მისი ოჯახი გადასახლების პროგრამაში მოყვა და შორეულ აღმოსავლეთში აღმოჩნდა. 16 წლის ანამ მუშაობა დაიწყო ვლადივოსტოკის საკონდიტრო ფაბრიკაში, რომელსაც 1994 წელს სახელი გადაარქვეს და „პრიმორსკი კონდიტერი“ უწოდეს.

1967 წელს ვლადივოსტოკელმა კონდიტერებმა ჩულკოვას ხელმძღვანელობით შექმნეს საბჭოთა კავშირში ყველაზე წარმატებული კანფეტის — „ჩიტის რძის“ რეცეპტი და ქვეყანაში პირველებმა დანერგეს ამ კანფეტის საწარმოებელი მექანიზებული ტექნოლოგია. ამისთვის ჩულკოვა ლენინის ორდენით დააჯილდოვეს. კონდიტერები კი ვლადივოსტოკში ჩადიოდნენ, რათა ესწავლათ „ჩიტის რძის“ დამზადება.

ანა ჩულკოვა ავტორია, აგრეთვე, ბევრისთვის საყვარელი შოკოლადიანი ვაფლის ტორტ „ოცნების“, კანფეტების — „კომეტისა“ და „მეტეორიტის“.

**მოამზადა**

**ლუკა მაისურაძემ**

# ტურიზმის აღორძინების ილუზიები: წელს რუსები რუსეთშივე იმოგზაურებენ მასობრივად



**რუსეთის ფედერაციის საბჭოს სპიკერმა ვალენტინა მატვიენკომ თანამემამულეებს განუცხადა, რომ წელს შეუძლებელი იქნება უცხოეთში მოგზაურობა და დასვენება.**

„რუსეთის მოქალაქეებმა კორონავირუსის გამო ამ წელს არ უნდა დაგეგმონ უცხოეთში მოგზაურობა. ერთი წელი — ეს ხომ ტრაგედია არ არის? რუსეთი და სხვა სახელმწიფოებიც ჩქარა არ გააუქმებენ შეზღუდვებს სრული მოცულობით და არ მისცემენ უცხოელებს ქვეყანაში შესვლის შესაძლებლობას. არც ისე სწრაფად მოწესრიგდება კომუნიკაციები და აღდგება საჰაერო მიმოსვლები. თვითიზოლაციის ვადების დასრულება დამოკიდებულია ეპიდემიოლოგიურ ვითარებაზე. შემზღუდავი ზომები ქვეყანაში ეტაპობრივად გაუქმდება. მთავრობა დაინტერესებული არ არის ადამიანების თვითიზოლაციაში ყოფნით. ამასთანავე, ქვეყანაში დაიწყება შიდა ტურიზმის განვითარდება. როგორც კი ამის საშუალებას მოგვცემს ვითარება, მოქალაქეები დაიწყებენ თავიანთი ქვეყნის დათვალიერებას, უკეთესად შეისწავლიან სამშობლოს“, — განაცხადა მატვიენკომ.

**მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

# გერმანიაში «ისლამური სახელმწიფოს» მოძღვარს, როგორც «დაზარალებულ მეწარმეს», 18 ათასი ევრო მისცეს

**რადიკალმა ისლამისტმა მოძღვარმა და ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერმა ახმად არმიხმა, რომელსაც სპეცსამსახურები უთვალთვალებენ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისგან 18 ათასი ევრო მიიღო, როგორც „დაზარალებულმა მეწარმემ“.**



„ეს მართლა დაუჯერებელი შემთხვევაა!“ — წერს გაზეთი „ბილდი“. გერმანიის მთავრობა კორონავირუსული პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პერიოდში დაეხმარა მეწარმეებს, რომლებიც ფინანსურ პრობლემებს შეეჯახნენ. ასეთ დაზარალებულთა შორის აღმოჩნდა მუსლიმი მოძღვარი **ახმად არმიხი.** „ბილდის“ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, პროკურატურის ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ სპეცსამსახურების დაკვირვების ქვეშ მყოფმა არმიხმა სახელმწიფოსგან მოტყუებით მიიღო 18 ათასი ევრო, როგორც „დაზარალებულმა მეწარმემ“.

„46 წლის ბრალდებული ეჭვმიტანილია იმაში, რომ გამოიყენა კორონავირუსით შექმნილი კრიზისული ვითარება, იცრუა თავისი სამეწარმეო საქმიანობის შესახებ, რათა მიეტაცებინა 18 ათასი ევრო, რომელიც მას სუბსიდიად გამოუყო საინვესტიციო ბანკმა“, — განაცხადა ბერლინის გენერალურმა პროკურორმა **მარტინ სტელტნერმა.** როგორც გაირკვა, „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერმა ბანკის თანამშრომლებს განუცხადა, რომ ვაჭრობს თაფლით.

გამოცემა წერს, რომ ახმად არმიხი წლების განმავლობაში აღვივებდა სიძულვილს არამუსლიმთა მიმართ და იმალებოდა ფსევდონიმით **ახმად აბულ ბარააა.** ის ლოცულობდა, რომ ალაჰის მტრები „მოეკლათ ინდივიდუალურად“. ამას გარდა, მოუწოდებდა ახალგაზრდა მუსლიმებს, ურწმუნოებს მოპყრობოდნენ „მტრულად და სიძულვილით“.

**მოამზადა**

**ნიკა კორინთელმა**

www.geworld.ge
საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894